

# ლიტერატურული გზეული


№36 15-28 ოქტომბერი 2010

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## უკუხი - 170

მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაზე და ვაიბზე,  
ამირანის ჯაჭვებით დაბოშული უკვდავებზე..





როსტომ ჩხეიძე

# ჯვარცემული ქვეყნის სახარება

ის, არც „ბაში-აჩუკის“, თორემ ლირიკული ლექსების, ნერილ-ნერილი ბელეტრისტიკული და პუბლიცისტური თხზულებების ზოგად ქარგას ხომ არ ჩაინიშნავდა და არა.

მაგრამ გამონაკლისი, როგორც ჩანს, ყველგან და ყოველთვის არსებობს.

და აკი წერეთლისათვის ასეთი გამონაკლისი აღმოჩნდებოდა ავტობიოგრაფიული რომანი, რომელსაც უჩვეულო გატაცებითაც ჩაუჯდებოდა და საქვეყნოდაც აღიარებდა ამ მიქერძობას:

— ერთადერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს...

და პროექტის პროსპექტსაც გადმოშლიდა.

ვინმე რომ წასდავებოდა, რა არის მინც ამისთანაო?

თავს არ გამოიდებდა, გინდა თუ არა, თქვენც გაიზიარეთო, და თავმოდრეკით რომ მოიშველიებდა ანდახას: ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო, — მიაღვენებდა: შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და ნრფელი სული მაქვს შიგ ჩადებულიო.

ავტობიოგრაფიული თხზულებანი სხვადასხვა ყაიდისა და თვითონ როგორ განეზრახა მისი აგება?

— ამ თხზულებანი ყველაფერია მოხსენებელი, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინცდამაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა.

თუმცე აკაკი წერეთლის პირადი ბიოგრაფია ქვეყნის ბიოგრაფიას გადაჯაჭვოდა, ერჩივნა, თვითონ უკან გადაწეულიყო და თანამედროვეთა სილუეტების მეოხებით აღედგინა ერთ-ერთი საბედისწერო დრო-ჟამი საქართველოს ისტორიაში.

კომპოზიციურად ამ ხერხემალზე ავეგო — სიყმანვილ თხრობაში გაეშალა, სიჭაბუკე და შემდგომი ხანა კი პორტრეტების ციკლად ეგურღისხმა.

მაინც სადამდე გაგრძელდებოდა ეს ციკლი?

მის აღსასრულამდე — მაინც მრავალტომეული ჩაფიქრებინა.

ცხადია, ტომებზე დიდდრონი გამოცემები არ უნდა ვიგულისხმოთ, პატარა-პატარა ნიგნები უნდა მიმატებოდა ერთმანეთს, მაგრამ საბოლოოდ ვეება შენობა აიგებოდა, ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების შესაფერისი.

ნამდვილ სასურველ ნამოიშროებო, — ეჭვიც არ ეპარებოდა აკაკი წერეთელს.

აბა, ტყუილუბრალოდ ხომ არ გახვეულიყო თხრობა წმინდა გულსა და ნრფელ სულში.

და თავს ვერ იკავებდა, ზოგადი გეგმა რომ არ გაეცნო მკითხველისათვის.

დაე დალოდებოდნენ ჩვენს მოღვაწეთა წერილებს — გაბრიელ ეპისკოპოსის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლისა და სხვათა მრავალთა, ვისი წერილიც კი საზოგადო საქმეს შეხებოდა.

დალოდებოდნენ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებსა და ავტორის პირად შეხედულებას მათ შესახებ.

ბანკების დაარსების გარემოებებს, წერა-კითხვის საზოგადოების, თეატრის, და მათ გამო გამოწვეულ არჩევნებს — ზედმოყოლებული ავანჩავეანით.

ბატონყმობის ამბავს.

ძველებურ ზნეჩვეულებებს.

მათ გადავარდნასა და სამაგიერო შემოღებას.

საისტორიო ანექდოტებს.

ჩამოთვლას აღარ გააგრძელებდა და ზოგადად დაურთავდა: და სხვანიო, — რაკილა საერთო სურათი, ავტობიოგრაფიული თხზულების მრავალმხრივობა ამ თემატიკათა ცვალებადი წარმოსახვებოდა, თანაც, შესაძლოა ზოგიერთი გარემოება თვით აკაკი წერეთლისთვისაც ჯერჯერობით საორჭოფო გახლდათ, ღირდა თუ არა თხრობაში მათი შეტანა, და თანდათანობით უფრო გამოიკვეთებოდა.

თამამად კი შემოეხვია ხელი ყველაფ-

რისათვის.

თუ სარკეა, სარკე ყოფილიყო!..

მანამდე გადაუკრავდა და გადმოუკრავდა იონა მეუნარგიას, თავს არ დაიმდაბლებდა, რომ პირდაპირ ეთხოვა, მაგრამ მინიშნებით კი მინიშნებდა, ჩემი ბიოგრაფიული ქრონიკაც შესადგენი გაქვსო.

იმას უზურში ისედაც ჰქონდა, ეგაა, არ ფაციფუცობდა და ნელ-ნელა ემზადებოდა ბიოგრაფიული სერიამი აკაკი წერეთლის ჩასართავადაც... თუმცე ამას აღარ მოუთმენდა გული, სად ველოდო, როდის მოიცლის ჩემთვის, ან გენერალი როდის გაგზდები ან გენერლების მეგობარი, ვითომ მე თვითონ ვეღარ დავწერ ჩემს თავგადასავალსო?

სიახლის იშვიათი შეგრძნება მომადლებოდა და მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრების გარდუვალ აღზევებას წინასწარვე განჭვრეტდა. არ დაგიდევდა, სხვანი ამ მიდრეკილებას ირონიულად რომ გადმოჰყურებდნენ ანდა უბრალოდ არაფრად ავადებდნენ, და, ვთქვით, გიორგი წერეთლის მხატვრული პროზის დოკუმენტურ ფონს თუ ახსენებდნენ, არა იმდენად თავისებურებად, რამდენადაც ნაკლოვანებად — მხატვრული არსენალის სიღარიბედ.

დაე მისთვისაც მხატვრული წარმოსახვის უნარის დაშრეტა ეკიჟინებინათ.

თვითონ ხომ იცოდა, რა განძიც უნდა დაეტოვებინა.

განძს კი შესაფერისი სტილური ქსოვილი და შინაგანი ექსპრესია ესაჭიროებოდა, ის შეფარული იუმორი და შიგადაშიგ მახვილგონივრულ დაკვირვებათა კასკადი, მას რომ სჩვეოდა, და იონა მეუნარგიას ისიც ეგონა, აკაკის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან — მოთხრობები, ფელეტონები, კრიტიკული ეტიუდები თუ დრამატულები თხზულებანი — თანდათან ყველაფერი დროის მორევში ჩაიძირება, მისი ლექსები და მოსწრე ბიული სიტყვები კი ამოტივტივდებიან და იცოცხლებენ. სამუდამო არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ სანამ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა იცოცხლებს, აკაკის მახვილი სიტყვა დაუვიწყარი იქნება და მისი ლექსები კი სკოლაში, ქრესტომათიაში დარჩება.

„ჩემი თავგადასავალიც“, ეტყობა, დასავიწყებლად გაემეტებინა.

თუმცე აკაკი წერეთელი სულაც არ მიიჩნევდა ამ ქმნილებას თავის რიგით თხზულებად და საკუთარი შემოქმედების გვირგვინადაც კი ესახებოდა.

მემუარებს ხომ არ წერდა, არამედ — ავტობიოგრაფიულ რომანს. და თუ მანამდე გულს აკლდა, როგორც მენდა, ისე მაინც ვერ წარმოვსახე საქართველოს ბედკრული ყოფაო, ავერ ხომ მიეგნო იმ ჟანრისათვის, რომელიც ყველაფერს გადაწვებოდა და მის პოეტურ სამყაროს რეალურ სივრცედ ამოუკერებოდა.

პოეზია თუ სინამდვილეს მოითხოვს სრული ზეობისათვის, ესეც ის სივრცე დიდი ჰარმონიის დასამყიდრებლად.

„პოეზია და სინამდვილე“ სულაც სახელწოდებად შეერჩია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს თავისი ავტობიოგრაფიული რომანისათვის.

აკაკი წერეთელი არ გაიმეორებდა სათაურს, თუმცე იმ შინაგან სტრუქტურას საცხებით გაიზიარებდა და თავის ავტობიოგრაფიულ ქმნილებას პოეზიისა და სინამდვილის მიჯნაზე გაიზარებდა.

იღუმალეა ამიტომაც შემოზღვენიდა ხალისით, ყოფითი დეტალების სიუხვით გადავსებულ თხრობას, ასე ძალდაუტანებელს, ასერივად მსუბუქს, მაცთურს თავისი სიირობით, შენც რომ გიბიძგებს — ინტერპოლაციები თუ გენბავს, რა გიშლის, რომ ჩანარები და გაგრძელებანი შემატო, მითუმეტეს, განწყვეტილა და ვეება ქმნილების ნაცვლად მისი დასაწყისი შეგვრჩენია ხელით.

მაცთურებას სწორედ მაშინ მიხვდები, როდესაც ამ სტილისტიკის შეთვისებას მოინდომებ, თხრობის ამ მანერასთან შეჯობებას.

აკი გვიო გეგეტყორსაც საკუთარ თავზე უნდა გამოეცადა, თუ რას ნიშნავ-

და აკაკისთან გაჯობება.

ისედაც გულში ელოლიავებოდა ამ ოცნებას, ნეტა ყმანვილებისათვის აკაკის ბიოგრაფია შემადგენინაო, და გამომცემლობა „ნაკადული“ ამ პროექტს რომ შესთავაზებდა, ისე აღტაცდებოდა, როგორც... თუნდ ნარზე მჯდომი ჩიტი, ხელის აქნევას რომ ელოდება.

ხელიც აქენიათ, ისიც მოსხლეტოდა წარს და...

ხან ვის შესჩივლებდა და ხან ვის დაოთარ ჩხეიძესაც გაუმხელდა:

ჩემი ოცნების ნიგნის დაწერას შევეუდექი და უნუგემოდ გავეჩრდი, არ გამომდის, არაფრით არ გამომდის აკაკის საყმანვილო ბიოგრაფიაო.

ალბათ იმავე სტილით მოინდომეო, — ეს მიუხვდებოდა.

აბა, როგორ უნდა მოინდომო... იმ სიმსუბუქის მიღწევა მინდოდა, იმ ლაპიდარობის, მაგრამ უეცრად აღმოვჩინე, რომ ხელიდან გამისხლტა ყველაფერიო, — დანანებით აქნევდა თავს პოეტი და მნიგნობარი.

ასეთი განზრახვა იგვიევა, რომ შენც მეხუთე სახარების დაწერას აპირებდეო, ოთარ ჩხეიძემ, და თუმცე იმნამც გვიო გეგეტყორი გაცოცებით შეხედავდა და კრინტსაც არ დაძრავდა, რამდენიმე ხნის შემდეგ საღამზე პასუხის ნაცვლად მომახარებდა: ეს რა მითხრა ბატონმა ოთარმა, მე თვითონაც რაც ვიგრძენი და სახელი კი ვერ დამერქმია, ფორმულასავით ჩამომიყალიბა, ეგრეა, აკაკის მემუარები მართლაც მეხუთე სახარების მოღანდებას გიჩენსო.

\*\*\*

„ჩემი თავგადასავალი“ ისე უღიმამოდ, ისე ძლივძლივით აიკრიფებოდა დახლებიდან, ძალიან გაოცდებოდნენ აკაკი წერეთლის ყველაზე ერთგული მკითხველები.

ჯერ ისედაც რა ტირაჟი იყო და ნუთუ ისიც ვაივავალახით უნდა ჩანრეტილიყო?

უზომო პოპულარობისათვის მიეღწია და, თუ ვინმეს ბიოგრაფიას უნდა გაეღვივებინა არამარტო მკითხველების, არამედ ლიტერატურასთან შორიახლო მდგომი ადამიანების ცნობისწადილი, ერთი უპირველესთაგანის ალბათ აკაკის.

სახალხო პოეტობა ხელისუფალთა მონდომებით კი არ მოეხვება, მართლაც მიეღწია ამ სახელისათვის, უურნალის რედაქცია იყო თუ გაზეთის, მისი მიწვევა სათანამშრომლოდ ყველას გულით ენადა, რადგანაც იცოდნენ, ამ პიროვნების სახელის გამოჩენა მკითხველთა წრეს გაუზრდიდათ, პატარ-პატარა გამომცემლობებიც ამასვე იმედოვნებდნენ, რომ მისი ნიგნებით მოითქვამდნენ სულს და კიდევ გადადიოდა მისი ლექსების კრებულები თუ მოთხრობები ხელიდან ხელში... რალაც განსაკუთრებულად თუ არა, სხვების პოპულარობას საგრძნობლად სჭარბობდა... ერთადერთი ალექსანდრე ყაზბეგმა გადაამეტა ერთი აკვრით, თუმცე აკაკი მალევე დაიბრუნებდა ჩამორთმეულ პირველობას ჭეშმარიტ ღირებულებათა შექმნის მხრივ ყველაზე პოპულარული მწერლისა. რას იზამ, შეგუებით ყველა შეგუებულნი უნდა ვიყოთ, რომ ფსევდოლიტერატურულ ნიმუშებს ნამდვილი მხატვრული მონაპოვარი ვერასოდეს შეემეტოქება „ხალხში გასვლის“ თვალსაზრისით. ამიტომაც ნამდვილმა მწერლებმა ურთიერთ თუ თვითშეფასებისას უნდა იკმარონ საკუთარ წრეში ტრიალი და მძაფრი სულიერი ჭიდილი — რათა არც ჭეშმარიტ მხატვრულ ძიებებს მოაკლონ რაიმე და არც ძალიან ვიწრო ჩარჩოში მოემწყვდნენ, მკითხველთა მცირე აუდიტორიის ამარა რომ არ დარჩენენ.

რაოდენ ელიტარული მოვლენაც უნდა იყოს მწერლობა, აუცილებელია მისი ზეგავლენა რაც შეიძლება შორს აღწევდეს.

საამისოდ რალაც საიდუმლო უნდა გცოდნოდა.

ან უფლის ნებიერი ყოფილიყავი.

აკაკი წერეთელს უთუოდ მოეხსენებოდა ის საიდუმლო, ხალხის გულისთქმისათვის ალლოს ალბა და საკუთარ ფიქრთა, პოეტურ მისწრაფებათა გამოხვევა ამ გულისთქმაში.

და თუმცე უფალს სხვა მხრივ არ გაენებვივებინა, სახალხო სიყვარულისაკენ კი გაეხსნა გზა მისთვის.

ახლა კი რა ხდებოდა, რატომ ვერ გადაქცეულიყო აკაკი წერეთლის გზასავალი და გარემო მის თავყანისმცემელთა უშველებელი აუდიტორიის სულიერ საგზლად? ჩვენთვის თუ საუკეთესო გზამკვლევი მისი ავტობიოგრაფიული რომანი

დროის სულში შესაღწევად, მათ რატომ არ მოინდომეს იმ რეალობაში უკეთესი გარკვევა, რომლის ნიაღვრეც აწყდებოდნენ აქეთ-იქით და შემოსალტული სივრცეებიდან კი გასაღწევი ვერსად ეპოვნათ? აკაკის ლექსებიც მოათქმევინებდათ ხოლმე სულს, და მითუფრო უნდა მიტანებოდნენ მისი ცხოვრების ქრონიკის კითხვას, მაგრამ...

ეტყობა, მართლა არ იყო საამისო დრო.

ჯერ დასავლეთშიც, თორემ... და თვით აკაკი წერეთელსაც ამიტომ გაუჭიანურდებოდა წერის პროცესი — რაღაც უჩვეულოს რომ შეებოდა, ერთი შეტევით ვედარ მოეთავებინა და იმთავითვე ხანგრძლივ დროზე გაეანგარიშებინა.

ასეთი მომცრო ქმნილებისათვის ძალიან ბევრია 14 წელიწადი — 1894 წლიდან 1908 წლამდე.

თუმცა ასეთი დანერგული, ლიტერატურულ ფორმულაზე აგებული პორტრეტების სერიისათვის იქნებ არც ისე ხანგრძლივი იყოს — ფსიქოლოგიურ დაკვირვებებსა და ყველაზე ზუსტი შტრიხების მიგნებას, ამა თუ იმ პიროვნულ თავისებურებასა და სამწერლო-საზოგადოებრივ ღვაწლს ხელის-გულზე რომ გადაგიშლიდა, დიდი სულიერი გარჯა და სულაც ჭაპანწყვეტა ესაჭიროებოდა — რაღა ლექსის თვითუფლები პნკარი და რაღა ეს პორტრეტები: ივანე კერესელიძის, ალექსანდრე ორბელიანის, ლავრენტი არდაზიანის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის...

აქ წყდებოდა სიუჟეტი ჩვენდა სამწუხაროდ, — უკანასკნელი რგოლი ეს სილუეტები აღმოჩნდებოდა... ისე საგულთსხმოა, რომ მაინცდამაინც ამ აპოთეოზურ სტრიქონებთან უნდა მოთავებულიყო „ჩემი თავგადასავლის“ ეს ნაწილი, თვით ავტორზეც ძალდაუტანებლად რომ განზოგადდებოდა:

— აი, სწორედ ამისთანა დევი-გმირზე, როგორც იყო განსვენებული დიმი. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგო“.

არადა, ანი და ანი უნდა გამოილიყო ავტობიოგრაფიული რომანის სიუჟეტი და ავტორიც ისე დაიმედებულიყო.

გიორგი წერეთლის სილუეტს ამ სიტყვებით რომ შემოხაზავდა — „ის ერთი პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეებში“ — იქვე დასძენდა:

— რადგანაც წინ ბევრჯერ მომიხდებოდა იმაზე საუბარი...

ნიკო ნიკოლაძის პორტრეტსაც ეს ფრაზა შეკრავდა:

— აქ მხოლოდ ამით გავათავებ ამ კაცზე ლაპარაკს, რადგანაც წინაც ხშირად შეგვხვდებოდა...

სადა იქნებოდა ან ეს „ბევრჯერ“ და ან ეს „ხშირად“...

თავს იმხვევებდა და წვეთწვეთობით აგროვებდა მასალებს გაგრძელებისათვის.

ნეტა ის ფიქრიც თუ გასჩენოდა, მეხუთე სახარების ქარგას ვამზადებო?

ძვილი და ახალი აღთქმით სუნთქავდა, იმ ასოციაციებითა და ალუზიებით აღვსილიყო მისი მხატვრული ძიებანიც და პუბლიცისტური სერიაც და ბიბლიურ ნინასწარმეტყველთა დარად მიმოიხედებოდა ხოლმე ირველიც... და რა გასაკვიროია, იმთავითვე მაინცდამაინც ასე თუ არ ჩაეთქვა, თანდათან მიხვედრილიყო, მგონი... მგონი მახარებელთა გზას შევედგომივარო.

იმ წიაღიდან კი წამოეღო სტილური მანერა და...

ბიოგრაფიული ქრონიკა თუ როგორ წარმოსახულიყო.

ეგაა, იმათ თავიანთი მოძღვარი დაეგულეებინათ თხრობის გმირად.

ამას საკუთარი თავის ირველივ გაეშალა სიუჟეტი, რომელიც თანდათანობით საქართველოს გარშემო მოიქსოვებოდა, ჯვარცმული ქვეყნისა — აღდგომის მოლოდინში.

ესეც „ჩემი თავგადასავლის“ იდეური მრწამსი და კომპოზიციური საძირკველიც და არქიტექტონიკაც.

ამ განზრახვას არ გადაუხვევდა: საკუთრად ჩემს შესახებ იმდენი არ იქნება, რამდენიც სხვებისაო.

სოფელსა შინა შემოეგზავნა ეს წიგნი, დამთავრებასაც აღარ უცდიდა და ნაწილ-ნაწილ სთავაზობდა მკითხველს — უკვე იცოდეთ, რაც იქნებაო.

მაგრამ... სოფელი ვერც „ჩემ თავგადასავალს“ იცნობდა და კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდნენ მისი დამფასებელი და ახალ-ახალ ტომთა მომლოდინენი.

\*\*\*

მართლაც მეხუთე სახარების მოღანდება გიჩნდებაო, — აფოფინებულიყო გივი გეგეჭკორი.

რაღაც ამგვარი განცდა დავით წერეთლიანსაც გასჩენოდა.

მტკიცებას რომ მოჰყვებოდა: მართალია აკაკი რომატიკოსად ვერ ჩაითვლება, მაგრამ საკმაოდ საეჭვო რეალისტიკაო, — თვალსაჩინოებისათვის ამ თხზულებებსაც მოიხმობდა:

— მის პროზაში რეალისტურს ზღაპრულ-რომანტიკული ელემენტი სჭარბობს, არა მხოლოდ „ბაში-აჩუკში“, არამედ „ჩემს თავგადასავალშიც“ კი, განსაკუთრებით ბავშვობის ეპიზოდებში.

ინტონაციაზე ეტყობა, რომ მკვლევარი შიშობს, არ დამიჯერებენო, მაგრამ ვალდებულად რაცხს თავს, თამამად გამოთქვას ეს „უცნაური“ მოსაზრება.

„ბაში-აჩუკი“ გასაგებია, ამ ყაიდის ქმნილებაში აუცილებელიცაა არამარტო რომანტიკული, არამედ ზღაპრული ნაკადიც, მაგრამ მემუარების ნიგნში?.. თანაც თურმე ბავშვობის ეპიზოდებში განსაკუთრებით.

მაგრამ თუკი მართლაც ასეა? აშკარაა, დავით წერეთლიანის „ზღაპრულ-რომანტიკული“ იმასვე უნდა გულისხმობდეს, რასაც ოთარ ჩხეიძის ფიქში „ჩემი თავგადასავლის“ გაიგვიება მახარებელთა დაუნერვლ ნიგნთან.

უადრეს სიმსუბუქესა და სისადავეში არეკლილი უჩვეულობა როგორი ცნებითაც გინდა განსაზღვრე, მთავარია, რომ აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული რომანი რაოდენ მიჯაჭვულიც უნდა მოჩანდეს დროის ქრონოლოგიაზე, თავისი სულისკვეთებით არღვევს ამ ქრონოლოგიას და უფამოხაში იჭრება.

არ გვიკვირდა, ამ სტილისტურ წრეში რომ მოქცეულიყო წმინდა ნინოს ცხოვრების ქრონიკაც და გრიგოლ ხანძთელისაც, ექვთიმე ათონელისაც და გიორგი მთაწმინდელისაც — მათი შემქმნელნი ხომ უშუალოდ შთამომავალნი იყვნენ მახარებლები... მაგრამ თითქოს საერო წრეში შექმნილი თხზულებაც რატომ უნდა ამოვლებულიყო იმავე ემბაზში?

ამჯერად ასე განერიგებინა ზეცას. და ახალი ეპოქის მახარებლად აკაკი წერეთელი შეერჩია, პოეზიისა და სინამდვილის ჰარმონიულობისა და განუყოფლობის, მათი იდუმალი შეზავებისა თუ ურთიერთმონაცვლეობის უფაქიზეს შემგრძობდა და ამ იდუმალების შესაფერის ამმეტყველებდა.

გოეთეს რომ არ დაეხსრო ეს სათაური, აკაკი წერეთელი რა სიხარულით ნაანერდა ავტობიოგრაფიული რომანის თავფურცელს: პოეზია და სინამდვილეო.

\*\*\*

აპი პავლე ინგოროყვასაც ძალიან უყვარდა დიდი გერმანელის ეს ავტობიოგრაფიული რომანი და, მარჯვე შემთხვევას იმოყვინდა თუ არა, გერმანულად გაახშიანებდა ამ სახელწოდების ორივე შემადგენელ სიტყვას. გოეთეს სახელს არც ახსენებდა, მაგრამ მაინცდამაინც იმის მშობლიურ ენაზე დამოწმება „პოეზიისაც“ და „სინამდვილისაც“ სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა — გოეთეს მოიგონეთო.

როდესაც ირწმუნებოდა: „ვეფხისტყაოსნის“ იდეალური პერსონაჟები პოეზიის ჯადოსნურ სარკეში გამონათებით განასახიერებენ შოთა რუსთველისა და თამარ მეფის გრძნობებს და ამ გმირებზეა გადატანილი ცალკეული ხაზები ამ პიროვნებათა ცხოვრებიდანო, — სწორედ ამ კუთხიდან გაიზრება ეპოსის ისტორიულ სარჩულს: „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, პოეზიაა, მაგრამ, ამასთან, თვალნათლივია სინამდვილის ანარეკლიო.

და ასე ამოჰქონდა პოემის სიუჟეტიდან XII საუკუნის საქართველოს ისტორიული რეალობა, ის, რაც მანამდე აკაკი წერეთელს უკვე შეემჩნია და პავლე ინგოროყვა მის გზას ადგა შოთა რუსთველის ბიოგრაფიის აღდგენის ცდისას.

პავლე ინგოროყვას ასე ჩინებულად რომ მოეხსენებოდა პოეზიისა და სინამდვილის გადაკვეთანი და მათი იდუმალი შერწყმა-დაცილებანი, გარდა ტალანტი-სა, აკაკი წერეთლის პიროვნულ ხასიათსა და შემოქმედებით ბუნებაში ღრმად შეღ-

ევაც დაეხმარებოდა, ისეთი რეალების მიგნება, რომელთაგან ზოგს ზუსტი ცნებებითაც განსაზღვრავდა, და ზოგსაც მხოლოდ ალლოთი შეიგრძნობდა.

იქ კი შეეწეოდა, შოთა რუსთველზე დიდებული მონოგრაფიის შესაქმნელად, მაგრამ თვითონ აკაკი წერეთლის ბიოგრაფიას კი ვერ გაშლიდა შესაფერისად — ინგოროყვასებური ხელოვნებით, და მისი ნარკვევი აშკარა ჩავარდნა აღმოჩნდებოდა „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთა“ (ციკლიშიც, არამცთუ „ქართული ცივილიზაციის ისტორიის“ საერთო ფონზე. ორიოდ პასაჟში თუ იგრძნობა, თუ ვინ არის ამ თხზულების დამწერი, თორემ მთლიანობაში ვერც ივარაუდებ, პავლე ინგოროყვას თუ მოეკიდა ხელი აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისთვისაც. თავის დროზე თუ ნაჩქარეობით დავმართა, მერე რაღა უშლიდა, საგულდაგულოდ გადაემუშავებინა?! და მთლად თუ ვერ გაუტოლებდა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეზე შექმნილ ბიოგრაფიულ თხზულებებს, ძალიან აცდენილიც არ ყოფილიყო იმ დონეს.

ეგებ იმ ავტობიოგრაფიულმა რომანმაც შეუშალა ხელი — ვერც აჰყვა, ველარც გამოშორდა და პოეზიისა და სინამდვილის ძალზე სქემატურ მონახაზს ამიტომაც დაყაბულდა.

ონა მუხარგას განზრახვის ორიოდ ფრაგმენტი დარჩებოდა.

ლეგან ასათიანი გასრულებით კი გაასრულებდა აკაკი წერეთლის ცხოვრების ნიგნს და საკმაოდ დიდტანინასაც, მაგრამ ბევრი ვერაფერი გამოუვიდოდა, ვერც კი მიუახლოვებოდა თუნდაც მისივე მცირე თხზულებას „ვოლტერიანობა საქართველოში“.

აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე“ თავისთავად ჩინებული ანალიტიკური თხზულებაა, პოლიტიკურ პამფლეტადაც შთამბეჭდავი, მაგრამ ცხოვრების ქარგის აღდგენას სრულიად აარიდებდა თავს.

ამდენი ხანი გასულა და აკაკი წერეთლისა ასე თუ ისე რიგიანი ბიოგრაფიული ქრონიკა არ მოგვეპოვება და არც ვიცით, ოდესმე შეიქმნება თუ არა მისი სახელის მეტ-ნაკლებად შესაფერისი ბიოგრაფიული რომანი.

რომ ჩაუფიქრებ, „ჩემი თავგადასავალი“ თვითონვე აღგვიმართა დაბრკოლებად...

თუმც სიცოცხლის აზრიც რა ყოფილა, თუ არა ნინაალმდებობათა გარღვევა და სინამდვილისა და პოეზიის ის შეთანადება ერთიმეორესთან, რაც დრამატუზმით აღავსებდა აკაკის სულსაც, მაგრამ ხან ცრემლი განზანილი სიცილის გუნებაზეც აყენებდა და იმეორებდა და იმეორებდა:

ჩემს ცხოვრებასაც თუ ცხოვრებაჰქვია — ცოლი მყავს და არა მყავს, შვილი მყავს და არა მყავს, პენსია მაქვს და არა მაქვსო.

მიუხედავად გარკვევას აღარც ცდილობდა, თუ რატომ ერგუნა ასეთი ყოფა, ან ის რაღა იყო, მუდმივი სადგომიც რომ ვერ ეშოვნა თბილისში, თუმც ყველას კარი ღია გახლდათ მისთვის, ოღონდაც გვესტუმრე და რამდენ ხანსაც გენებოს დარჩი, სასტუმროებს ნუ შეხიზნიხარო...

თავის გზას მიჰყვებოდა მუხლჩაუხრელად, მეომარივით შემართული, ქვეყანა თავზე გვექცევა და რაიმე თუ არ ვილონეთ, იქნებ შთამომავლების სსოვნაში აღარც დავრჩეთ, რადგანაც ვედარც გაარკვევენ, ვისი მემკვიდრენი არიანო.

შვილი მყავს და არა მყავსო...

რუსეთიც მოველო და ევროპაც ალექსი წერეთელს, ყველა ხალხის ცხოვრებას გასცნობოდა, ყველას ადათ-წინაშიჩაეხედა, ანტიპრენიორობდა, რუსეთის საოპერო დასს დასდევდა... ეგაა, მის მრავალფეროვან ინტერესებში არსად მოინახა ადგილი მისი მამაპაპული ქვეყნისათვის — ენასაც უნუგეგმოდ მოწყვეტოდა, ისტორიასაც, თანამედროვეობასაც, მომავალი ხომ არ ანადვლებდა და არა, გინდ გადარჩებოდა სასტიკ ქარტესილებს, გინდ არა მამამისის სამშობლო, ალექსის რატომ უნდა ეთავიციებოდა, როდესაც რუსადაც ჩინებულად შეიგრძნობდა თავს.

ერთი ეგაა, ხან ვის სთხოვდა და ხან ვის, ეგებ მითარგმნოთ მამაჩემის ლექსები და როგორმე გავიგო, თუ რას წერს და რამხელა პოეტიაო.

სხვებში ჩამოსულს გული არ უდგებოდა და ისევ პეტერბურგისა თუ პარიზისაკენ მიიწევდა... მის იმ ახირებულ



ალექსი წერეთელი

ჩვეულებასაც ყველა მიაქცევდა ყურადღებას: სულ მალლა რომ იყურებოდა.

ასეთი ჩვეულება აკაკისაც ჰქონდა ბუნებრივად თანდაყოლილი და შთამომავლობით თუ გამოყვანა შვილსო, — გვაუწყებს კოკი აბაშიძე და იმ სიტყვებსაც შემოგვინახავს, შვილის შემხედვარე გალიზიანებას რომ ვერ იკავებდა, თუმც მაინც ცდილობდა ჰუმორით გაენელებინა გულისწყრომა:

— რაღა თავის ანევაში დამემგვანა მაგ დალოცვილი და სხვაში კი არაფერში. მე თუ მალლა ვიყურები, გასამართლებელი საბუთი მაინცა მაქვს: ვარსკვლავებს ვეთამაშები, ცას შევხარი, მზესა და მთვარეს შევნატრი. მაგას კი რომ აუღერია ეს თავი, ნეტავი რას უყურებს, ანდა უყურებს კი რამეს?..

შვილსაც აქილიკებდა და თავსაც იწვევებდა, რაკილა თავანულ სიარულს მართოდენ რომანტიკული განწყობილებით არ დაჩვეულიყო, ვარსკვლავებთან შეთანაშებინა თუ მზე-მთვარეზე აოცნებების წაღილით — ქუთუთოს დამბლასაც აქულებინა თავი უკან გადაენია, რათა საგნებს თავთავისი სახე არ დაეკრავათ.

გეგონებოდათ, სადაც შორს გაიქცირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო, — ილია ზურაბიშვილიმა.

თითქო საგანთა მიღმა იცქირებოდაო, — გრიგოლ რობაქიძემ.

თუმც მოხდენით იხდებოდა ასეთ სიარულს და აგერ, ზეცასაც იმონებდა შთამაგონებლად, გული მაინც ესერებოდა ამ სენის მოულოდნელი მოვლინებით — ცას ისედაც მიბმოდა სულთერად და ზემოთ ახედვაც არასოდეს ავიწყებოდა, მაგრამ ჩამოშვებული ქუთუთოები იმ მინის დანახვას უძნელებდა, რომლის გულისთვისაც გადაეღო თავი და პოეტური ტალანტიც დაუნანებლად გაეწირა, რადგანაც ამ მინას მისი ტრიალი უფრო ესაჭიროებოდა ხალხში, ვიდრე ბროლის კომპი გამოკეტვა და შედეგთა დაუსრულებელი წყების დალაგება.

მითარგმნეთ, გამაგებინეთ, რა ლექსებს წერს მამაჩემიო, — ცნობისწადილი ჰქლავდა ალექსის.

პენსია დაენიშნათ და არც დაენიშნათ. სადგომი ჰქონდა და არც ჰქონდა.

ცოლ-შვილი ჰყავდა და არც ჰყავდა. სამშობლოს ხსენებას ერიდებოდა

ასეთ გაშარებულ კონტექსტში, თუმც — ისიც ჰქონდა და არც ჰქონდა.

და ისედაც ყოფილი საქართველოს ტერიტორიად გამოცხადებული მინა-წყალი დამბლამორეული ქუთუთოებიდან ნისლსა და ბუნდოვანებაში იძირებოდა.

თავს იმშვიდებდა: პოეტური ნისლეულებსა და იდუმალებასო.

სინამდვილის პოეტურობა...

პოეზიის სინამდვილე...

„ჩემი თავგადასავალი“ საბოლოოდ მოარიგებდა ამ მოვლენებს მის მხატვრულ სამყაროში, უთვალავფერადობით ხილულ რეალობას რომ არ ჩამოუვარდებოდა, ახლა ეს ფერები ავტობიოგრაფიულ რომანშიც გადანაცვლებულიყო და რომანტიკულ-ზღაპრული იერიით მოსადავ თხრობას, ახალი სახარების ილუზიასაც აჩენდა და საუკეთესო თარგსაც გთავაზობდა, თუ რა სტილისტიკა დაშვენდებოდა ყველაზე მეტად ბიოგრაფიულ რომანს აკაკი წერეთელზე.

ვინ გამოჩნდებოდა დამწერი, თორემ...

\*\*\*

ბრძნობით ვგრძნობდი, განა არა, ეგაა, სახელი ვერ დამერქმიაო, — ირწმუნებოდა გივი გეგეჭკორი.

# აკაკის ლანდი

იზრდებდა ბიჭი და ჰგონია, არ გაჩენილა, წერს ლექსებს, — მაგრამ, — იცის, ჯერ არ დაუნერია და ერთ ლამესაც საჩალეში გაეღვიძება... როცა პოეტი თავის თავზე მშობიარეა.

ასე იბადება ზოგჯერ პოეტი. აკაკი წერეთლის საიდუმლო დაბადება მისი "საიდუმლო ბარათია", ისევე, როგორც ქართული ლირიკისა. თუმცა ჩვენს ლიტერატურას მანამდეც ჰქონდა ბევრი ლირიკული შედეგები, ლირიკა, როგორც ლიტერატურის ფანრი, აკაკის ღვაწლია.

ამის ერთი ბუნებრივი სათავე ისაა, რომ ქართველ მწერალთა რიგში აკაკი პირველი იმერული პოეტი. მან პირველმა გახსნა იმერული სკივრი, ისევე, როგორც მოგვიანებით ვაჟა-ფშაველამ ხურჯინი.

აკაკიმ პირველმა აამღვრა აღმოსავლურ-ქართული ლექსი, თუმცა კი გვყავდა ევროპული პოეტი ბარათაშვილი... ისევე, როგორც გალაკტიონმა და "ცისფერყან-წილებმა" იხსნეს ქართული ლექსი აღმოსავლურ-ქალაქური კალაპოტისგან... ასე, რომ, საქართველოში არც ერთი კუთხე არ დაკარგულა, რომ მწერლობაში არ დაეტოვებინა თავისი სულის გამომხატველი შვილი.

ზოგს ახივებს სჭირს, პოეტის სუსტი ლექსები ითვალის. მამაცხონებულო! — პოეტის სახე მისი კარგი ლექსებია.

ზოგს ახივებს სჭირს, ერთმანეთს შეადაროს პოეტები — აკაკი, ვაჟა, ილია... მამაცხონებულო! — პოეტებს ვეკლებათ, რომ ერთმანეთის გამომრიცხავნი იყვნენ.

ჩვენ კი, მკითხველებს, მოგვეთხოვება, რომ პოეტები ისეთები გვიყვარდეს, როგორებიც არიან.

ზოგს ახივებს სჭირს, ილიას პოეზიას მისი პროზა და პუბლიცისტიკა ამჯობინოს... მამაცხონებულო! — ეგრე ადლი გიმოვიცა!

ეს კი ნამდვილი ამბავია, რომ ყველას უნდა გენიალური ლექსის დანერა და ზოგჯერ საკუთარ თავს შეუკვეთავს — დანერეო! მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ისტორიაში, რომ პოეტს ეთქვას და თავის გადანყვებილება რეალურად შეესრულებინოს. პოეტი ყველა ლექსს ერთი ძალით წერს, რომელთა შორისაც, შემთხვევით, რომელიმე აღმოჩნდება ხოლმე — "გენიალური." მე მგონია, აკაკი იყო ასეთი პოეტი. არა მგონია, მას "საიდუმლო ბარათი", "განთიადი", "სულიკო" და კიდევ სხვა ათი-თორმეტი ლექსი, წინასწარ განზრახვით "გენიალურ" ლექსად დაენეროს, მით უმეტეს, წარმოედგინოს მათი შემდგომი ლიტერატურული განზოგადება... მაგრამ ეს ლექსები ჭეშმარიტად გენიალურია!

მგონია, "ჩემო სულიკო" სულაც, "მაია დუშჩიკას" გადმოსაქართულებლად ნამონიყო, და, სად უნდა გამოეცადა ეს ახალი სიტყვა თუ არა სასაფლაოზე... აკაკის ჩანგი რომ არა, ახალ ენობრივ სივრცეში ქართული ლექსის ფერადობა ვერ ეღირსებოდა უმადლეს სიმსუბუქეს.

ერთხელ, უნივერსიტეტში სწავლისას, სამცხე-საბურთალოს თემად აკაკი წერეთლის "გამზრდელი" ავირჩიე. თემის ხელმძღვანელმა პროფესორმა გაკვირვებით მკითხა — ვაჟა? მიზეზი, რომელიც არ გავამხილე, ის იყო, რომ მე ვაჟა "ვიცოდე". აკაკი კი — "აღმოვანინე." როგორც ჩანს, თავხედობის გარეშე ვერ გაიზრდები... კაცმა მეტი სწორი გზა იცის, ვიდრე ისაა, რომელსაც მიჰყვება.

დაბოლოს: აკაკის გარდა არავის არ მოხდენია ზედწოდება "მგოსანი." "ჩანგიც" აკაკიმ მიიკრა პირველმა გულზე...

წერდის ამ ფრაზებს და ვცდილობდი დიდ გრძობაზე არ შევვარდნილიყავი... ტკბობა მერჩია. აკი ერთ-ერთი ლეგენდა აკაკიზე გვეუბნება, რომ ის ტკბილი პოეტი, ბუღბუღლია... მაგრამ ამ სიტყვობი როგორ სიმწარეს მოიყოლიებს!.. და მეც, ბუნებრივად, რომელიც "ტკბილ" ჰანგზე ავფეთქდი... ახლა ზოგი ცდილობს, რომ საქართველო განურთნოს სხვა და სხვა დარად... — მამაცხონებულო!..

თუმცა კი ჩვენს ხალხში, აკაკის შემდგომ, ნაკლებ იმატა და მადლს კი იოტისოდენადაც არ მოუმატია...

დღეს ბევრი სხვა და სხვა ცდილობს პოეტი თავის აზრზე ამყოფოს. პოეტს კი, ორმოცად გაყოფას, ურჩევნია ერთი იყოს... იფიქრებ ასეთს, აკაკიზე თუ გადავწყობი, თუ ეზიარები მის სულს, თუ უფრო მეტად ჩაისუნთქავ მის "უკანასკნელ ლექსს."

გისი ხარანაული


# „მარტო თქვენი ლექსი გაუზუქებს



კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე

„...ღღეწანდღღამდე ნათქვამი, ნაფიქრი, დანერვილი და გამოქვეყნებული ავტოკეფალიის შესახებ დარწმობილია მარტო-მარტო ნიგნებში და ჟურნალ-გაზეთებში. არამც თუ გულამდე, ხალხის ყურადღინაც ვერ მიაღწიეს ამ ნიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა... ბატონო აკაკი, მარტო თქვენი სიტყვა მოედება ალად დიდსა და პატარას, მარტო თქვენი სიტყვა აამოძრავებს ერთსულოვნებით ერის ტალღებს, მარტო თქვენი სუბუქფრთიანი ლექსი ჩაუძვრება სულში ქართველ ერს... თქვენი ლექსი გაუშუქებს მთელ ერს ავტოკეფალიის საკითხს, ყველას შეეყვარებს მას გულით და შეთანხმებულად აღძრავს დიდსა და პატარას ამ ხელიდან ნაგლეჯილი საუნჯის დასაბრუნებლად... ასეთი ლექსის, ასეთი ჰიმნის შექმნას მოითხოვს თქვენგან თქვენი დედა ეკლესია, დიდებული მგოსანო...“ — ეს წერილი ეპისკოპოსმა ლეონიდემ (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) აკაკის 1914 წელს მისწერა. მაშინ, წერილის ავტორმა არ იცოდა, რომ „ასეთი ჰიმნი“ მგოსნის მიერ უკვე შექმნილი იყო — ლექსი „ხმა“, როგორც მოწოდება ერთიანი ამბოხისაკენ „ხელიდან ნაგლეჯილი საუნჯის დასაბრუნებლად“ 1898-1900 წლებში დაინერა. იგი აკაკის სიცოცხლეში არსად გამოქვეყნებულა, მაშინდელი ცენზურის პირობებში ეს ნარმოუდგენელიც იყო, ამიტომ სამშობლოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენაზე მოფიქრალ ქართველთა შორის „ხმა“ ფარულად ვრცელდებოდა. ამის დასტურია კირიონის საარქივო ფონდში შემონახული ნუსხა ლექსისა, რომელიც ავტორის გარეშეა. ნუსხას ახლავს ტროფიმე ინსარაძის ბარათი ბეჭდით, სადაც წერია, რომ „ხმა“ ნაკითხა თავის ნათლიას, რუს სოლოვიოვს, როგორც სანდო ადამიანს და უბრუნებს ტარასი კანდელაკს.

„ხმა“ ცარისტული რუსეთის კოლონიზატორული რეჟიმის მძვინვარების ხანაში შეიქმნა, როცა პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის დაკარგვით ქართველი ხალხის სულს და აზროვნებაში გაჩენილი იარები სულ უფრო ღრმად დაეჭვებოდა. ეკლესიასა და საერო უწყებებიდან ქართველ ენის განდევნამ და მისი რუსულთა ჩანაცვლებამ მოიტანა უნივერსიტეტების დახურვა და მისი რუსულთა ჩანაცვლება და საერო უწყებების რუსულთა ჩანაცვლება და საერო უწყებების რუსულთა ჩანაცვლება და საერო უწყებების რუსულთა ჩანაცვლება...



ლეონიდეს წერილი აკაკისადმი. 1914 წ.

## ხმა

1. გარს ეხვევიან ვარსკვლავნი ცაზე ამოსულ მთვარესა!... შექათქათებენ ბრწყინვალეს, სხივს რომ ფენს არემარესა!...
2. გარს ევლებიან წმიდნდანი დედოფალს — დედაღვთისასა!... შეგალობ-შელაღადაბენ, მადლს რომ ფენს ქვეყნად ძისასა.
3. სამოთხის კარზედ ქალწული დამჯდარა ოქროს სელზედა: ბროლის თითისტრით ლალის ძაფს ართავს და იხვევს ხელზედა...
4. კვართსა ქსოვს საქართველოსთვის, ქვეყანა მის წილხვედრია! და ის წყალობაც საქვეყნო თამარის შენავედრია!
5. რომ გაათავებს ხელსაქნარს, გადმოფენს საქართველოსა და ააყვავებს ფერადათ, ვით გაზაფხული მდელოსა!
6. მაგრამ ეს ერთი ხანია ბოლოს ვერ აბამს ხელსაქნარს!.. რალაცა უშლის სინმინდეს, უკულმა სცარავს თითისტარს.
7. თავზე ადგიან დედოფალს ნინო, ქეთევან, თამარი, ხორციტ ყვავილი ივერთა და სულით წმინდა ლამპარი.
8. ატირდენ წმინდა დედანი, დაღონდა დედა ღვთისაცა და შეეკითხა, განგება ხელში უპყრია ვისაცა:
9. „რა მიზეზია, რომ მადლი ველარ სჭრის რჩეულ ერზედა და საქართველოს ვხედავთ დღეს სულ სხვა გუნება-ფერზედა?“
10. მიბრძანდა იესო ტკბილი და უთხრა: „ნუ სწუხ, დედაო, დავფიქრებულვარ მრავალჯერ მეც მალლით მაგაზედაო!“
11. ის აღარ არის, რაც იყო შენი წილხვედრი ერიო! იმას უშვრება თავის თავს, რასაც ვერ უზამს მტერიო.
12. აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი, არც სადმე სასწაულიო!... და ჯოჯხეთის სიბილნით გადარეცხია გულიო.
13. გადაუგდია გულიდგან ჩემი მოძღვრება-მცნებაო და მეც სასჯელად დაუდევი იობის მოთმინებაო!...
14. „ნუ გულისწყრომით ამხილებ და ნუცა რისხვით სწავლი მათ!“ ეკვერებოდენ მაცხოვარს ქართველ დედანი სულ ერთხმად.
15. „მათი დაცემის მიზეზი თვით უწყი, მხსნელო, რაც არი! უცეცხლოთ ძალუძს ხეს სადმე დაჰყაროს ნახშირ-ნაცარი?“
16. ცეცხლად მოედვა ქვეყანას ბედი, უკულმა მბრუნავი!.. აღარ ჰყავს ძველი მოკეთე, მფარველ-პატრონი მზრუნავი!
17. რაც ეკლესიას ივერთა მისცა მსოფლიო კრებამა, ის დღეს ახადა გარეშე ძალამ და ახორებამა.
18. აღარ ჰყავს კათალიკოზი, მღვდელ მთავარ მეუფროსები, მათ ნაცვლად ნაძალადევათ დაუსვეს ეგზარხოსები.

# მთელ ერს ავტოკეფალიის საკითხს

## აკაკი მავოვინა

19. ისინი განზრახ უკარგვენ ხალხს რწმენა-სასოებასა და აპირობენ სხვა სჯულის სხვაგვარად შემოღებასა.

20. სცდილობენ, ენა ქართული გარდაჰქმნან სლოვენურადა, მაგრამ ერთთავად კი არა! ნელ-ნელა, ემბაკურათა.

21. შესცვალეს წესი მოძღვრების, გადაქმნეს თვით საგანიცა, უარყვეს ლოცვა ქართული და მათი კურთხევანიცა.

22. ვერ ეღიროსება ქართველი მღვდლობას და მონოზნობასა, გინდ აყევანოს ზეცამდე ის სამღვთო მადლის გზობასა,

23. თუ სლოვენურად არ სწირა და უარს არ ჰყოფს ქართულსა! ასე ამბობენ: ქართული არც ხორცს არგებსო, არც სულსა.

24. და ამ განზრახვით ააგეს სხვადასხვა სემენარია და მათმა მეცადინობამ საქრისტიანო არია!...

25. იქ გაუგებარ სიტყვებით უვსებენ ყურთა სმენასა და უკრძალავენ მონაფეთ სამშობლო დედა-ენასა.

26. მათი გაზრდილი სამღვდლო გზა და კვლარეულია, არც შინაურად ვარგია და აღარც გარეულია!

27. ხალხს მათი არა ესმის რა... უბღვერს როგორც მტერს მტრულადა და ეკლესიაც მის გამო დამხობილია სრულადა

28. სემენარიის რექტორად დღესაც რომ გერმოგენია — ივერთა ეკლესიითვის ჯოჯოხეთური გენია —

29. სდევნის ქართველებს, არ იშლის თვით მათი სჯულის მტრობასა და ამ ღვანლისთვის მოელის დღე-დღეზედ მღვდელმთავრობასა.

30. მაშინ კი უფრო თამამად მახვილს აიღებს პილატე და შეიქნება ქვეყნისთვის მეორე თეოფილაქტი!...

31. რომ მოისმინა იესომ, ბრძანა: „ჰო, სულ მართალია! მაგრამ ეგ ყველა ხომ მაინც ხალხისვე ცოდვა-ბრალია?

32. თუ თათრობის დროს კი შესძლო დაეცვა წმინდა ტაძარი, დღეს მწვალებლობას გულგრილად რაღათ გაულო მან კარი?

33. თუ ძველათ ჩემი გულისთვის თავსაც კი სდებდა სამოწმოთ, დღეს რაღათ არის უგრძობლათ, აუღელვებლათ და უხმოთ?

34. ჭირის ამტანი გულგრილად თავს რისთვის უდებს სატანას? „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“ — ასე არ ვამცვენ ქვეყანას?

35. აბა, ეძიოს იმანაც საერთო ამბოხებითა, თუ არ იპოვნოს, რაცა სურს ღვთისმშობლის მეოხებითა,

36. მაგრამ ჯერ კიდევ იმ ხალხის გრძნობა ემბაკის ხელშია და მეც იმიტომ ჩავაგდე იობის განსაცდელშია!...

37. „დიდხანს იქნება, უფალო, მაგ განსაცდელში ქართველი?“ ეკითხებოდა მარიამ, ქვეყნის სიკეთის მზრახველი.

38. „არაო, — ბრძანა იესომ, — მას იხსნის თქვენი ფარიო და წაღმა დატრილდება ეგ წმინდა თითისტარიო“.

ამაჰჰი ხასიათისაა ლექსი „ნ.ნ. დურნოვოს“, რომელიც ცნობილ მკვლევარსა და პუბლიცისტს, საქართველოს დიდ ქომაგს ეძღვნება, („ნ.ნ. დურნოვოს“ შედარებით ადრე დაწერილი ლექსის „იონა ბრინიჩოვს“ გადამუშავებული და გავრცობილი ვარიანტია). ქართული ერისა და ეკლესიის ისტორიის სიღრმისეულმა შესწავლამ და XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი ვითარების სამართლიანმა შეფასებამ ნიკოლოზ დურნოვო ქართული იდეის მხარდამჭერად და რუსიფიკატორული პოლიტიკის მწვავე მონინააღმდეგედ აქცია. თავის ნიგნში „ქართული ეკლესიის ბედი“, იგი დასაბუთებულად ამხელდა ავტოკეფალიის გაუქმების არაკანონიერებას და რუსეთის სინოდს ბოროტმოქმედებაში ადანაშაულებდა: „სინოდს, გარდა საშინელი ბოროტებისა და სიავისა, არაფერი მოუტანია ქართული ეკლესიისთვის... ყველა კანონები და დადგენილებები, რაც ქართულ ეკლესიას შეეხებოდა მდინარე მტკვარში გადაყარეს, ბევრი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი ცეცხლს მისცეს“... ხოლო იმ „უგერგილო გამარუსებლებს“, რომლებიც ქართველ ხალხს დაუმორჩილებელსა და რუსეთის მოღალატეს უწოდებდნენ, ეუბნებოდა: „სიძულვილისა და უპატივცემულობის ღირსი იქნებოდა მამაცი ქართველი ხალხი, რომელმაც თორმეტ საუკუნეზე მეტია, რაც თავის მხრებზე მაჰმადიანი ურდოების — არაბთა, სპარსთა, თუქ-სელჯუკთა... შემოსევები გადაიტანა, რომ უსამართლობითა და ძალდატანებით წართმეული უფლებების დაბრუნება არ მოეთხოვა“... ამ სიტყვების ავტორს დიდად აფასებდა აკაკი წერეთელი.

დურნოვოსადმი მიძღვნილი ლექსი 1908 წლის მარტში მღვდელმთავარ კირიონს (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისთვის გაუგზავნია და ასეთი შენიშვნაც დაურთავს: „აკაკის შემდეგი ლექსი უძღვნია ნ.ნ. დურნოვოსთვის, რომელსაც მოსკოვში ჩავლაზედ ხახანაშვილს გადაათარგმნინებს და თვითვე წაუკითხავს დურნოვოს“. უცნობია, თარგმნა თუ არა ალექსანდრე ხახანაშვილმა აკაკის ლექსი, ან წაუკითხა თუ არა იგი პოეტმა შორეულ მეგობარს. არსებობს ვარაუდი, რომ აკაკი წერეთლისა და ნიკოლოზ დურნოვოს შეხვედრა, შესაძლოა, 1909 წელს, საფრანგეთში გამგზავრების წინ, პოეტის მოსკოვში ყოფნისას შემდგარიყო, ან მოგვიანებით - 1913 წელს, ისევ მოსკოვში, ქართველი სტუდენტების მიერ მგოსნისთვის გამართულ საღამოზე, სადაც ქართველთა დიდი მეგობარიც იყო მინეველი.

### 6.6 დურნოვოს

1. ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს და მეც რუსეთში დავჭალარავდი, მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს კი აღვიარებდი, ვერა ვფარავდი.
2. ვუქებდი წარსულს, მაგრამ ანმყოში მძულდა მთავრობა ბიუროკრატი და მე რომ რუსად წარმოვიდგენდი, სხვაგვარი იყო იმისი ხატი.
3. ქრისტეს მოყვარე, სულით მაღალი, გაჭირვებულთა ხელის შემწყობი, უსამართლოთა და უკულმართთა აღვირამსხმელი და დამამხობი.

4. ვით ჩვენ წინაპრებს, მეც ისე მყავდა მაშინ რუსობა წარმოდგენილი — მთელ საქართველოს დამხსნელ-მფარველად და სასოებით მიცემდა გული.

5. მაგრამ რა ვნახე, ჩემ სამშობლოში როცა დავბრუნდი, ღმერთო ძლიერო! ერთგულების და სიყვარულისთვის გადასახადი სამაგიერო!

6. ზიზლი და მტრობა! სხვა არაფერი, დევნა სასტიკი ხორცის და სულის, ვითომც მტყუანი იყოს ქართველი და მართალი კი სულ ის და სულ ის.

7. რუსებს ეჭირათ სუყოველგვარი ჩვენი ცხოვრების ასპარეზები, გვაჯდენ კისერზედ, როგორც სახედრებს და გვერდებს გვჭრიდა მათი დეზები.

8. სამღვდლოებას და მის ეგზარხოსს აებნათ ქრისტეს ნამოძვრი კვალი, შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება, საქრისტიანო უარყვეს ვალი.

9. გარეგნად მღვდლები, შინაგანად მგლები თავს არ იტყებდნენ ქრისტეს მცნებაზე და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ, როგორც ჟანდრები, გარუსებაზე.


10. სამსჯავროებში აღარსად იყო აღარც კანონი, არც სამართალი და თვითოეულ მსაჯულთაგანსაც გარუსებისკენ ეჭირა თვალი.

11. აღმზრდელებიცა ჩვენი შვილების მხოლოდ ჰფიქრობდნენ გარუსებაზე და არა მათის მონაფეების გრძნობა-გონების ამალღებაზე.


12. მე კი ვამბობდი, რომ მოვლინება ეს დროებითი მხოლოდ მეხია... მომავლისაგან ველოდი სულ სხვას და მაინც გული არ გამტყუა.

13. ვფიქრობდი, მოვა ან ახალი დრო, ის გაგვინათლებს დღევანდელ ბნელსა და მოველოდი მე გაზაფხულის წინამორბედს და მახარობელსა.

14. და აი, მართლაც დღეს გამოგვიჩნდა... კურთხეულ იყოს შენი ჭაღარა!... და შენთან ერთად ძმობა-ერთობას უმღერს, უგალობს ჩემი ნალარა.



ტროფიმე ინასარიძის ბარათი ბუქდით ორივე ლექსი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებშია დაცული. მათი შექმნის, გავრცელებისა და პუბლიკაციის ისტორია იმავე ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა, ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა ლია კიკნაძემ შეისწავლა და დაამუშავა. მასალის მომზადებისას მისი ნაშრომით ვისარგებლეთ.



1960 წლის ზაფხულში აბასთუმანში ვისვენებდი. აბასთუმანში ისვენებდნენ აგრეთვე მურმან ლებანიძე და პავლე ინგოროყვა. იმავე წელს მურმანმა დაწერა ლექსების ციკლი „ფიქრები“. მესამე ფიქრი ასე იწყება:

დაბადებიდან მიყვარდა მე ხეები ალვის, სიკვდილის მერეც არ დაფუთობ ამ ხეებს არვის; ბარე მეოცედ ავუვლ-ჩაუვული მე ამ ხეივანს, თამბაქოს ვაბოლებ მე არხინიად და ვფიქრობ ქალზე - ვინმე მალიშევა-გოპაძის, რომლის სახელიც ამ ხეივანს რატომღაც ერქვა, ხოლო ჩვენ: მე და ინგოროყვამ და ჯავახაძემ - ჩემმა ვახტანგმა, კობაშვილ გოგისთან ერთად, დავარქვით სახელი ჩვენი ლადო ასათიანის.

სამწუხაროდ, ჩვენ მაშინ არაფერი ვიცოდით „ვინმე მალიშევა-გოპაძის“ შესახებ. არადა, მურმანთან ერთად, მეც მაინტერესებდა. გავიდა ნახევარი საუკუნე და ახლახან აკაკი წერეთლის ლექსებს შორის წავაწყდი ექსპრომტს - „პირუმთნეველად“, რომელიც დაწერილია აბასთუმანში და ეძღვნება „მარიამ სვიმონის ასულს გოპაძისას“:

კარგი რამ ხარ, როგორც დედა!.. უკეთესი - როგორც ცოლი!.. თვალ-ტანადათ ლამაზ-სანდო... საკადრისი ქმრის და ტოლი. შემოქმედმა შენით შენზე თვისი ძალა დავგანახვა... დიდება მის ძლიერებას! რაღა ეთქმის პოეტსა სხვა. 1896.12 აგვისტო. აბასთუმანი

ქალბატონი მარიამ მალიშევა (1859-1939) აღმოჩნდა მეუღლე გამოჩენილი ქართველი თერაპევტის - ილია ზურაბის ძე გოპაძისა (1853-1932), რომელმაც პეტერბურგში დაამთავრა სამედიცინო-ქირურგიული აკადემია და ბერლინში აიმაღლა კვალიფიკაცია, 1894-1909 წლებში მოღვაწეობდა აბასთუმანში და დიდი ღვაწლი დასდო კურორტის აღორძინებას და კეთილმოწყობას. სწორედ ამ ილია და მარიამ გოპაძეების ოჯახს სწევია 1896 წლის ზაფხულში აკაკი და ეს ლექსიც მიუძღვნია მასპინძელ ქალბატონისათვის, რომლის სახელიც, როგორც ჩანს, 1939 წელს - მისი გარდაცვალების შემდეგ უწოდეს აბასთუმანის ერთ ქუჩას. უპრიანი იქნება, ეს გახსენება ლადო ასათიანის სტრიქონებით დავასრულოთ:

ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად დასეირნობდა ჩვენს სასახლეოდ...  
**პახტანგ ჯავახაძე**

ორიოდ სიტყვა დიდი მგოსნის და ბრწყინვალე მამულიშვილის აკაკი წერეთლის 170 წლისთავთან დაკავშირებით

ამ დიდი ადამიანის ცხოვრებაზე, მოღვაწეობასა და პოეზიაზე დაწერილს მე, აბა რაღა უნდა დავუმატო!

ვიტყვი რამოდენიმე თავალსაზრისს ამ თემაზე.

ჩვენი ცხოვრების წარსულში რომ ვიხედებო, ვხედავ, რომ სწორედ აკაკის პოეზიამ და ენამ განაპირობა ის, რომ პოეტობით ლექსის თხზვით მრავალი ახალგაზრდა "დაავადდა" და მათი სიმრავლის ფსკერიდან არა ერთი მართლაც ყოველმხრივ ღირსეული პოეტი შეიძინა ქართულმა ინტელექტმა, ჩვენი ერის სულიერებამ.

ჩვენი თანამედროვე, ქართული ლიტერატურული და საურთიერთო ენის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვან პროცესს, ჩემი აზრით, სწორედ აკაკიმ დაადგა გვირგვინი და აიყვანა დღევანდელ დონემდე.

"ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო ჩემი სამშობლო მხარეო....."

მარტო ამ შედეგზე ვინ იცის რამდენი მამულიშვილი ჩამოაყალიბა და ჩვენს თვითმყოფადობას ბევრი მოამაგე და მომავლისთვის მებრძოლი შესძინა.

აკაკის სახელი განუყოფლად შერწყმულია საქართველოსთან, მის მომავალთან. მე თუ მკითხავს ვინმე, აკაკი წერეთელი წმინდანის ღირსებას სამართლიანად იმსახურებს.

ამიტომაც მოკრძალებით მივმართავ ჩვენი ერის სულიერ მამას: თქვენო უწმინდესო, ბატონო ილია, კეთილწყავეთ. ეს არა ერთი მამულიშვილის თხოვნაა.

ჭაბუა ამირეჯიბი

მწერლური თავისუფლების ფასი...

აკაკი წერეთელი ერთადერთი სახალხო პოეტი იყო, აკაკის პოეზია ესმოდან განსხვავებით სხვა დიდი ქართველი პოეტებისგან და აკაკი უყვარდათ, აკაკის დროს სახალხო პოეტები არ არსებობდნენ, არც დღეს არსებობენ, ეს ტიტული საბჭოთა საქართველოში მოიგონეს, მაგრამ აკაკი მაინც ერთადერთი სახალხო პოეტი ქართველ კლასიკოსებს შორის...

აკაკი ასევე ერთადერთი პროფესიონალი პოეტი, ის არსად არ მუშაობდა, ამიტომაც ცხოვრების ბოლომდე ვალებში აღუბა-გასტმრებაში იყო. აკაკიმ იცოდა მწერლური თავისუფლების ფასი...

აკაკი აკრიტიკებდა ვაჟას და არ ეთანხმებოდა ილიას, აკაკის ფარულად აბრალებდნენ ივანე მაჩაბელის მკვლელობას, აკაკიმ თარგმნა კრილოვის იგავები, რომელიც დღემდე ბევრს აკაკის ორიგინალური ნაწარმოები გონია, აკაკის ყოველთარს გემოვნებით ეცვა და მისდა სამწუხაროდ მძიმე პირადი ცხოვრება ქონდა...

აკაკის პოეზიაში ყველაზე კარგად ჩანს ქართველების მისწრაფებები და განწყობები. აკაკი არ არის იდეოლოგი ილიასგან განსხვავებით, ის არ ცდილობს მკითხველის ცხოვრებაში შეჭრას და მისი ინტელექტუალური და მორალური შეგნების საზღვრების გაფართოებას. მისი პროტესტი ინდივიდუალურია...


აკაკი არ იყო ყოველთვის მშვიდი, რიხიანი გაბრაზება იცოდა:

"ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!"

მტკიცებულებად ეს კმარა...

დავით ქართველიშვილი

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში - ყველა დროის საუკეთესო პროექტი



ქუთაისის ფერმის (ბოტანიკურ) ბაღში. 1912 წ. აგვისტო

ფილმი „ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 21 ივლისიდან 2 აგვისტომდე. 1912 წელი“, შეიქმნა ითქვას, პირველი ქართული კინოძეგლია. იგი კინოოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა გადაიღო. მალე ამ ფილმის გადაღებიდან საუკუნე გახდება. 2009 წელს ფილმის ორიგინალის რეკონსტრუქცია, კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციისა და N&N სტუდიის მიერ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის ავტორები არიან კინომცოდნე მარინა კერესელიძე, რეჟისორი ნანა ჯანელიძე და სცენარისტი ნინო ნატროშვილი. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ასევე, კინომატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და კომპანია „mst& Young“.

როცა ფილმის ახალი ვერსიის ინიციატორსა და ერთ-ერთ ავტორს, კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინა კერესელიძეს ვკითხეთ, არაერთ უძველეს ქართულ ფილმს შორის რატომ შეაჩერა არჩევანი სწორედ „აკაკის მოგზაურობაზე“, გვიპასუხა: „ლოსანჯელესის რეჟისორთა გილდიამ რომ შეხვედდეთ - მას მარტინ სკორსეზე ხელმძღვანელობს - თქვენს ყურადღებას მიიპყრობს უზარმაზარი ნაწარმები კედლებზე: „ყოველი წამი ძვირფასია ჩვენთვის, იგი მესხიერებას ინახავს, გვახსენებს, თუ რანი ვიყავით. თუკი დავკარგავთ ისტორიის ერთ წამსაც, განუდგება კავშირი ჩვენს წარსულთან, საკუთარ თავთან“. „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გახლავთ პირველი ფილმი, რომელმაც გეზი მისცა ქართული კინოს საუკეთესო ტენდენციებსა და იდეებს, გარდა ამისა, გვიჩვენა ყოფილიყო ერთგვარი აქცია, რომელიც კინომემკვიდრეობის მოვლის, დაცვის, რესტავრირებისა და გავრცელების აუცილებლობაზე მიუთითებდა. და რაც მთავარია, აკაკის მოგზაურობა იყო ეროვნული მოვლენა, სადაც თავისუფლების სურვილით ანთებული ერი, თავისუფლების იდეის სიმბოლოდ ქვეყნის პოეტის ირგვლივ გაერთიანდა. მოგზაურობის ინიციატორებმა ამ მოვლენის ფირზე აღბეჭდვაც სწორედ იმისთვის განიზრახეს, რომ ეს მოვლენა ისტორიისთვის, მომავალი თაობებისთვის შემოენახათ.“

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წლის ორ აგვისტოს დასრულდა. 20 სექტემბერს კი, ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმში“ ვასილ ამაშუკელის ფილმის პრემიერა გაიმართა. ჩვენებს აკაკიც დაესწრო. კინოთეატრის შესასვლელში სასულე ორკესტრი უკრავდა. ფილმის ჩვენებას კი მუსიკალურად აფორმებდა სიმებიანი ორკესტრი, რომელიც ასრულებდა „პოპურს ქართული მოტივებიდან“. ქუთაისის შემდეგ, კინოსურათის დემონსტრირება საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიმართა. საგანგებოდ თბილისური პრემიერისთვის, როგორც იმხანად იყო მიღებული, ფილმის ლიბრეტო შეიქმნა.

რაჭა-ლეჩხუმში ქართველი მგოსნის სტუმრობა დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა.

ესპედიციის ინიციატორები და ორგანიზატორები ქართველი მამულიშვილები იყვნენ, რომელთაც საყოველთაო გაერთიანების სურვილი და ეროვნული სულისკვეთება ამოძრავებდათ. მათ კარგად ესმოდან ამ მოვლენის მნიშვნელობა, იცოდნენ, აკაკისადმი ხალხის სიყვარული და პატივისცემა რარიგ დიდი იყო და როგორ ანუგეშებდა პოეტთან შეხვედრა ქართველებს, რომლებსაც თავისუფლება და მამობრივი სიტყვა მონატრებოდათ. რუსი-ფიკატორული რეჟიმის წარმომადგენლები, მართალია, ასეთი ხასიათის მასშტაბურ აქციებს ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ქართველი პოეტის მოგზაურობისთვის ხელი არ შეუშლიათ - შორეულ, მთიან მხარეში ქართველთა თავშეყრა და ერთმანეთისთვის გულისხმადების გაზიარება ცენტრისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც ამ საქმის ინიციატორებმა 72 წლის პოეტი მოგზაურობაზე დაითანხმეს და ხელისუფლებისგანაც თანხმობა მიიღეს, ექსპედიციისთვის გამალეზულ მზადებას შეუდგნენ. თბილისში, ქუთაისში, რაჭა-ლეჩხუმის ძირითად დაბებში საოგანიზაციო კომიტეტები შეიქმნა. მოგზაურობის თორმეტივე დღე დეტალურად იყო დაგეგმილი და მომზადებული. წინასწარ განისაზღვრა თუ სად გაჩერდებოდნენ პოეტი და მისი თანმხლებნი, ვინ უმასპინძლებდა სტუმრებს, რომელ ოჯახებში გაათავებდნენ ღამეს, რომელ დაბაში რა ღონისძიება, რა შეხვედრები უნდა გამართულიყო. საგანგებოდ მომზადდა ეტლი, რომლითაც მგოსანს უნდა ემოგზაურა. მობილიზებული იყო პრესა. პოეტის თანმხლებ კორესპონდენტებს ოქროსფერულად უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია თავიანთი გაზეთებისთვის, რეპორტაჟები რაჭა-ლეჩხუმიდან ყოველდღიურად

უნდა დაბეჭდილიყო. ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმის“ მფლობელებმა ტიხონ ასათიანმა და პავლე მეფისაშვილმა, თავიანთ მექანიკოსს, ქუთაისში იმხანად უკვე ცნობილ ვასილ ამაშუკელს მოგზაურობის კინოფირზე აღბეჭდვა დაავალეს... თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგზაურობა საკმაოდ გონივრულად, თანმიმდევრულად დაგეგმილი გრანდიოზული პროექტი იყო, პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა. ამის დასტურია სიტყვები, ექსპედიციიდან დაბრუნებულმა პოეტმა რომ წარმოთქვა: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და ზღაპარი იყო. ვისაც თვისის თვალთ არ უნახავს და თვისის ყურითაც არ გაუგონია ის, რაც მოხდა, იმას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილი: განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი ორი მაზრა ერთ პირად ფეხზე დადგა და ეროვნულის აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს“... ამ საქმის უპირველესი სულისჩამდგმელი და გამმართავი ერთი უბრალო კაცი იყო - თბილისში მომუშავე რაჭველი ხაბაზი, აკაკის შემოქმედების მცოდნე და დიდი თავყვანისმცემელი იობა ისაკაძე.

გამგზავრება სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გადაიდო. პრესის წარმომადგენლები აქტიურად გზავნიდნენ კორესპონდენტებს რაჭიდან, იტყობინებოდნენ, როგორ სულმოუთქმელად ელოდა ხალხი მგოსანთან შეხვედრას.

დადგა გამგზავრების დღეც. 21 ივლისს, დილის 7 საათზე, ექსპედიციის წევრები და გამცილებლები ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელი“ შეიკრიბნენ. აკაკი ყვავილებით მორთულ ეტლში დააბრძანეს, უკან მზღებლების ორი ეტლი და ათეულობით გამცილებელი მიყვებოდა. სანატრელი სტუმრის მოლოდინში მთელი რაჭა-ლეჩხუმი ფეხზე იდგა. ყოველი დაბისა და სოფლის შესასვლელში სტუმრებს ასეულობით ცხენოსანი ხმაუ-



რაჭა-ლეჩხუმში გამგზავრების დღე. ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელი“. 21 ივლისი

**ელექტრო - თეატრი „ლირა“**

ორშაბათს, 8 თებერვლიდან ნახევარი იქნება  
საკუთარი რადიუმის მიერ გადაღებული სურათი

**აკაკის**

მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში

21 ივლისი—1 აგვისტო 1912 წ.

---

**ЭЛЕКТРО - ТЕАТРЪ „ЛИРА“**

Съ понедѣльника, 8 октября

Собственный снимокъ театра „Радіумъ“

ПУТЕШЕСТВІЕ

маститаго грузинскаго поэта

**К. АКАКІЯ ЦЕРЕТЕЛИ**


ВЪ РАЧУ - ЛЕЧХУМЪ

21 іюля—1 августа 1912 г.

ფილმის ლიბრეტო, რომელიც საგანგებოდ თბილისური პრემიერისთვის შეიქმნა.



ლაილაშისა და ალპანის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებთან. 1 აგვისტო



მღვდელმა ალექსანდრე გერსამიამ გზა დაულოცა რაჭა-ლეჩხუმში მიმავალ მგოსანს. სოფ. ოფურჩხეთი. 21 ივლისი

რიანი შეძახილებით, სიმღერით ეგებებოდა. მოგზაურებს გზად წარწერები ხვდებოდათ: „სალამი მგოსანს!“, „რაჭა ფიანდაზად გეგება“... აკაკის თან ახლდნენ მოგზაურობის ორგანიზატორები - იობა ისაკაძე, ვასილ პეტრიაშვილი, გაზეთ „თემის“ რედაქტორ-გამომცემელი გიგო დიასამიძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოსიკო მერკვილაძე, ოცხელის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი და გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე, იმავე გაზეთის კორესპონდენტი სამსონ დათვიძე, „სახალხო გაზეთის“ ქუთაისის ბიუროს კორესპონდენტი ლადო ბზვანელი, პოეტის ძმისწული, ბელგიაში მცხოვრები ვასილ წერეთელი და მოურავი კოტე აბდუშელიშვილი, ასევე, მხატვარ-ფოტოგრაფი კოტე ქავთარაძე და კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი. აკაკის მოგზაურობა მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებთა ზეიმი არ ყოფილა, პოეტთან შესახვედრად ლამის მთელი საქართველო დაიდრა...

იმ მოგზაურობის შესახებ ექსპედიციის წევრთა არაერთი მოგონება გამოქვეყნდა. ლადო ბზვანელმა იმავე წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, აკაკისთან ერთად გატარებული დაუფინყარი დღეები აღწერეს თავიანთ დღიურებში კოტე ქავთარაძემ, ვასილ წერეთელმა, ვასილ ამაშუკელმა და სხვებმა, ჟურნალისტებიც დეტალურად იწერდნენ ყველაფერს... თუმცა, მთავარი ალბათ ისაა, თუ რას ეუბნებოდნენ პოეტს ქართველი თავადები თუ გლეხები და რას ისმენდნენ მისგან. მაშინ წარმოთქმული სიტყვები ყველზე უკეთ გადმოსცემს იმ შეხვედრების სულისკვეთებას: „ჩვენო ეროვნული ლამპარო, ნუ მოგაკლებ მზრუნველობას, ცუდში გვამხილე და კეთილში წაგვქეზე“, „თქვენმა მადლიანმა კალამმა გამოიყვანა მე, გლეხი, ცხოვრების ასპარეზზე“, „თქვენი ნაკვეთი ტკბილი „ნანათი“ ჩვენ აღვზრდით ნამდვილ ქართველ შვილებს“, „მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენი ნაწარმოებებით აღვზრდილი და თქვენის ჩანგის ჟღერით დამტკბარი“... „თქვენი მზიარულება მეც გადმომეძვრა, თქვენზე უფრო მეტად მე ვარ აღტაცებული, იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანია, რომელსაც მე დღეს აქ ვხედავ, ჩემგან არის გამონეული. არა, თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ გყავდეთ წინამძღოლი, მოგვევლინოთ მესია და მე გგონივით ის მესია. მე მისი აწრდილიც არ ვარ. ის გმირი, რომელმაც უნდა გასწვივტოს ჯაჭვი და ამირანი აუშვას, სხვა არის. ის მოგვევლინებათ ახალი მოდგმისგან, მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი სიყვარული და პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვთქვა: „ან განუტყევე მონა შენი“... მოგზაურობიდან დაბრუნებულმა კი თქვა: „იქ დამხვდა განათლებული, კულტურულად განვითარებული და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ხალხი“.

ვასილ ამაშუკელის კინოკამერამ მოგზაურობის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი დააფიქსირა. უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრების ცქერით აღფრთოვანებული პოეტი ეუბნებოდა თურმე, მე ნუ დასასრული მე-მ გვერდზე

დასასრული მე-მ გვერდზე



შეხვედრა ალპანში. აკაკის ხელში უჭირავს პატარა გოგუცა კუპრაშვილი. 23 ივლისი

სიცოცხლეშივე

მე ერთი ქალაქელი კაცი ვარ, ამა სოფლის ცოდვილი შვილი.

დიდი სურვილის მიუხედავად, ჩემი ბედოვლათობით, ქალაქგარეთ სულისმოსათქმელი არაფერი გამაჩნია.

ვაჰ, სოფელო!..

მაგრამ, იქნებ სწორედ ამის გამოც, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ზაფხულობით, ცოტა ხნით მაინც ქვიშხეთის მწერალთა შემოქმედებით სახლს ვაფარებ თავს...

მოგესხნებათ, ეს ადგილი დიმიტრი ყიფიანის მამულაა; ვაი, რომ დღეს იგი „გაპარტახებული სამოთხეა“, სადაც ერისა თუ ბერის კეთილმა თვალმა, როგორც იქნა, მგონი, უკვე შეაღწია. იქნებ, სირცხვილი არ ვჭამოთ!

უფალო - შენით.

ეს ის ადგილია, სადაც აკაკი წერეთლის სული მუდმივად ტრიალებს, სადაც აკაკისა და დიმიტრის ლანდები „მოდარაჯე თვალს“ ხატებივით არ მოეჩვენოს, ძნელად წარმოსადგენია.

ერთხელ, ქვიშხეთში, ასეთი რამ დამესიზმრა კიდევ: უკვე მრავალთავის ცნობილ ყიფიანისეულ ცაცხვების ხეივანში სტუმრად მყოფი აკაკი ბოლთას სცემდა და... იქვე მაგიდასთან, რომელიც დედას - თამარს, მზიას თუ შარლოტას - ბავშვებისთვის მოეყარა თავი და „განთიადს“ უკითხავდა, თან თხოვდა ზეპირად ესწავლათ ლექსი, რომელიც შემდგომში სულიერ საგზაოდ გამოადგებოდათ.

იქნებ ბევრგან და ხშირადაც, მაგრამ აქ, განსაკუთრებით ზაფხულობით, აკაკის გარეშე, თითქოს არც ვყოფილვართ და არც ვართ.

ისიც კი გვითქვამს საქართველოს ნებისმიერ სკოლადამთავრებულზე - აკაკის „განთიადი“ ზეპირად თუ არ ეცოდინება, ატესტატი არ უნდა გაიცემოდეს.

ამ წერილის წერისას თვალწინ მიდგას ჩემი სკოლის პირველი მასწავლებელი ნატა ყვავილაშვილი, მშობლიური ლიტერატურისა და ენის მასწავლებლები: თინათინ კეთილაძე და სოსო ჭარელიშვილი, რალათქმა უნდა დედაჩემი მარიამი და ჩემი ორი ბებია მკა და ვარო, რომლებმაც თავანკარა ქართულს მაზიარეს. ესეც აკაკის მადლი მგონია, რომ მის შარავანდედში მათმა სახელმაც გაიფურა! არაფერს ვამბობ იმ უზარმაზარ მადლზე, რასაც ჩვენი დროის ერთადერთი და დედაუნივერსიტეტი ერქვა.

პოეტს უთქვამს - ძეგლი, მითის გარეშე, ქვა არისო.

აი, ვის არ გაეკარება ამგვარი ხვედრი.

აკაკიმ სიცოცხლეშივე დაიგლო ცოცხალი ლეგენდის სახელი.

გივი შაჰნაზარი

ეს აკაკია!

ყველას გვახსოვს სურათი: მთანმინდის პანთეონში, დიმიტრი ყიფიანის საფლავთან, მღვდელთმსახურთა შუაგულში დგას თეთრებში ჩაცმული ბიბლიური მოხუცი.

ეს აკაკია!

შეიძლება ფოტოგრაფის დამსახურებაცაა, მაგრამ სანამ მიხვდები ვინც არის, იფიქრებ, უფალი ხომ არ ჩამობრძანებულაო!

აკაკის გენიალური შემოქმედებიდან ლექსი „განთიადი“, ასე მგონია, პოეზიაზე ცოტა მეტია... შენი ცაა, შენი მიწა, შენი მშობლიური გარემო ანუ ის, რაც სამშობლოა.

ერთხელ ახალგაზრდა მწერლებს ცხონებული ნოდარ დუმბაძე სუფრასთან შემოგვესწრო, კარგა ხნითაც დარჩა, რომელიცაცამ აკაკი ახსენა. ბატონმა ნოდარმა თქვა: „განთიადი“ აკაკის კი არ შეუქმნია, ღმერთმა უკარნახაო!

დამამახსოვრდა...

ასეც მნამს.

ზაურ კალანდია



ფერხული შამადავლე ერისთავის ეზოში. ბარაკონი, 23 ივლისი



დავით კანდელაკის სახლის აივანზე ანგელოზებად მორთული გოგონები მძინარე აკაკის ძველებურ ნანინას უგალობენ. ნიკორწმინდა, 26 ივლისი

# აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში – ყველა დროის საუკეთესო პროექტი

დასასრული

მიღებ, ეს გადაიღო. ერთ დღით, ბარაკონში, როსტომ ერისთავის შთამომავლების მამულში, როცა სტუმრები საუზმეს შეექცეოდნენ, ეზოში თავშეყრილ რაჭველებს პოეტის გასახალისებლად ფერხული წამოუნწყიათ, ცეკვაში ერთიანად ჩაბმულა ყველა იქ მყოფი – ევროპულ ყაიდზე ჩაცმულნიცა და ეროვნულ სამოსში გამოწყობილებიც. საოცარი სანახაობა გამართულა. აკაკის ოპერატორისთვის უთქვამს, თუ ამას ფირზეც ისევე აღბეჭდავ, როგორი სანახაობა სინამდვილეშია, მაშინ ჩათვალე საქმე გამოგივიდაო. ბარაკონის ფერხული ამაშუკელის ფილმში ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭქდავი და დიდი ეპიზოდია.

აკაკის მოგზაურობისა და თვითონ ფილმის მიმართ ინტერესი არასოდეს განუღებულა. დაახლოებით 1915 წელს ფილმის პოზიტიური ასლი შესანახად გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ნეგატივი კი, გასაბჭოებად კინოთეატრ „რადიუმში“ ინახებოდა. როგორც ვასილ ამაშუკელი იხსენებს, 1922 წელს, „რადიუმის“ უძრავ-მოდრავი ქონება ნაციონალიზაციას დაექვემდებარა და მთელი მისი კინომასალა თბილისიდან ქუთაისში მივლინებულმა მოხელემ გადაიბარა. ბატონი ვასილი შესაბამისი აქტის შედგენის მომსწრე იყო და აქტის ნომერიც კი ახსოვდა, თუმცა იმ დღის მერე ნეგატივი აღარავის უნახავს. რაც შეეხება ასლს, იგი 1931 წლიდან მანმინდის მწერალთა სკრიპტორიუმში ინახებოდა, მაშინდელ ჩანანერში მითითებულია შემდეგი: „შემოსულია ფილმი, 1912 წელს გადაღებული, აკაკის ნაქონი“...

1935 წელს, რეჟისორი მიტროფანოვი იღებს ფილმს აკაკი წერეთელზე სახელწოდებით „დიდი პოეტის ხსოვნას“, სადაც ამაშუკელის ფილმის ფრაგმენტებიცაა გამოყენებული. ათი წლის შემდეგ, კიდევ ერთი კინოსურათი მიეძღვნა აკაკის ხსოვნას, ფილმი რეჟისორმა ჩაგუნავამ გადაიღო. ამაშუკელის ფილმისა და აკაკის მოგზაურობის მიმართ ინტერესი, განსაკუთრებით XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გაცხოველდა. ბატონი ვასილი მაშინ ცოცხალი იყო, 1912 წლის ექს-

პედიციის ამბების ცოცხლად მოსასმენად და მოგზაურობიდან შემორჩენილი ფაქტობრივი მასალის მოძიებაში დასახმარებლად მას ბევრი მიმართავდა. ერთხელ, რეჟისორთან მკვლევარი მიხეილ ალავეძე მისულა, — იქნებ, ფილმს სადმე მივაკვლიოთო. ამაშუკელს უთქვამს, კინოფირი ლიტერატურის მუზეუმში მეგულება, მაგრამ თავს ამაოდ შევიწუხებთ, რადგან ფილმში ბარაკონი, ნიკორწმინდა და სხვა ტიპრები მაქვს გადაღებული, გარდა ამისა, მასში მღვდელმსახურები მონაწილეობენ, როგორც მოგესხება ეკლესიისა და მღვდლების შესახებ დიდი ხანია ჩვენს პრესაში აღარაფერი იბეჭდებოდა და კინოც ამ წესს იცავსო... მოგვიანებით, კინოს ისტორიკოსმა კარლო გოგოძემ „აკაკის ნაქონი“ კინოფირი ლიტერატურის მუზეუმში მაინც მოიძია. მისი ძალისხმევით, 1954 წელს ფილმის შემორჩენილ ფრაგმენტებს რესტავრაცია ჩაუტარდა და საზოგადოებას ვასილ ამაშუკელის ნამუშევარი გოგოძისეული ვერსიით გაიცივნო. მანვე გამოსცა კინო-ფოტო კადრებით ილუსტრირებული ალბომი სერიით - „ქართული კინოს შედეგები“. 2002 წელს, კინოკრიტიკოსმა გოგი დოლიძემ აკაკის ნაკვალევზე ექსპედიცია მოაწყო და დაწერა წიგნი „აკაკის მოგზაურობა – 90“. რამდენიმე წლის შემდეგ კი, მკვლევარ გურამ შარაძის წიგნით „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა 1912 წლის მოვლენა კიდევ ერთხელ გაეხსენებინა... იმ შორეულ წლებში შემდგარი მოგზაურობა, სხვადასხვა ადამიანების მიერ, ფილმებისა თუ ტექსტების სახით ყოველ ჯერზე ახლიდან ცოცხლდება. ის ისტორიული დღეები თითქოს წარსულს, ანწყოსა და მომავლს ერთმანეთთან აკავშირებს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 2008 წელს, კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციამ N&N სტუდიასთან ერთად, ვასილ ამაშუკელის ფილმის ხელახალი რესტავრაცია მოინდომა და „აკაკის მოგზაურობამ“ ახალი სიცოცხლე დაიწყო.


ფილმის ორიგინალი იმდენად დაზიანებული იყო, რომ იმთავითვე ცხადი გახდა - შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსის არქონის გამო საქართველოში მას ვერ აღადგენდნენ. ქართველი კინოხ-

ელოვანების დახმარების სურვილი ავსტრიელმა რესტავრატორმა ვალტერ პლაშჩუგმა გამოთქვა. მან ფილმის ორიგინალი თბილისში ყოფნისას ნახა და დაინტერესდა. 1912 წლის პოზიტივის ფრაგმენტებისგან აწყობილი კინორგოლი ჯერ გერმანულ კომპანიას RRIFilm&TV Service-ს გადაეგზავნა, სადაც დაზიანებული ორიგინალი ციფრულ მატარებელზე გადაიტანეს. შემდეგ კი ავსტრიულმა ფირმამ DIAMANT-Digital Restoration მისი ციფრული რესტავრაცია განახორციელა. დამზადდა კინონეგატივი და პოზიტივი. ახალი ვერსია ფილმის ორიგინალის, 1954 წელს აღდგენილი ვერსიისა და წერილობითი და ფოტოდოკუმენტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიქმნა. თბილისში კი, სტუდია „პალესტრასა“ და მისი ხელმძღვანელის, კინორეჟისორ თემურ ცა-

აკაკი წერეთლის მოგზაურობა დროში, ალბათ, ამით არ დასრულდება. იმ ისტორიული დღეების მუხტი ძალიან ცხოველია.

**P.S.** რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის მოთავე, რაჭველი ხაბაზი იობა ისაკაძე, მოგზაურობიდან ერთი წლის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. აკაკი ძალიან დაამწუხრა ამ ამბავმა, სანაყოფი დაწერა ეპიტაფია და ითხოვა, ქვა იობას საფლავზე დაედოთ. რატომღაც, პოეტის სურვილი განუხორციელებელი დარჩა. მხოლოდ 2002 წელს, კინოკრიტიკოსმა გოგი დოლიძემ აასრულა აკაკის დანაბარები და იობა ისაკაძის მოკრძალებულ საფლავზე დაიდო ქვა პოეტის ეპიტაფიით.

თამარ შურული



აკაკის მოგზაურობის მთავარი ორგანიზატორი იობა ისაკაძე მძინარეობისას



აკაკის მოგზაურობის აღმწერი. მარცხნიდან: სოსიკო მერკვილაძე, გიგო დიასამიძე, ლადო ზვანელი, სამსონ დათეშიძე. დვას კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი



ონის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. 27 ივლისი

# „იონასთან ვიყავ...“

ყველაფერი სამახსოვრო წიგნაკებიდან დაიწყო, როცა იონა მეუნარგია მერტხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, რომ ქართველ მოღვაწეთა „ცხოვრების აღწერისთვის“ მიეყო ხელი და სხვებთან ერთად, აკაკი წერეთელსაც დაადგა თვალი. იმ დღიდან, „იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე და თავისუფალი კაცი“ გადაიქცა ყოველდღიური ჩანაწერების, ნაკვეთების მთავარ პერსონაჟად. ენაწელიან რესპოდენტადაც კი, როდესაც ბიოგრაფოსმა ორიგინალურ კითხვარზე (დღეს რომ მარსელ პრუსტის ანკეტას ეძახიან) სთხოვა პასუხის გაცემა.

პრესის ფურცლებზე, საიუბილეო საღამოებსა თუ ლიტერატურულ თავყრილობებზე ხშირად ისმოდა მათი ხმა და სახელი, ზოგჯერ მწვავე, პოლემიკური ელფერით აღბეჭდილი, ზოგჯერ საერთო საქმესთან, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წამოწყებებთან დაკავშირებით. აკაკი წერეთელი ხშირად სტუმრობდა დადიანების სასახლეს და გზად, ცაიშში, იონა მეუნარგიას ოჯახსაც ენვოდა ხოლმე.

გამოცემლობა „არტანუჯი“, ზვიად კვარაცხელიას საერთო რედაქციით, იწყებს იონა მეუნარგიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოქვეყნებას განახლებული სამეცნიერო აპარატით — შენიშვნებითა და კომენტარებით. ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს მწერლის უბის წიგნაკიდან და პირადი მიმოწერიდან, რომელიც, ვფიქრობთ, კარგად წარმოაჩენს აკაკი წერეთლისა და იონა მეუნარგიას ურთიერთობას.

\*

ძმარ იონა!

ბატონობა დიდხანია გადავარდა და ძმობაც აღარსად არის, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად მეორის ხმარება სჯობია. — შენი წერილის პასუხი თუ აქამომდე ვერ მოგწერე, მიზეზი ჩემი ავადმყოფობა იყო. და ან რა უნდა მომეწერა! ისეთ რამეს შევითხები, რომ პასუხის მიცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსი“ — მეკითხები, და მე დღემდე ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიამ“ ისე ამრია, რომ აღარ ვიცი, როგორ გავარჩიო... მე გგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე მოიძვრებოდა და არა მოიხვედრებოდა ჩანაწერებს!..

ბევრი რამ მქონდა მოსაწერი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შემთხვევამ და ქუთათურების ქცევამ, ისე გამაბრუეს, რომ თავტანის აღარა გამეგება რა... ეჰ, ნეტავი იმას, ვინც უაზროთა და უგრძობლად გაჩენილა ჩვენში.

მარად შენი აკაკი.  
30 ოქტომბერი, 1887.  
ქუთაისი.

\*

ძმარ იონა!

მეც შენსავით „ბატონობით“ მინდოდა მომეწერა ეს წერილი<sup>1</sup>, მაგრამ როგორც მესამოცე წლების ჭუკს, არ მეხერხება... ისეც „ძმობითა“ გწერ და ნურას უკაცრავად! დღეს ავიღე აქ ნებართვა, რომ მანდ შაბათს ლექცია წავიკითხო და პარასკევს ღამით თვითონ წამოვალ მანდ. რაც შეეხება „აზნაურის სტუმრობას“, მე დიდი ხანია ხელაღებული ვარ აზნაურობაზე და სტუმრობაც ძალიან მეზარება. მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებისათვის: „გორონციოვი“. წვეულება სრულიად საჭირო არ არის. თუ კი ვისმეს უნდა ჩემი ნახვა და მოხუცის ჩიფჩიფის გაგონება, ლექციაზეც მნახავს.

შენი მარად ენა-მწარი და გულ-ტკბილი მოყვარული.

აკაკი.

\*

ძმარ იონა!

ამ სააღდგომოდ დავრჩი ქუთაისში და ჩემზე უცოდვესი ძალღიჯ აღარ არი, ისეთ მოწყენილობაში ვარ ჩავარდნილი. ამ დღეებში აქ ერთი ლექცია წავიკითხე და იმის წაკითხვის ნება გუბერნატორმა დამართო ფოთშიაც, მაგრამ რადგანაც ქალაქმთავარი<sup>2</sup> შენა ხარ, არ შემიძლია არ შეგეკითხო: როდისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ეს საქმე. შემატყობინე მალე. ადრესი: ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია“. შენი მარად მოყვარული აკაკი.

\*

ძმარ იონა!

თუ მეტად სამძიმო არ იქნება შენთვის, გთხოვ მაცნობო პასუხი ჩემის წერილისა, რომელიც გამოგიგზავნე გასულის ოქტომბრის 12-ს. იმ წერილით მე გთხოვდი რამდენიმე მეგრული სახელების და სიტყვების<sup>3</sup> განმარტებას. თუ ან წერილი არ მიგიღია და ან შეუძლებელია მოხსენებულ სიტყვების განმარტება, ისიც მაცნობე.

24/XI 900. ტფილისი.

\*

ალბომში ჩანერილი<sup>4</sup>

იონასთან ვიყავ,  
ბევრი ვიცინე;  
კარგად ვსვი, ვჭამე  
გამოვიძინე.

აკაკი.  
20 სექტემბერი 1911.  
ფოთი.

\*

გრიგოლ დადიანმა<sup>5</sup> ექიმთან გააგზავნა კაცი, რომ კბილები გაუკეთონ.

აკაკი — მერე იცის კი, რომ საიქიოს საჭმელი იქნება?

\*

აკაკი — ნიკოლაძემ<sup>6</sup> მითხრა, როცა მინისტრი მელაპარაკებოდა, ხელმწიფე შირმის იქით ყურს მიგდებდაო.



პარასკევა ანჯაფარიძე, აკაკი და იონა. ფოთი, 1909 წლის 25 აპრილი

\*

ნიკოლაძე — ჯაბადარის<sup>7</sup> წინააღმდეგ სტატია მინდა დავწერო, მაგრამ ვახუშტი არ წამიკითხავს, ქართლის ცხოვრება არ გადამიშლია, სპარსული ლიტერატურა არ ვიცი — შენ დაწერე აკაკი.

აკაკი — მე „ვდობნოვნით“ ვწერ, ცოდნა არა მაქვს, შენ და ილია ჭავჭავაძემ იცით ყველაფერი და თქვენ დასწერეთ.

\*

აკაკი — ამ 15 წლის წინათ მაიოვკა უნდა გაემართათ, მეც დამპატიეს და ნიკოლაძეც.

— თუ მინდორში იქნება, წამოვალ, თუ ტყეში, არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნიკოლაძე იქ იქნება და იმდენს ილაპარაკებს მე... მე... რომ ცხვარი ეგონება და ტყიდან მგელი გამოვარდება.

\*

ყაზბეგმა სანდრომ სახარება ჩამოიტანა გასაყიდად — ყველაფერი გაყიდა, ერთი ღმერთი დარჩენია და იმასაცაჰყიდისო — უთქვამს აკაკის.

\*

ქეთევან: — როგორც გაზაფხული მოვა, თვალისა და ცრემლი მომდის.

აკაკი: — ვაზის თვისება გქონიათ.

\*

გიგო წერეთელს, სიმონის მამას, უთხრეს — კულაში საჩხერეს ჰგავსო. — სწორედ. თითო წერეთელს 400 გლეხი ჰყავს და კულაში თითო გლეხს 400 მიქელაძე ჰყავსო — უთხრა აკაკიმ.

1. აკაკი წერეთლის ეს წერილი უთარღილა. მეუნარგიას არქივის სხვა მასალებით გამოირკვა, რომ აკაკი პარასკევს ღამით წასულა ფოთში. შაბათს კი ლექცია წაუკითხავს, კვირასაც დარჩენილა და ფართო საზოგადოებაში სურათიც გადაუღია. იმ ღამეს იონა

ნას ოჯახში დაუსვენებია. ორშაბათ დილით გამგზავრებულია და იონას უფროს ქალი-სათვის — პატარა სალომესათვის ლექსი უძღვნიან:

სალომე იონას ასულ მეუნარგიას

როცა გათხოვდე, უთხარი შენს ქმარს, რომ ბავშვიც იყავ შენ საყვარელი და სამეგობროდ მხცოვან მგოსანმა გამოგინოდა შენ გრძობით ხელი.

აკაკი  
1909 წ. აპრილის 27.

ზემოთაღნიშნული წერილიც ამ მუნასობის მიხედვით უნდა დათარიღდეს — 1909 წ. 22 ან 21 აპრილით, რადგან წერილი, უეჭველია, ქუთაისიდან არის გაგზავნილი და რაკი ორი დღე მინც გზაში დარჩებოდა, ადრესატს 23-24 აპრილს უნდა მიეღო, რომ დროზე სცნობოდა სასურველი სტუმრის პარასკევს ღამეს (24 აპრილს) ჩამოსვლა. ეს დღეები აღნიშნულ თარიღებს ემთხვევა.

2. წერილი უთარღილა, მაგრამ დაწერილი უნდა იყოს 1891-1893 წლებში, როდესაც იონა მეუნარგია ქალაქის თავად იყო ფოთში.

3. ეს ის მეგრული სახელები და სიტყვებია, რომლებიც აკაკის გამოყენებული აქვს ზოგიერთ თხზულებაში.

4. ეს კულტი ჩანერილია იონას იმ ალბომში, სადაც სხვა მწერლებსაც (მამია გურიელი, ვაჟა-ფშაველა, და სხვ.) აქვთ ჩანერილი სამახსოვრო სტრიქონები.

5. გრიგოლ დადიანი /კოლხიდელი/ (1814-1902) — ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე. სამეგრელოს მთავრის, ლევან V-ის ძე, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი.

6. ივლისხმება ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) — ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სამოციანეულთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

7. ივანე ჯაბადარი (1852-1913) — ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი. 1889 წელს პეტერბურგში, ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც ფალსიფიცირებული იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ლიტერატურა და კულტურა. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა მეთაურობით გამოაშკარავა ჯაბადარის ნიჰილიზმი და მისი წერილის სრული უსაფუძვლობა.

# „ეშმაკებიდან“ აკაკივდა

ჩემთვის აკაკი ბევრია — ვიცი, სტილურად გამართული წინადადება ვერ გამოვიდა, მაგრამ არც „საქართველოს ბულბული“ გახლდათ მთლად დალაგებული. ნურც ამ სიტყვაზე გამომეკიდებით, მხოლოდ და მხოლოდ აღმატებით ხარისხში ვამბობ, აი, ისე — ბაირონზე ან პიკასოზე რომ იტყვიან ხოლმე. დღემდე მიკვრის, უახლეს დროში როგორ არავინ მოჰკიდა ხელი (თუ აკა მორჩილადის ნაწერებს არ ჩავთვლით) ამ მართლაც საოცარ, ბესტსელერობისთვის წინასწარგანწინარულ ბიოგრაფიას — აკაკი პოეტი-პროზაიკოსი და ქალთა გულის მპყრობელი, აკაკი ათასი კაცის ვალის მქონე და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი, აკაკი ათასი ტყუულ-მართლის, სკაბრეზული ოხუნჯობის და ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი, ერის გულწრფელი მოამბე და შიდასაზოგადოებრივ ბრძოლა-ინტრიგებში თავით გადაშვებული, ახალი ქართული ლექსის და მარგანცის აღმომ-

ჩენი, აკაკი უგვირგვინო მეფე და უსახლკარო რა აღარა. მოკლედ — აბსოლუტური კატეგორიის ლეგენდაა.

გაგიკვირდებათ და, ჩემს ბავშვობაში იგი არა „ციცინათელა“ — თი ან „ჩემი თავგადასავალი“ — თი, არამედ ერთი ყველასგან მივიწყებული მოთხრობა — „ეშმაკები“ — ით შემოვიდა. აი, ამ ამბავში რომ მთავარი გმირია, ის არის ჩემთვის აკაკი წერეთელი: თავადი — მაშინდელ მოდაზე მოშვებული ბაკებით, ცნობისმოყვარე, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებით. მისტიკა და ირონია ისეა შეზავებული ამ ტექსტში, ზერელედ წაკითხვაც კმარა, მაშინვე მიხვდებით — ჩვეულებრივ ადამიანთან არ გაქვთ საქმე. ეს კაცი ჩემთვის მაშინ მეორე ტომ სოიერად იქცა — ოცნებებში გზაძვდი, მის ადგილას ყოფნას ვლამობდი. არა, განა რამე ენითაღწერიელ მოვლენებში გაება და გმირობა ჩაიდინა — უბრალოდ მანამდე უცხო ფურცლები გადამიშლა — მსუბუქი ეროტიზმით და ინტრიგით სავსე.



მოთხრობა ძველ, სქელყდიან გამოცემაში იყო — წიგნს თაფლის ფიჭის და კვამლის სუნი ჰქონდა — არ ვიცი რატომ. ფორზაცზე ვილაც ძირძველ პატრონს მიეწერა — მანონი, 1957 წელი, და:

„მისთვის ვიდებ უბემი, გალბობ ცრემლის გუბემი, ამისრულო, რაც გითხრეს, თუ ხარ ჩემი ნუგემი!“

აი, ეს არის ჩემთვის ნადვილი აკაკი წერეთელი. ასეთი შეგრძნებას მიღვიძებს. სხვა დანარჩენი მერე მოვიდა — მისი ნოვაციები პოეზიაში, ტკბილად საკითხავი პროზა, დებატები „მამებთან“, იქით იმათი — „აკაკიები, ბაკაკიები“, აქეთ — „ხარაბუზა ღერენალს“, წერილები, საგაზეთო პოლემიკები.

ხან ვეჭვდებოდი, ხან უარვყოფდი კიდევ — ეს ყველაფერი მისი მნიშვნელობის ნიშანია. ახლა შემიძლია ვთქვა:

აკაკის მოღვაწეობა ყოფნის ეპიტეტს — დიდი.

გიორგი კაკელიძე

### შოკინგ

მამაჩემს ჩემთვის რამდენჯერმე უთქვამს და სხვების თანდასწრებითაც გაუხსენებია ამბავი არ გასახსენებელი, აკაკი წერეთელთან დაკავშირებით: ერთ არისტოკრატიულ სუფრაზე (-სად? არ "ახსოვდა") წვნიანს მიირთმევდა თურმე და სუფრის კოვზი პირში წვეტი ჩაუდევს, მის წინ მჯდარ დიდგვაროვან ქალბატონს წასვლია გული და გაუტანიათ... არც ჭორს ჰგავდა, არც მართალს და მიკვირდა, საიდან მოიტანა ამბავი, რომელიც სახელდობრ წვნიანს - ხაშის (თუ ხარჩოს) ჭამის დროს ახსენებდა.

- ა, კოვზი ასე, ა, ჩაუდევს პირში და გადავარდნილა ის ქალი სკამიდან, ძლივს გაუტანიათ სუფრიდან!..

- რა იცი შენ, მამაჩემო, რა უქნია აკაკის, გითხრა ვინმემ, გაგანდო საიდუმლო თუ წაიკითხე სადმე?!

- გავიგონე, გავიგე, გამიგია ბაღნობაში...

- არ თქვა მეტჯერ სხვასთან მაგ სისულელე, თუ კაცი ხარ!

- ა, უყურე ახლა ამას, თქმულა ასე, გამიგია, კი არ დამსიზმრებია, თქვეს და ვიმორჩებ...

- არ თქვა, ბენედიქტ, მეორედ!

აკაკი იცოდა ცხოვრებულმა, გაბუქებაც გაგონილ-გაგებულისა, ვუშლიდი, არ იშლიდა და როდინდელი ამბავი, რა ხანი გავიდა მას შემდეგ და უცებ:

XV ტომში არ გადავანყდი ამ ეპიზოდს?! ყველაფერი პოეტისა, ყველა ნაწარმოები, პირადი წერილების ჩათვლით, მახსოვდა მეგონა და არ მხსომებია...

ნათლიდდა ნიცა! იტყობინება, ინერება პოეტი საფრანგეთიდანაც, სადაც ორჯერ იყო ჩასული სამკურნალოდ და დასასვენებლად 1905 და 1909 წელს. ბარათი კი, როგორც მკვლევარები ვარაუდობდნენ, მეორე (1909 წ.) ჩასვლაზე აქვს გამოგზავნილი საჩხერელი მეზობლის და ახლო ნათესავის ბეჟან წერეთლის ცოლის, ტასო მაჩაბელის დის სახელზე. ნანყვეტს გადმოვიღებ მხოლოდ, რადგან მთლიანი წერილის გადმოტანის აუცილებლობას ვერ ვხედავ:

"...შინ, პანსიონში, ზარის რეკით მაჭმევინ დანიშნულ დროზე და თუ არ მოვასწარი და გადავაცდინე, მშვიდობით!.. და თუ სხვაგან ვარ, კიდევ უარესი: უნდა გამოვიჭიმო ფრაკში ან სმოკინგში ისარგადაყლაპულსავით და სულ იმის ფიქრში უნდა ვიყო, რომ უხეირო არა წამცდეს რამე, რასაც აქ ძალიან ყურადღებას აქცევენ, ეს ოხრები! ამასწინეთ ერთ სადილზე ჩემს პირდაპირ ერთი ინგლისელი ქალი იჯდა, "შოკინგო" დაიძახა ხმამაღლა, წამოვარდა ზეზე და გადაჯდა.

- ვფიქრობ, რა ვანყენი? თურმე ის ვეღარ აიტანა, რომ მე, სუპის ხვრების დროს, კოვზს განით კი არ ვწრუპავდი, წვერით ვიდებდი პირში!.. მოდი ახლა და ნუ გაგახსენდება ჩვენებური ბეჭი ტყემლით, შუშხუნა მწვადი, სანებელი ღომით და სხვანი, რაღა დროის ჩემი განვრთნა და ჩვევის მოშლა?..."

მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ, მიჩვეულს ნუ გადაჩვევო, სწორედ ამაზეა ნათქვამი და ერთიც ამოვნიოთ გასახსენებელი სალაროდან.

მანამდე:

### აკაკი - ჩემი სიყვარული



ბუშინ მთელი დღე აკაკი წერეთელს ვკითხულობდი. საღამოს წიგნი დავხურე და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეკლესიაში ვიყავი და პოეტის ლოცვებს ვისმენდი. უფრო მეტიც, თითქოს უფალი გადმოვიდა შემოდგომის ციდან და ჩამჩურჩულა "ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო."

აკაკი მსუბუქია, ჰაეროვანია. აკაკი სუფთაა და გამჭვირვალე, როგორც ის წყარო, ის რუსხმული, რომელსაც თავად უძღვეს.

აკაკი შეგებაა, აკაკი სევდაა, აკაკი ქართული ლექსის განთიადია. როგორც დილა იბადება ზეთისხილის ბაღებში, ისე ბუნებრივად იბადება აკაკის პოეზია ქართულ სინამდვილეში.

აკაკის მაშინდელი ტკივილი დღევანდელი საქართველოს ტკივილია, თითქოს არაფერი არ შეცვლილა, ისევ ის პრობლემები უდგას ქვეყანას, რაც აკაკი წერეთელს და მის თანამებრძოლთ ანუხებდა.

აკაკი პოეტური ლეგენდაა. მისი "განთიადი", "ციცინათელა", "ნათელას სიმღერა", "სულიკო", "ჩემო თავო, ბედი არ გინერია", "აღმართ-აღმართ", "პოეტი", "ჭალარა", "მუხამბაზი" და მრავალი სხვა ნამდვილი თვალ-მარგალიტია.

ჩემი ნება რომ იყოს, აკაკის ლექსების ბილბორდებს დავდგამდი მთელს საქართველოში. ასწავლეთ ეს ლექსები საქართველოს ხალხებს, ჩვენს მეზობლებს და შური და მტრობა ნაკლები იქნება.

აკაკი - ჩემი სიყვარულია. აკაკის გენიალობა მის უბრალოებასა და სისადავეშია. ამ მხრივ ის ფიროსმანის სწორფერია. მის ლექსებში საოცარი იდემალება იმალება. აკაკისთან ხვდები, რომ პოეტად უნდა დაიბადო. ვინც ამ ნიშნით დაიბადა, ყველა ღვთის რჩეული და მირონცხებულია. კაცი რომ დანერს:

"ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა," -

გათავებული ამბავია, ის კაცი უკვდავია. როგორც თვითონ ბრძანებს: ის ხან მიწისაა, ხან ცისა. ილია ჭავჭავაძესთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად აკაკი წერეთელმა საქართველოს სიყვარული მასწავლა.

ვარინკა წერეთელთან და დებ იშხნელებთან ერთად ქართული მელოდიური, თავისფერი სიმღერა მასწავლა.

აკაკი წერეთელმა შთამაგონა, თვალ-ჩინივით გავუფრთხილდე ქართულ ენის საუნჯეს - მეგრულ სიტყვას.

აკაკი წერეთელმა მასწავლა აფხაზთა პატივისცემა და სიყვარული.

შარშან, ადრიან შემოდგომაზე, ჩემს ძმებთან ერთად აკაკის სახლ-მუზეუმში ვიყავი.

ბედნიერი დღე იყო.

დიდი პოეტის სახლის აივნისა და საქართველოს ცა უფრო მაღალი მეჩვენა და ბუნებაც აკაკის ლექსით ღბილი და ხავერდოვანი.

უკან რომ ვბრუნდებოდი, ერთი ფიქრი ამეკვივებდა, სანამ გვეყვარება აკაკი, სანამ გვეყვარება მისი ღვთაებრივი პოეზია, საქართველოს ცა მარად მაღალი და ლაყვარდისფერი იქნება.

### ჩვენი აკაკი, ჩემი აკაკი



ბეჟანწერ თქმულა, რომ აკაკი წერეთელმა თავს არ მისცა ამისი უფლება, რომ ყოფილიყო „მხოლოდ პოეტი“ და მთელი თავისი დიდი ტალანტი მიემართა ლექსისკენ, „როგორც ლექსისკენ“. პოეტმა, „რომელიც წმინდა პოეტური აღმოჩენებისთვის იყო გაჩენილი“ (თამაზ ჭილაძე), „გარემოების საყვირის“ ნოდება მიუსაჯა თავს. მიუსაჯა, რადგან „გარემოების მესაყვირებობა“ იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი გამოვიდნენ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე, მართლაც რომ გმირულ შემართებასა და თავგანწირვას ითხოვდა მათგან. მათ შეასრულეს დიდი მისია და ამიტომაც ეროვნულ გმირებად და წმინდანებად დარჩნენ ერის მარადიულ ცხოვრებაში.

ამაზე კიდევ უფრო ნათლად მიუთითებს პავლე ინგოროყვა: „აკაკი წერეთლის პოეზია არ იყო განყენებული „წმინდა ხელოვნება“, არამედ ის იყო მძლე საბრძოლო იარაღი - ხალხის სამსახურისთვის დანიშნული. მან თავისი დიდი პოეტური ტალანტი ხალხის სამსახურს მიუძღვნა... აკაკი არის სახალხო პოეტი - ამ სიტყვის ნამდვილი და მაღალი მნიშვნელობით“.

თუ უფრო თამამად ვილაპარაკებთ, შეიძლება ითქვას, რომ ილიამ და აკაკიმ ლექსი განირეს!..

სანყენი კია! ვინ იცის, რამდენი ლიტერატურული შედეგები დააკლდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებას, ანუ ლიტერატურის ეროვნულ საგანძურს! თუმცა... უფრო სანყენი, ალბათ, ის იქნებოდა, რომ მართლაც კრიტიკულ მომენტში, ისინი არ ჩაბმულიყვნენ იმ მართლაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გაჩაღებულ ომში და მართლაც გმირული შემართებით არ ებრძოლათ ეროვნული გადარჩენისთვის.

აკაკი წერეთელი საოცრად ერთიანი და მთლიანი ლიტერატურული და პიროვნული ფიგურაა. ერთიანი და მთლიანია იგი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი პრინციპებით. დრო მიდის, იცვლება გარემოება, მაგრამ არ იცვლება პოეტი და მისი პრინციპები, იგი შეუპოვრად მიდის ქარის საპირისპირო მიმართულებით და ებრძვის, რასაც გუშინ ებრძოდა. ასეთია იგი - თავისი ცხოვრების წესით, პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკით, ტკივილითა და სიხარულით, სიყვარულითა და სიძულვილით... მე ხშირად ვაკითხავ პოეტის შემოქმედების იმ ნაწილს, რომელსაც პავლე ინგოროყვა „წმინდა ხელოვნებას“ უწოდებს და ამ სიტყვებს რატომღაც ბრჭყალებში სვამს. აქაა ჩემი აკაკი - „სიყვარულით ავადმყოფი“ პოეტი და დაუბერებელ-დაუფანგავი ლირიკოსი: შენ სიყვარულო, ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო! („ქება-თა ქება“).

... შეჰვედრე: ტანჯვა გვაკმარონ, მეტი არ შეგვიძლიაო, ახა ნარინჯო, ნარინჯო, შე ბრონეულო, იაო! („ურიული მოთქმა“).

... მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა. („განთიადი“).

მართლაც რომ „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაში ვარსკვლავები?!“ ახლა, დაუშრობელი ენით ნაწერი „ჩემი თავგადასავალი“! ახლა, საოცარი პოემა „გამზრდელი“! ახლა, პოეტის პუბლიცისტიკური წერილების ნაკადი! აგერ, ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი მოხუცი ცისკენ აღპყრობილი მხერით და მინაზე მტკიცედ დაბჯენილი ფეხებით! არსებობს ასეთი

ფოტოსურათი პოეტისა - ეს აკაკია - ჩვენი აკაკი, ჩემი აკაკი, მართალი, ელვარე და დაუფანგავი...

საქართველოში აკაკის საიუბილეო დღეებია. ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოიხიბოს მას და კიდევ ერთხელ იტყვის პოეტის სადღეგრძელოს.

მოსანვევები ბევრი იქნება და რა კარგი იქნებოდა, რომ აკაკის მოწვევაც შეიძლებოდა თავის იუბილეზე. ნეტავი რას გვეტყოდა თავისი განთქმული „მწარე ენით“ პოეტი?! რას იტყოდა დღევანდელ ჩვენს ყოფაზე, ჩვენს მთავრობაზე, ჩვენს ოპოზიციაზე... რას იტყოდა დღევანდელ მწერლებზე და თეატრალზე, დღევანდელ ტელევიზიასა და ჟურნალისტიკაზე?! რას იტყოდა კაცი, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა ფშაველასაც კი არ ზოგავდა?!

აი, ის კი არაა საგამოცანო, რას იტყოდა აკაკი დღევანდელ „რუსეთუმებზე“, რომლებიც საქართველოს პრობლემების მოსაგვარებელ გასაღებს კრემლში „ქე-ბენ“?! არაა საგამოცანო, რადგან თუ რაიმესთან იყო დაპირისპირებული დიდი პოეტი, სწორედაც რომ რუსეთთან და რუსთან იყო შეურიგალი და უკომპრომი-სო. რუსის ხსენება და გინება მაშინდელი საცენზურო პირობების გამო, ეგრე ღიად და შაი-შარად არ შეიძლებოდა, ამიტომ აკაკის რუსის უამრავი ფსევდონიმი ჰქონდა შექმნილი: „ბარბაროსი“, „სკვითი“, „სკვითელი“, „სკვითორელი“, „წრდილოელი“ და ეს ფსევდონიმები გადადიოდა ლექსიდან ლექსში, წერილიდან წერილში: „არ შეგშენის მშობლიური არა რა, გიხარია ეგ სკვითური ცვლილება“, „მამა უცხოონდა სკვითორელს, თავი არ მივსცე ხელადა! თავის ოჯახში ბრიყვია, სხვისაში შედის ხელადა“, „დამეხსენი, ჩრდილოელი! რა მაქვს შენთან საზიარო? თვით ოხერო, მოუვლელი, როგორ გინდა მომარო?“ „სკვითის ენა, სკვითის ქცევა, მეგობრადაც ვინმე სკვითი... გისურვებ, რომ ავცდენოდეს ამისთანა მაგალითი“.

სიმართლეს იტყოდა, რადგან ის პოეტი იყო, ხოლო პოეტები ვიღაც მოშაირებს არ ჰგვანან, ისინი ყოველთვის მართალს ლაპარაკობენ. აგერ, რას ამბობს თვითონ აკაკი:

„შეუდარე ერთმანეთსა, შეუწონე დიდსა მცირე და ასე ვსთქვი: - სხვადასხვა პოეტი და მოშაირე“.

გაშუა ნიკლაური

განო კლანდია

ლამპარი

მსგავსი ვინმე აკაკისა არ ყოფილა და არ არის.

ლვითაპირივ სახეზე ღიმგადაფენილი, სვებედნიერი მგოსანი - საქართველოს ბულბული...

თანამედროვეთაგან მხოლოდ მცირედნი თუ გრძობდნენ, რომ ეს იყო გარემოებით ნაკარნახევი ნიღაბი, მწუხარებით ცრემლგამშრალის ღიმილი.

ბევრისმხილველს და გამამბრანს წუნწუნი არ სჩვეოდა, მხოლოდ ერთხელ წასცადა: „მაგრამ კაცი ვარ მეც, ხორცშესხმული“. ამ ამონაკენსშია მთელი აკაკი - ბუნებით კაცი, ადამიანი, მამულისთვის ჯვარზე გაკრული.

მოხუცმა აკაკიმ ტბის სვედიანი გედივით სიმღერაში სიკვდილი იხატა. პოეტის მოდალ ქცეული შედარება მომაკვდავ გედთან მისთვის პოზა არ ყოფილა - ამღერების გარეშე ლექსი ვერც წარმოედგინა; მაგრამ ამ პოეტურ ხატს შეფარული აზრით აკაკი - იგი XIX საუკუნის ინტელიგენციის მსოფლმხედველობის რღვევაზე მიანიშნებდა. ეს კრიზისული განწყობილება ცოტა მოგვიანებით ღიად გახიანდა:

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები, საქართველო!- მეც ვჭყნები და შენცა ჭყნები, როგორც ზამთრის პირას მდელი.

„დამჭკნარი მდელი“ ხატი ახალ-გაზრდობიდანვე თან სდევდა აკაკის,

ერთადერთი

„ბარამბნულად ლომი. გამოხედვაში არის დაცინვა, რომელიც ტანჯავდა ბევრს მთელი საუკუნის განმავლობაში“, - ნერდა ვალაკტიონ ტაბიძე აკაკი წერეთლის შესახებ. მგონი უკეთესად არავის დაუხასიათებია დიდი მგოსანი. თუმცა, ერთი შეხედვით, უცნაური ანტიტეზაა - ლომის ლათაბრივ სიმალღესთან შეპირისპირებულია დაცინვის მინიერი სულისკვეთება, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ეს არის სრული აკაკი, ღვთაებრივისა და მიწიერის ერთმთლიანობა, როგორც თვითონვე ადასტურებდა თავისი ლექსით. და მაინც, რატომ ითქვა ასე და არა სხვაგვარად? რას ნიშნავს ლომის ირონია და სადამდე ვრცელდება მისი საზღვრები?

ლომის სიმბოლიკა სავსებით გასაგებია, მაგრამ რა შუაშია „დაცინვა“ და ვის სტანჯავდა ეს მთელი საუკუნის განმავლობაში?

„დაცინვა“, რომელიც აკაკის გამოხედვაში მართლაც უნახავს, არ არის ჩვეულებრივი ირონია, გამიზნული გარეზე მოქმედებისათვის. ეს არის თავდაცვის არქტიპული ინსტინქტი, მეტიც, თვითირონია, რომელიც სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული ტკივილიდან არის გამოკრისტალებული.

საქართველომ თავისი ხასიათი აკაკი წერეთლის სახეში გამოხატა.

ილია თუ იდეალურ საქართველოს განსახიერებდა, აკაკი - არსებულს, რეალურს, პრაქტიკულს, ემპირიულს.

მართლაც, წარმოუდგენელია საქართველო აკაკი წერეთლის გარეშე და აკაკი წერეთელი საქართველოს გარეშე.

მან მთელი ცხოვრება მამულზე ფიქრში გალია. სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი - ეს იყო მისი შთაგონების წყარო, მისი შემოქმედების დედააზრი.

აკაკისთვის მწერლობა იყო მისია, სამშობლო კი - მოვალეობა.

რუსთაველის შემდეგ ის არის ყველაზე პოპულარული პოეტი საქართველოში.

აკაკის კალამმა ქართულ ლექსს მოუპოვა ისეთი მოქნილობა, სიმსუბუქე და მუსიკალურობა, რომლის მსგავსი მანამდე მას არ ჰქონია.

„საქართველოს კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით კიდე“, - წერს იგი ერთ-ერთ ლექსში.

აკაკი მართლაც ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ სრულად გამოჩენილი იყო მისი 12-დღიანი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს. ეს ამბავი აღბეჭდილია ვასილ ამაშუკელის კინოფილმში. მსგავსი სანახაობა ალბათ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს - საყვარელ პოეტს ხალხი ხელისგულზე დაატარებს, როგორც მეფეს, როგორც ღმერთაკაცს.

ოლონდ ჭაბუკის გული მაშინ მკვდრებით აღდგომის იმედიანი მოლოდინით ძეგრდა. სიბერის ჟამს კი თითქოს ხაზი გადაესვა თავგანწირული მოღვაწეობის ათწლეულებს, სადინარი გაეხსნა გულში ხანგრძლივად ნაგუბარ სასონარკვეთას.

აკაკის პატრიოტული ღირსების უმთავრესი ხატი - სატროფო-სამშობლო ქართული პოეზიისთვის უცხო არ იყო, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში უფრო ღრმა აზრი და განზოგადება შეიძინა. „დედაშვილობის“ ტრადიციულ პარადიგმას მოსაწინაა გვერდით ამოუყენა „სატროფო-სამშობლოს“ სიმბოლო და, გარკვეული მოსაზრებით, უპირატესობაც მიანიჭა.

„პატიმარი სატროფოს“ რომანტიზებული სახე აკაკიმ ახალი კუთხით წარმოსახა და როგორც რეალისტმა, დროისმიერი შინაარსით გააჯერა.

მტრისგან მოხიბლული, შემცდარი სატროფოს სიმბოლო ეპოქის მთელს ტრაგიზმს იტევდა, მიანიშნებდა იმ ნეგატიურ ზნეობრივ ცვლილებაზე, რაც საზოგადოების შეგნებაში მოხდა. მოგონებდა და არაჩა სათნო სოფლის სიტყვები: „უცხოობაში რაა სიამე“. თავისუფლების ტროფობა ფუფუნების, ცხოვრებით ტკობის წყურვილმა ჩაკლა. პოეტის თვალწინ პატიმარი სატროფო შეცდენილ მხეველად იქცა, სათაყვანებელი არსება - მტრის ხასადა. ღრმად ადამიანურია აკაკის ამონაკენსი: „სიცოცხლე არის მონება, სიკვდილი - განსვენება“.

აკაკის სიყვარული სამშობლოსადმი განუზომელია, მაგრამ ეს არ იყო შმაგი მიჯნურის ბრმა სიყვარული. „საიდუმლო ბრათის“ ავტორმა, მუხის ნებეირმა პო-

„არავისზე საქართველოში იმდენი არ ულაპარაკიათ, რამდენიც აკაკიზე... საკმაოდ დამახასიათებელია მისი ბუნება, თვით აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცნეს“. - ეს ისევ გალაკტიონია.

აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელსაც საფუძვლად ხალხური მეტყველება უდევს. აკაკის სწამდა, რომ ქართული ენა უბრალო ხალხშია შენახული, იქ არის ლინგვისტური სალარო, იქ მოიპოვება ბუნებრივი სიტყვები, რომლებიც ყოველთვის ჯაბანის კაბინეტში მოგონილ ხელოვნურ სიტყვებს. საქართველოს ყველა კუთხეში ეძებდა და იწერდა სიტყვებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეგრულ, ქანურ, სვანურ გამოთქმებს, რომლებსაც შემდგომ თავის ჯადოსნურ ქურაში ატარებდა და ქმნიდა ჰაეროვან, თავაკარა, აკაკისეულ ქართულს. ფრიგის მეფე მიდასივით, რასაც ხელს შეახებდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა. მისი უზადო პოეტური სტილი ღვთაებრივი ნიჭისა და დიდი შრომის შეერთების შედეგად იშვა.

მხსნელად მოველინა პოეზიის ენას, ლიტერატურულ მეტყველებას. რალა დასამალია, რომანტიკოსების ენა ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიას ექვემდებარებოდა და ფაქტობრივად ფსევდოარქაიზმში იყო გადავარდნილი. სიტყვები, რასაც ისინი იყენებდნენ ძველის, ძველებურის, არქაურის პრეტენზიით, სინამდვილეში არქაიზმები არ იყო.

აკაკის ენის სიმწვობრე სულის აღდგენილი, გაცოცხლებული ჰარმონიაა, რომელიც დაირღვა 1801 წელს, მას შემდეგ, რაც ბევრი რამ მოიშალა და დაიბნა ეროვნულ წყობაში.

ენობრივი სხეული დისჰარმონიაში ცხოვრობდა და, კაცმა რომ თქვას, არც არავის ახსოვდა ოდინდელი ჰარმონია, სულის წესრიგი ქართველი კაცისა.

ბრათაშვილი სხვა ჰარმონიაა. ეს არის იმანენტური, შინაგანი წესრიგი. მისი ლექსის გარეგანი სხეული, ენობრივი გარსი უხეშია, ხაოიანია. ამიტომაც ვერ გაიგეს თანამედროვეებმა.

აკაკის ჰარმონია შინაგანიც არის და გარეგანიც. ორმხრივია, ორმაგია და ამიტომ ადვილად დაინახეს ქართველებმა, იგრძნეს, გაითავისეს, გაიხსენეს სულის არქაული წესრიგი.

აკაკის უზენაესისგან დაეკისრა ქართველი პოეტური ენის მხსნელის მისია და მან ეს ცხებულის პატიოსნებით აღასრულა. ამიტომაც არის ასეთი დიდებული და „ერთადერთი“, როგორც ილიამ უწოდა.

ივანე ამირხანაშვილი

ეტმა შეგნებულად აირჩია სიმართლის მსახურება. საჭირო ჟამს იგი წინასწარმეტყველის მამხილებელ შეგონებასაც მიმართავდა, რომელიც ზოგჯერ იერემიას გოდების ტრაგიკულ სიმალღეს აღწევდა:

მაგრამ ჯერ ბრმა ხარ, ისრაილ, ვერ ხედავ ვერაფერსაო და მტერი აღარ გგონია, ვინც დღეს მოყვრულად მღერსაო!

მძაფრ შინაგან ტკივილს მგოსანი სევდის მსუბუქი ბლონდით მოსავდა, დაუდევარი ტემპერამენტი კი ტკივილს მოქმედებად გარდაქმნიდა. ის, ვინც წმინდა პოეზიისთვის იყო დაბადებული, ზეციური ჰანგებისთვის იშვიათად იცლიდა. იგი „აერთებდა თავის თავში / ორფეოსს და მეფისტოფელს“: საჭიროების მიხედვით ხან ბრძოლის სიმღერას მღეროდა, ხანაც სატირის მახვილს აელვარებდა.

განახლების მოლოდინე ჭალარა აკაკი თითქოს მხნეობას არ კარგავდა, ხმაში ომანსაც გაიჩრევდა:

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს, სისხლით შევლებავ ჭალარას!..

სისხლში განბანვა სულიერი აღორძინების მისტერია იყო, რადგან პოეტს სწამდა, რომ „წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა“...

და მაინც, საბოლოოდ, თან „დამჭკნარი მდელი“ ტკივილი გაიყოლა...

აკაკის ლექსი ერთადერთია თავისი ბუნებრიობით, სისადავით და მუსიკალ-

ა-კაკი

აპაკი გამონაკლისი იყო -

ის იყო ერთადერთი პოეტი, რომელიც ქართველებმა გარდაცვალებამდე შეიფარეს.

ასეთი სიყვარული საქართველოში მართლა იშვიათობაა და ეს სიყვარული ალბათ მართლა იშვიათი და მხოლოდ რჩეული პოეტების ხვედრია. ტრადიციულად კი ქართველები ქართველებს პოეტობას არ პატიობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვანაირი წარმოდგენები ჰქონდათ პოეტების შესახებ და ზოგჯერ მათ ერეტიკოსებად მიიჩნევდნენ, ზოგჯერ ხულიგნებად და ზოგჯერ კი უბრალოდ უსაქმურებად.

სხვათა შორის, საქმიანი ადამიანი არც აკაკი წერეთელი ეგონათ ქართველებს და არჩევნების დროს, მის მშობლიურ იმერეთშიც კი, აკაკიმ სულ რამდენიმე ხმა მიიღო. ამ უცნაური მოვლენის ახსნა, თუნდაც იმ გარდამეტებული სიყვარულით შეიძლება, რომელიც აკაკის მიმართ, მის სიცოცხლეშივე ჰქონდა და შეიძლება აკაკი წერეთელი დეპუტატობისთვის მართლა ვერ გაიმეტეს.

თუმცა მაშინ სხვაც დაინერა და ითქვა და მათ შორის ისიც, რომ კაცს, რომელსაც აივანზე ჯდომა და ბაფთიანი გიტარის მოსმენა ყველაზე მეტად უყვარდა, პარლამენტში არაფერი ესაქმებოდა. მართალია, მაშინ რუსეთის იმპერიის უმალღეს საკანონმდებლო ორგანოს სათათბირო ერქვა და არა პარლამენტი, მაგრამ ეს დეტალი, ამ შემთხვევაში, არც ისე მნიშვნელოვანია.

უფრო მნიშვნელოვანი პოეტისთვის (და საერთოდ შემოქმედი ადამიანისთვის), რასაკვირველია, ცოლია და აკაკის კი ძალიან ცუდი ცოლი შეხვდა. ალბათ კარგი დამპყრობელი არც არსებობს და შეიძლება ის ქალი, სხვა თვალსაზრისით, კარგი ადამიანიც იყო, მაგრამ პარიზში ცხოვრების დროს ისეთი დაუყინებით მოითხოვდა ხოლმე აკაკისგან ფულს და მხოლოდ ფულს, რომ აკაკის, პარიზიდან წერილის მიღებისას, ყოველთვის ცოლის ჯიში და ჯილაგი ახსენდებოდა სრულიად შესაბამის უღლებაში.

რასაკვირველია, ფული კი არ ენანებოდა, უბრალოდ არ ჰქონდა არასდროს და ან კი საიდან უნდა ჰქონოდა ბევრი ფული პოეტს, რომელსაც არასოდეს უმუშავია და აკაკი არსად მსახურობდა, მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა. ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა მაშინდელ დროში ზემოთხსენებული გარდასახული თავადი, რომელსაც სახლიც კი არ ჰქონდა თბილისში და ხან მეგობრებთან აფარებდა თავს და ხანაც რომელიმე სასტუმროში ცხოვრობდა, სანამ რომელიმე ქართველი მეცენატი ფულს არ გადაუხდიდა.

ერთხელ აკაკის ქუთაისში ადგილობრივი გიმნაზისტები შეხვდნენ ყვავილებს და დიდ კვირვინით - გიმნაზისტებმა ფული შეაკაროვეთ და გრიგოლ ორბე-

ბით. მეტრის არტახებში მოქცეული მეტყველება რალაც გრძნეულებით ინარჩუნებს თანდაყოლილ თავისუფლებას, ჩვენ თვალწინ ენა ძალდაუტანებლად გარდაისახება პოეზიად - აკაკის სტრიქონების წრფელ, გამჭვირვალე, ხატოვან, მსუბუქ ხმოვანებად. აი, ამიტომ ფიქრობდა „აკაკის სკოლის პოეტი“ ვალაკტიონი, რომ აკაკიმ „ლექსი ლექსს დაამსგავსა“.

პუშკინის პოეტური ხელოვნებით განცვიფრებული ლევ ტოლსტოი ამბობდა: პუშკინთან ვერ ვამჩნევ ლექსს, მიუხედავად იმისა, რომ აქ საზომიცაა და რითმაც. ვგრძნობ, რომ ამის სხვაგვარად თქმა შეუძლებელიაო.

ასეთია აკაკის პოეზიაც - მგოსანი უბრალოდ, უშუალოდ გვესაუბრება და... იბადება „სულიკოს“ მწუხარე ჰარმონია, „განთიადის“ ელგეიური ოპტიმიზმი, „ციცინათელას“ მიმქრალი ციმციმი, სიღრმე და ღვთაებრივი ექსტაზი „ქებათა ქებისა“.

... აკაკი წერეთელმა პიროვნების უწმინდეს მოვალეობად სამშობლოს სამსახური გამოაცხადა, მომავალ თაობებს „წმინდა სამშობლოს“ ამაღლებისათვის ზრუნვა უანდერძა. ის თითქმის საუკუნის წინ დაგვიმორდა, მაგრამ კვლავაც თავის ხალხთანაა და როგორც საქართველოს თანამდევ სული, ჩაუქრობელი ლამპარი -

იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში, იქნება ჩვენთან მარად და მარად!

თეიმურაზ ღოიაშვილი

ლიანის დაკრძალვაზე მივდივართო. პოეტმა აკაკი წერეთელმა ქუთაისელ გიმნაზისტებს ძალიან მარტივი შეკითხვით მიმართა - მე რომ მოვკვდები, ჩემი გვირგვინისთვისაც თუ შეაგროვებთ ფულს და ყმანველ ქუთაისელებს ცრემლებიც კი მოაღვათ - აუცილებელია. მაშინო, - არც კი გაღიმებია აკაკი წერეთელს, - გვირგვინი მე არ მჭირდება და ფულს კი, როგორც კი შეაგროვებთ, მაშინვე მომეცითო.

როგორი მინიერიც არ უნდა ყოფილიყო აკაკი წერეთელი, ის მაინც სხვაგან იყო და ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებულ კადრებშიც კარგად ჩანს, რომ აკაკი წერეთელი სადღაც სხვაგან არის, როცა მის გარშემო ადამიანები წრეზე მოძრაობენ და სხვაგვარად ალბათ შეუძლებელია ისეთი პოეტი იყო, როგორიც აკაკია. თუმცა სხვა ქართველი პოეტები საგან განსხვავებით, ის მოაზროვნეც იყო და არასოდეს დასცდენია ისეთი პოლიტიკური შეცდომები, როგორც დასცდა (მაგალითად) ბრათაშვილს და აკაკის შეცდომებს კი მხოლოდ კეთილი შედეგები მოჰყვა.

მაგალითად, ერთხელ, პირდაპირი ხასიათის კახელებმა პირდაპირ უსაყვადურეს აკაკის ბაში-აშუკის გამო - იმერეთიდან რომ კაცი არ გადმოგვეყვანათ ყიზილბაშებთან საბრძოლველად, კახეთში რა ვერავინ ნახეთო?!

რამდენიმესაუკუნოვანი პაუზის შემდეგ აკაკიმ ისევ დაარწმუნა იმერლები, რომ კახეთიც მათი სამშობლოა.

მე კი, აკაკის ლექსებისა და მოთხრობების გარდა, მისი პუბლიცისტიკაც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დასცინეს კიდევ გულუბრყვილობის გამო და მათ შორის ილია ჭავჭავაძემაც, როცა აკაკიმ "ვეფხისტყაოსანზე" თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა.

მიყვარს მისი ამბებიც, სამიჯნურო თავგადასავლებიც და მოსწრებული ხუმრობებიც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ღამე მიყვარს, როცა 1908 წელს, მხოლოდ ერთი ღამით დაპატიმრებული აკაკი წერეთელი მეტეხის ციხეში მიიყვანეს.

აკაკი დააპატიმრეს იმის გამო, რომ ერთ-ერთ იუმორისტულ ჟურნალში თბილისის მაშინდელი მერი მასხრად აიგდო, მაგრამ პოეტის დაპატიმრებას ისეთი რეაქცია მოჰყვა მთელს თბილისსა და საქართველოში, რომ იგი მეორე დღითვე გაათავისუფლეს. ყველაზე შთამბეჭდავი კი მაინც იყო მეტეხის ციხის მაშინდელი პატიმრების ყიფინა, რომლებიც აკაკის სახელს გაჰკოოდნენ გისოსებიდან, როცა საყვარელი პოეტი ციხეში შეჰყავდათ.

იმდენჯერ მიფიქრია ამ ეპიზოდზე და იმდენჯერ წარმომიდგენია ეს საოცარი სცენა, რომ როცა სტადიონებზე "დინამოს" სკანდირებენ ან ნებისმიერ სამარცვილიან სიტყვას ყვირიან, მე მაინც ისე მესმის ხოლმე, როგორც აკაკი-კი. ამიტომაც სტადიონებზე მე ყოველთვის აკაკის ვყვირივარ...

დათო ტურაშვილი


# ღიას, ჩვენ არ ვიცნობდით აკაკის!

„ქართული მწერლობა საზოგადოებრივად დღეს კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ჩემს ნაწარმებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“ — გულისტკივილით წერდა 1912 წელს მხცოვანი მწერალი. მწერალი, რომელსაც ერმა „სახალხო მგოსანი“ უწოდა, მწერალი, რომელმაც არაერთი ლამაზი ნაწარმოები გვაჩუქა, მწერალი, რომლის თხზულებებზეც თაობები გაიზარდნენ.

სიცოცხლეში ვერა, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ აკაკის ოცნება ასრულდა. მის ნაწარმოებთა ტომეულები მკითხველმა არაერთხელ მიიღო. უახლოეს მომავალში კიდევ ერთი საჩუქარი გველის — აკაკის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა, რომელიც შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა. ოცტომეულის პირველი ტომი უკვე დაბეჭდილია, მალე მეორეც გამოვა. გამოცემაზე მუშაობდნენ: ირმა რატიანი (მთავარი რედაქტორი), ჯულიეტა გაბოძე (პასუხისმგებელი მდივანი), მაკა ელბაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, იუზა ევგენიძე, როსტომ ჩხეიძე, თამაზ ჯოლოგუა და ნანა ფრუიძე. აღსანიშნავია ისიც, რომ თხზულებათა ათი ტომი რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით მომზადდა. პირველი ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ელისაბედ ზარდიაშვილმა და ზურაბ ჭუმბურიძემ, ტომის რედაქტორი გახლავთ იუზა ევგენიძე.

აკაკის ბოლო აკადემიური გამოცემიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ გამოცემა ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაც იქცა. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევა-ძიებათა შედეგად ახალი მასალები აღმოჩნდა, რამაც 50 წლის წინათ გამოცემულ ტომებთან მთელი რიგი პრეტენზიები წარმოშვა. ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აკაკის თხზულებათა ახალი გამოცემაზე ეფიქრათ. იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. 1991 წელს დაიბეჭდა კიდევ თვრამეტომეულის პირველი ტომი, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა პროცესი გაურკვეველი დროით შეაჩერა. რამდენიმე წლის წინ ეს საკითხი ხელახლა წამოიჭრა. ძველი მასალების გადახედვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით, 90-იანი წლების შემდეგ მომზადებული ტექსტებიც კი გადასინჯვას, შევსებას და ხელახალ დამუშავებას საჭიროებდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში აკაკის არქივი მნიშვნელოვანი ახალი გამოცემებით გამდიდრდა: 1989 წელს გამოვიდა ნოდარ გურგენიძისა და ილია გორგაძის „აკაკი წერეთელი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“, სადაც მანამდე სრულიად უცნობი წყაროები გამოქვეყნდა; 1990 წელს, აკაკის 150-ე წლისთავისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცა „საიუბილეო კრებული“, რომელშიც სხვა საინტერესო მასალებთან ერთად პროკლე კეკელიძის მიერ ქუთაისის არქივში მიკვლეული „თამარ ციბიერის“ ავტორიზებული ხელნაწერი შევიდა; 1999-2001 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკაკის კაბინეტმა „აკაკის კრებულის“ I და II ნიგნები გამოსცა რომლებშიც მნიშვნელოვან ნარკვევებთან ერთად მწერლის უკვე მივიწყებული ან გაბნეული პირადი და პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნდა; აკაკისევე კაბინეტმა 2001 წელს გამოსცა კრებული „უცნობი აკაკი“ (შემდგენლები: იუზა ევგენიძე, ნანა ფრუიძე) — მწერლის ახლად გამოკვლეული ნაწარმოებები; 2001-2002 წლებში პრესასა და სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა ცნობილი ტექსტოლოგის, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლის, ლევან ჭრელაშვილის მიერ მოსკოვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მიკვლეული აკაკის უცნობი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც



აკაკის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტო. 1914 წელი

გაზეთ „თეატრში“ ქვეყნდებოდა; 2001 წელს თამაზ კვაჭანტირაძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა აკაკის ერთ-ერთი ლექსის „ბოღვა“ შვიდი უცნობი სტროფი, რომელიც აკაკის ხელით არის მიწერილი მისი „თხზულებანი“-ს მაკო საფაროვა-აბაშიძის კუთვნილ ეგზემპლარზე; 2006-2007 წლებში გამოვიდა გურამ შარაძის ცნობილი წიგნი-ალბომი „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ (ოთხ ტომად), რომელიც ძალიან საინტერესოა, როგორც ფაქტობრივი, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით; 2009 წელს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა აკაკის შემოქმედების მკვლევარის, ჯულიეტა გაბოძის ნაშრომი „აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები“, რომელშიც დეტალურადაა განხილული პოეტის გამოცემათა ისტორიები, თავისებურებანი და განსხვავებები; გამოკვლეულია რამდენიმე უცნობი წყარო, დადგენილია აკაკის ცნობილი ნაწარმოებების, მათ შორის „ვანთიადის“ დაწერის თარიღი და ასევე ბევრი ტექსტის ძირითადი წყარო. და ბოლოს, წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა გამოაქვეყნა აკაკის საარქივო მასალების ორტომეული, რომელშიც მუზეუმის არქივში დაცული უცნობი მასალებიც შევიდა. ეს ყველაფერი ერთად თავმოყრას და მკითხველისთვის წარდგენას საჭიროებდა, ამიტომ დაიწყო მუშაობა აკაკის ახალ აკადემიურ გამოცემაზე.

რა განასხვავებს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ოცტომეულს დღემდე არსებული სხვა გამოცემებისგან?

**ირმა რატიანი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი:** „ეს არის აკაკის თხზულებათა ერთადერთი ყველაზე სრული გამოცემა, რომელიც დღეისათვის მიკვლეულ ყველა ტექსტს, წერილსა თუ პუბლიკაციას მოიცავს. გარდა იმისა, რომ ვებეჭდავთ ნაწარმოებთა სრულ ვერსიას თავისი ვარიანტებითა და განმარტებებით, მკითხველს აკაკის არაერთ დღემდე უც-

ნობ ნაწარმოებსაც ვთავაზობთ. პირველად იბეჭდება მისი ბევრი პირადი თუ პუბლიცისტური წერილი. პირველად გამოდის ინტერვიუებიც.

**გაზაფხულზე ჩვენი ინსტიტუტის ტექსტოლოგებმა ხელნაწერთა ინსტიტუტში ძალიან საინტერესო მასალებს მიაკვლიეს. ახალი მასალები ჩამოიტანა ქუთაისში მივლინებულმა სპეციალურმა ექსპედიციამაც, ასე რომ, გამოცემა გაჯერებულია სიახლეებით.**

**ოცტომეული ჩვენი თანამშრომლების უზარმაზარი შრომის შედეგად მომზადდა. საკმარისია აღვნიშნო, რომ მასზე 15 ტექსტოლოგი მუშაობდა. გამოცემა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სხვადასხვა თაობის ტექსტოლოგები გააერთიანა: უფროსებიც და სრულიად ახალგაზრდებიც. ზოგიერთი მათგანი 40 წლის წინათ გამოცემულ თხზულებებზეა ნამუშევარი და არაჩვეულებრივად იცის თავისი საქმე. სწორედ მათი დამსახურებაა ამ გამოცემის საბოლოო სახე.“**

კვლევა-ძიებისა და ძველ გამოცემათა გადამუშავების შედეგად ძალიან ბევრი მასალა დაგროვდა. როგორ უნდა დალაგებულიყო ეს ყველაფერი? ზოგადად, კლასიკური ტექსტოლოგიური გამოცემა ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ პრინციპს ეფუძნება, რაც ნიშნავს, რომ ტექსტები ჟანრების მიხედვით ქრონოლოგიურად ნაწილდება. სარედაქციო კოლეგიამ ეს ძირითადი, საყოველთაოდ მიღებული პრინციპი დაიცვა. შედეგად ასეთი თანმიმდევრობა მივიღეთ:

- I ტომი — ლექსები (1856-1880წწ.);
- II ტომი — ლექსები (1881-1900 წწ.);
- III ტომი — ლექსები (1901- 1914 წწ.) უთარილო, დაუშთავრებელი და ყრმობისდროინდელი ლექსები;
- IV ტომი — პოემები;
- V ტომი — დრამატული პოემები;
- VI-VII ტომი — დრამატული პოემები;
- VIII ტომი — დრამატული თხზულებანი;
- IX ტომი — პოეტური თარგმანები,

- თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსები, იგავ-არაკები „კრილოვით“;
- X ტომი — თარგმნილი პიესები;
- XI-XVI ტომი — პუბლიცისტური წერილები;
- XVII ტომი — პუბლიცისტური წერილები რუსულ ენაზე;
- XVIII- XIX ტომი — ეპისტოლური მემკვიდრეობა;
- XX ტომი — დოკუმენტები და საძიებლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკის სიცოცხლეში არ ელირსა საკუთარი თხზულებების სრულად გამოცემა. მისი გარდაცვალების შემდეგ მწერლის ნაწარმოებთა მრავალტომეულის გამოქვეყნების პირველი მცდელობა გასული საუკუნის 30-იან წლებში დაფიქსირდა. ეს იყო ოთხტომეული ალექსანდრე აბაშელისა და სერგი გორგაძის რედაქციით (1925-1928). ამას მოჰყვა პავლე ინგოროვას მიერ მომზადებული შვიდტომეული (1940-1961), შემდეგ კი გამოვიდა ცნობილი თხზულებათომეული, რომელიც 1950-63 წლებში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა და რომლის რედაქტორიც ბრწყინვალე ფილოლოგი გიორგი აბზიანიძე გახლდათ. უნდა ითქვას, რომ თითოეულმა მათგანმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავის ეპოქაში, თუმცა იყო ერთი „მაგრამ“... საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი გამოცემა საბჭოთა ეპოქის „შვილობილია“, ამიტომ ბუნებრივია, როგორი დიდი სურვილიც უნდა ჰქონოდათ ამ ავტორიტეტულ, შესანიშნავ მეცნიერებსა და რედაქტორებს, არსებობდა მასალა, რომელიც კონიუნქტურულ მოსაზრებათა გამო ვერ დაიბეჭდებოდა. მაგალითად, თხზულებათომეულში არ შესულა აკაკის პოემები — „წმინდა ნინო“ და „ანდრია პირველწოდებული“ — მხოლოდ იმიტომ, რომ კლასიკური რელიგიური ხასიათის ტექსტებია (თუმცა ისინი დაიბეჭდა 1940 წელს გამოცემულ შვიდტომეულში); სინათლე არ უხილავს მასალებს ქართულ-სომხურ ურთიერთობათა შესახებაც, რომლებშიც საკითხის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიციაა გამოკვეთილი. საბჭოთა სისტემისთვის კი ხალხთა მეგობრობის წინააღმდეგ მიმართული ტექსტები მიუღებელი გახლდათ. აკაკის ბრწყინვალე პოლემიკური წერილი — „პროფესორ ნიკო მარის პასუხად“ ახალ ოცტომეულში იბეჭდება.

ცენზურა შეეხო ძალიან ბევრ ლექსსა და პირად წერილს, რომელიც ოდნავ მაინც არასასურველი აღმოჩნდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის. აკაკის თხზულებათომეულის მთავარი რედაქტორის, გიორგი აბზიანიძის ვაჟი, ზაზა აბზიანიძე, ხშირად იგონებს, რომ ეს იყო უმძიმესი პერიოდი მამამისის ცხოვრებაში. საბჭოთა ცენზურასთან ბრძოლა რთული აღმოჩნდა. მეცნიერი მხოლოდ ანუ დღემდეა ყრუ კედელს, ჯანმრთელობაც კი შეერყა, მაგრამ ყველაფრის დაბეჭდვის უფლებას მაინც ვერ მიაღწია. მხოლოდ ამდენი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი იმ პერიოდში აკრძალული მასალების გამოქვეყნება.

ზოგადად, აკაკი ყოველთვის იყო ცენზურისთვის მიუღებელი ავტორი: ეკრძალებოდა თავისსავე ეპოქაში, როგორც გამოკვეთილად ეროვნული პერსონა და საბჭოთა პერიოდშიც. ყინული გარკვეულწილად გერბიჭაშვილის სასამართლოს შემდეგ ბაღდად, თუმცა ყველაფრის დაბეჭდვა მაინც არ შეიძლებოდა. საბოლოოდ, გამოუქვეყნებელმა შემოქმედებამ ხუთი ტომი შეადგინა.

რა შევიდა ამ ხუთ ტომში? როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონიუნქტურის მიერ აკრძალული მასალები — რელიგიური ტექსტები და ეთნიკური ნიშნით მიმდინარე პოლემიკა; გარდა ამისა — ვარიანტები; ყველა ტექსტს აქვს ვარიანტი, რომლებშიც ცენზურისთვის ბევრი რამ მიუღებელი იყო, ამიტომ ხშირად ნაწარმოებები მათ გარეშე იბეჭდებოდა. ახალ აკადემიურ გამოცემაში აკაკის თხზულებათა ყველა ვარიანტი შევიდა, ამ თვალსაზრისით ავტორის ნება მთლიანად არის გათვალისწინებული. შემდგენელთა აზრით, როდესაც მწერალი ვარიანტს არ ანადგურებს, ესე იგი, ისტორიისთვის ტოვებს, ამიტომ თავს მათი შეკვეცის უფლება არ მისცევს. ეს შესაძლებლობას

აძლევს მკითხველს თვალი ადევნოს ავტორის პოზიციის განვითარებას ვარიანტიდან ვარიანტამდე.

საინტერესოა და მნიშვნელოვანი ის ფაქტიც, რომ გაიხსნა მწერლის არაერთი ფსევდონიმი და კრიპტონიმი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბევრი წერილი, რომელიც აკაკისად არ მიაჩნდათ, მას ეკუთვნის. იმ ეპოქაში ძალზე იყო გავრცელებული ხელმოწერილი წერილები. ხშირად დროის სიმცირის გამო ჟურნალის თითქმის მთელი ნომრის დაწერა მწერალს თავად უხდებოდა, ზოგჯერ სარედაქციო წერილიც მისივე გახლდათ და ამასაც დადგენა სჭირდებოდა. ეს ყველაფერი ისევდასივრცე ტექსტოლოგთა მუშაობის შედეგად გამოვლინდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ ლევან ჭრელიაშვილის დამსახურება, რომელმაც საოცარი ადლოსა და მეცნიერული ცოდნის საფუძველზე არაერთი უტყუარი დასკვნა დადო. შედეგად აკაკის შემოქმედებას არაერთი ნაწერი შეემატა. ეს არ არის მანცდამანც ცნობილი თხზულებები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ერთი აკაკი ჰყავდა, მწერლის თითოეული წინადადების მოძიება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე არსებული ყველა გამოცემა ცდილობდა გაეხსნა ავტორის ნაწარმი მანერა, გარკვეულ ლიტერატურულ ჩარჩოებში მოექცია. მათგან განსხვავებით, ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ოცტომეულში მაქსიმალურად არის დაცული აკაკის სტილი.

**ირმა რატიაანი:** „ამ საკითხს კოლეგის რამდენიმე ხმაურიანი სხდომა მიჰქვია. ვდავობდი იმაზე, მიგვეცა ტექსტებისთვის თანამედროვე სალიტერატურო ფორმა, თუ დაგვეტოვებინა ავტორისული ვარიანტი. საბოლოოდ ავთენტურობის დაცვა გადაწყდა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის აკადემიური გამოცემა და დედას მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული. ჩვენ ავადგინეთ აკაკისული ლიტერატურული ფორმები, რითაც კარგ სამსახურს გაუწევთ ენათმეცნიერებს. მოგესენებათ, ქართული სალიტერატურო ენა XIX საუკუნის სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება და ამ პროცესისთვის თვალის მიდევნება ძალზე საინტერესოა“.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალ აკადემიურ გამოცემას ერთვის კომენტარები და სხვადასხვა ტიპის საძიებლები, რაც გულისხმობს ნაწარმოებში მოხსენიებული პირების, ადგილებისა და სიტუაციის განმარტებას. ტექსტებს თან ახლავს ამომწურავი ინფორმაცია, რომლის წაკითხვის შემდეგ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა ექმნება კონკრეტულ ოპუსზე, მისი შექმნის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ გარემოზე.

აკაკის თხზულებათა აკადემიურ ოცტომეულში კანონიკური ტექსტები დაფუძნებულია ავტორაფებზე, ავტორის სიცოცხლისდრონდელ გამოცემებზე: „აკაკის თხზულებანი“ (ტ. I. II, 1893



ლადო მესხიშვილიან ერთად. სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა I ყრილობის პრეზიდიუმში

წ.), „ჩემი ნაწერების“ I და II ნიგნები (1912-1913წწ.), ჟურნალი „აკაკის თვითი კრებულები“ (1897-1900 წწ.) და სხვა.

ოცტომეულში პირველად იბეჭდება ათობით უცნობი და ნაკლებად ცნობილი ლექსი. გამოცემა შევსებულია რამდენიმე ახალი წყაროთი, სახელდობრ, ნაპოვნია აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ამიტომ აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულში ვერ მოხვდა. ეს წყარო მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ აქ პირველად დაიბეჭდა აკაკის პოეზიის შედევრი „განთიადი“.

წლების განმავლობაში გრძელდებოდა დავა „განთიადის“ დაწერის თარიღთან დაკავშირებით. ამ გამოცემაში დადგინდა, რომ პირველი შავი ავტორაფი, რომელიც დღემდე ლექსის ასლად იყო მიჩნეული, ავტორიზებული წყაროა, ანუ, აკაკის თავისი ხელით არ დაუწერია. იგი კირილე ლორთქიფანიძემ ჩაიწერა პოეტის კარნახით. რაც შეეხება იმას, თუ როდის დაიწერა ლექსი, აკაკის შემოქმედების ცნობილი მკვლევარის, ჯულიეტა გაბოძის კვლევამ აჩვენა, რომ აკაკის „განთიადი“ 1992 წლის აგვისტო-დეკემბერში დაუწერია და სახელოვანი მამულიშვილისა და ქვეყნისათვის თავდადებული რაინდის, დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისთვის მიუძღვნა. არსებობს „განთიადის“ ავტორაფიც, რომელსაც სავარაუდოდ, შესაბამის ტომს დაუერთავენ. საერთოდ, ყველა ტომი იხსნება ავტორაფით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

აკადემიური გამოცემის დიდი მიღწევაა ისიც, რომ დაზუსტდა აკაკის ბევრი ცნობილი ნაწარმოების, მათ შორის, „გამზრდელი“ „ნათელას“, „ბაშა-აჩუკის“, „ბაგრატი დიდის“, „კიკოლას ნაამბობისა“ და სხვათა ძირითადი წყაროები. დადგენილია პოემების — „თორნიკე ერისთავი“ და „ომი“ ავტორიზებული წყაროები. მიკვლეულია პოემების — „აღუქვისა“ და „გორის ციხის“ ავტორაფები. აკაკის თხზულებათა აკადემიურ ოცტომეულში პირველად შევა პოემის „პატარა კახი“ და ლექსის „ოცნება“ ავტორიზებული წყაროებიც (ეს ყველაფერი ჯულიეტა გაბოძის სამეცნიერო კვლევებს ეფუძნება).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა პოემების — „ვორონცოვი“ და „ასი წლის ამბავი“ — ასევე დღემდე უცნობი ავტორაფები. ეს უკანასკნელი საზოგადოებისთვის უცხო ტექსტია, რომელიც არც პოეტის სიცოცხლეში და არც შემდეგ სრული სახით არ გამოქვეყნებულა. მიზეზი რუსიფიკატორული რეჟიმის მწვავე კრიტიკა იყო, რომლითაც ეს პოემაა განმსჭვალული. მასში მოთხრობილია საქართველოს ისტორია დასაწყისიდან სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე. აღწერილია ის მძიმე შედეგები, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა. გარდა ამისა, ნახსენებია ყველა ის გამოსვლა და აჯანყება, რომლებიც საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მოეწყო. თავის დროზე თხზულებათა შედგომეულში მხოლოდ მისი პირველი

თავი „ასი წლის ამბავი — ტერმზოვანთ კეკელა“ დაიბეჭდა. სრული სახით პოემა 2001 წელს მკვლევარმა ნანა ფრუიძემ გამოაქვეყნა. იგი სრულად ქვეყნდება აკადემიურ ოცტომეულშიც. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებზე საინტერესო ისტორია აქვს. როგორც ჯულიეტა გაბოძის ნიგნში „აკაკის თხზულებათა გამოცემებში“ ვკითხულობთ, „აკაკიმ ამ შინაარსის ნაწარმოების გამოქვეყნება ვერ შეძლო, არადა, სათქმელი მეტად მნიშვნელოვანი იყო... პოეტი არა მხოლოდ მშრალ ფაქტებს გადმოსცემს, არამედ იქვე გარკვეულ მორალსაც სთავაზობს ქართველობას, სამომავლო რჩევებსაც აძლევს. როგორც ჩანს, იმდენად საჭიროდ მიიჩნევდა მის გამოქვეყნებას, რომ არც პოემის გადაკეთებას მოერიდა და ცენზურის თვალის ასახვევად „რუსი“ ყველგან „თათრით“ შეცვალა და პოემის ეს „გადაკეთებული“ ნაწილი რაჭა-ლეჩხუმის ბუნებასა და იქაური ხალხის ქება-დიდებას მიაბა. შემდეგ ერთობ უწყინარი სათაურითაც შეამკო, რაჭაში მოგზაურობას დაუკავშირა, პოემა „რაჭა-ლეჩხუმში“ რიონი ჰყვება საქართველოს წარსულის შესახებ. ცხადია, ავტორმა ამ ხერხს ძირითადი სათქმელის შესანიშნავად მიმართა, მაგრამ ვერც ამ პოემის გამოცემას ეღიროსა.“

პუბლიცისტიკას შეემატა აქამდე უცნობი პუბლიცისტური წერილები და 19 ავტორაფი. დამატა ათეულობით რუსულენოვანი წერილიც, რომელიც რუსეთში მოღვაწეობის პერიოდს მოიცავს. პირველად იბეჭდება აკაკის ინტერვიუები, რომელიც მწერალს სხვადასხვა გამოცემისთვის მიუცია. 1966 წელს ბესო ჟღენტმა ცალკე წიგნად გამოცემა „აკაკის წერილები ცოლ-შვილთან“, ე.წ. პარიზული ციკლი, რომელიც ერთადერთხელ გამოიცა და ახლა აკადემიურ გამოცემაში გადმოდის. გარდა ამისა, იბეჭდება აკაკის 50-მდე ახალი პირადი წერილი, ეპისტოლეები ტასო მანაბლისადმი. გამოცემები ამ ტომის გამოსვლას განსაკუთრებულად ელოდებიან, რადგან მათი აზრით, აქ მკითხველი მათთვის უცნობ აკაკის იხილავს.

ამ ყველაფრის შემდეგ რჩება გაცნადა, რომ ქართული საზოგადოება აკაკის კარგად არ იცნობდა. ასე ფიქრობს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ირმა რატიაანიც: „**დაიხ, ფაქტობრივად, ჩვენ არ ვიცნობთ აკაკის ვიმედოვნებს, ეს 20 ტომი მკითხველს მის უკეთ გაცნობაში დაეხმარება. ამისათვის ჩვენ მაქსიმალურად გავისარჯეთ და ბევრი ვიშრომეთ, ამიტომ მინდა, ეს იყოს გამოცემა, რომელიც წლების შემდეგ მომდევნო, უფრო მნიშვნელოვანი გამოცემის საფუძველი გახდება. რა თქმა უნდა, მუდმივობის გულბრწყვილი პრეტენზია არავის აქვს, მათ შორის — მეც და ძალიან მინდა, რომ აკაკის უცნობი მასალები კიდევ აღმოჩნდეს. ამის იმედი გულის სიღრმეში მაქვს, ლიტერატურა ხომ ძალიან ჰგავს არქეოლოგიას: ჩვენ სულ მუდამ ვიჭებებით წარსულში.“**

დავიტოვოთ იმედი, რომ ლიტერატურათმცოდნეებისა და მეცნიერების წარსულში ქვეა შედეგს გამოიღებს და სადღაც კიდევ აღმოჩნდება აკაკის მტვერნაყრილი, ჩვენი შთამომავლებისთვის უცნობი ხელნაწერები. გავა წლები და ახლა ისინი იტყვიან: — დაიხ, ჩვენ არ ვიცნობდით აკაკის!

**ნანა კობაიძე**

**ფოტომასალა გამოყენებულია ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან.**

აკაკის ნაკლებად ცნობილი ეს ლექსები სრულად ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ოცტომეულში გამოქვეყნდება.

**ყადის ჯორაბი**

შენგან მიკვირს, საქართველო! ერთი მითხარ, რას შვრები? ნუთუ მართლა შენ ამგვარი მოგწონს ყადის ჯორები?!

ვფიცავ შენ სასარგებლოთ მონურ დადგამ-უნაგირს!.. მათგან კარგს წურას მოელი და ნურც აჭმევ ტყვილად ქერს!..

10 იანვ., 1862  
პეტერბურგი

**გამოცანა**

თავშეხვეულს გავეფრინდი, თავნითელამ დამიჭირა, შემოკჭა და სასიკვდილოთ, დანა ყელში წამიჭირა.

სიკვდილისგან გამომიხსნა, მომეშველა უცხო ქერა. მიმინდო და მეც მივინდე, მომავალი ბედისწერა...

ხორცი იხსნა, სული მოკლა, „ვაი“ „ვუით“ გამოცვალა... და ვინც ამას გამოიცნობს — ერთი გულა ხიზილალა!..

**ვარანცოვის ძეგლი**

თითქოს ლოცვილობს ის ჩვენთვის, რომ მოუხდია ქუდიო... ნაბადი კი წამოუხსნამს, რომ დაიმალოს კუდიო.

ასე ჰფიქრობენ, მაგრამ მე არა ვარ მათი თანახმა... ბრალი არა აქვს, სხვის ხელში მისი წამყენი თუ გახმა...

**ასი წლის ამბავი (პოემა)**

**თავი მეორე (ნაწყვეტი)**

ჭაბუამ უთხრა სოლომონს: „რას მოვესწარით ამასო? მამა შვილს აღარ უჯერის და შვილი შემქმნელ მამასო!“

იქცევა ჩვენი სამშობლო ოდესმე დიდებულიო: რუსული ჩრჩილი უჩნდება, რომ გამოუხრას გულიო.

ბატონი მეფე მოსტყუვდა, რომ მათგან ელის შევლასო!.. რაც დღემდე ჭირი უნახავს, ველარ გაუძლო ყველასო!..

რუსეთს შენც იცნობ, სოლომონ, გინახავს მათი ქვეყანა. ქრისტიანულის განზრახვით მოგვეშველება ჩვენ განა?

თეთრ კბილს გვიჩვენებს გულშავად, შემოიპარვის მელურად. და სადაც ხერხი ვერ გასჭრის, იქ ცულს მოიქნევს ველურად!“

გულს ვერ გამიტებს დღეის დღე, მაგვარ დროს მეცა მოველი, მაგრამ დრო უნდა ყოლიფერს, დროზე ჰკიდა ყოველი.

ვერ დავიჯერებ, შორს არის, რუსმა რომ მითხრას: „ძამია!“ და „აჩქარებით სოფელი არა ვის მოუჭამია!“



ნინო და არჩილ ელიაშვილებთან ერთად. ბაქო, 1912 წელი

# აკაკის საარქივო ორტომეული — ლიტერატურის მუზეუმის ახალი გამოცემა

**ბიორბი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი პერიოდულად აქვეყნებს ქართულ მწერალთა საარქივო გამოცემებს. ილიას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, მირზა გელოვანისა და ლადო ასათიანის შემდეგ აკაკის ჯერი დადგა. ორტომეულის გამოცემა მწერლის დაბადებიდან 170 წლისთავს დაემთხვა. მასში სრულადაა შესული მუზეუმის საარქივო ფონდებში დაცული მასალები. გამოცემის რედაქტორია მარინე ყიფიანი. სწორედ იგი გვესაუბრა ორტომეულის შესახებაც.**

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი 1930 წელს დაარსდა და მამინვე დაიწყო ზრუნვა ცნობილი ქართველი მწერლების ხელნაწერთა შექმნა-შეგროვებაზე. მათ შორის, რასაკვირველია, აკაკი წერეთელიც იყო. მოგვსენებთ, აკაკი ძალზე პროდუქტიულად წერდა და მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც დატოვა. მათი მოძიება, შექმნა და შეგროვება ქართული ლიტერატურის მოამაგეთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. მით უმეტეს ზრუნავდნენ ამაზე მუზეუმის დამაარსებელი. დოკუმენტური მასალების დიდი ნაწილი სწორედ იმ პერიოდშია თავმოყრილი. ძალიან ბევრი ხელნაწერი გადასცა ლიტერატურის მუზეუმს ივანე მაჩაბლის ოჯახმა, კერძოდ, ივანეს ქალიშვილმა, ელენე მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ, ივანე ჩერქეზიშვილმა. მწერლის ავტოგრაფები დაცულია გიორგი კერესელიძის, შიო დავითაშვილის, კოტე აბდუშელიშვილის, დარია ახვლედიანისა და სხვათა პირად არქივებში; აკაკის ხელნაწერები და ავტოგრაფები მოჰყვა ნინო ორბელიანის, ვიქტორ იურკევიჩის, ლევან ასათიანისა და სიმონ ხუნდაძის არქივებს, რომლებიც იქ სხვადასხვა პერიოდში შეიტანეს.

ცალკეული ავტოგრაფებისა და ხელნაწერების გარდა მუზეუმში ინახება ხელნაწერი შურნალები და კრებულები. ერთ-ერთი ასეთია 1885 წელს ქუთაისის გიმნაზიის მონაწილეთა მიერ შედგენილი ხელნაწერი შურნალები, რომელშიც აკაკის წერილებიც შევიდა. აქვეა დაცული აკაკის მეგობრისა და მისი ნაწერების რედაქტორის, კირილე ლორთქიფანიძის მიერ მომზადებული აღმანახ „ჩონგურის“ ხელნაწერი აკაკის ლექსებითურთ, რომელიც თავის დროზე რამდენჯერმე გამოიცა. არსებობს თედო რაზიკაშვილის მიერ შედგენილი რამდენიმე კრებულიც; უცნობი ავტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერი კრებული, რომელიც ილია ჭავჭავაძის ფონდს მოჰყვა და აკაკის ლექსებიც არის შესული. ლიტერატურის მუზეუმში ინახება ილია ჭყონიას მიერ შედგენილი რამდენიმე კრებული და მასალები შურნალ „ჭოლოკისათვის“; დავით გაბრუაშვილისა და გიორგი აგიაშვილის მიერ შედგენილი კრებულები, რომელშიც ასევე აკაკის ლექსებია თავმოყრილი.

ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, აკაკის მიერ მისივე ავტოგრაფებით შედგენილი პირველი კრებულება, რომელიც ლიტერატურის მუზეუმმა 1944 წელს ივანე კაკაბაძისგან შეიძინა. თავის დროზე პოეტს მისი გამოქვეყნება ძალიან სდომებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სიცოცხლეში ვერ შეძლო. მოგვიანებით იქ შესული ლექსები სხვადასხვა გამოცემაში დაიბეჭდა, თუმცა აკაკის მიერ დაცული თანმიმდევრობა არსად არ არის შენარჩუნებული. ყველა მათგანი ქრონოლოგიის პრინციპს ითვალისწინებს. ლიტერატურის მუზეუმის ორტომეული, კერძოდ კი, მისი პირველი ტომი ზუსტად მიჰყვება ავტორის ხელნაწერის თანმიმდევრობას. ლექსებთან ერთად აქ აკაკის პოემები, დრამატული ნაწარმოებები და ზოგიერთი თარგმანიც შევიდა.

ამ კრებულში შეტანილ რამდენიმე ლექსს ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ისინი დიდი ხნის წინათ, 1940 წელს გამოცემულ აკაკის თხზულებათა შედგენილ ორტომეულში დაეკრებინა და მას შემდეგ მკითხველამდე აღარ მისულა. ესენია: „პასუხი სომეხებს“, რომელიც 1940 წლის შემდეგ არ დაბეჭდილა; „გურული ნაწინა“, რომელიც, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი იავანაა, სინამდვილეში კი რუსეთ-იაპონიის ომის გამოძახილი გახლავთ. ლექსი 1905 წელს გამოქვეყნდა, იმ პერიოდში, როდესაც იაპონელმა გენერალმა ოიამამ რუსები სასტიკად დაამარცხა. როგორც ჩანს, აკაკის ძალზე ესაიამოვნა ეს ფაქტი, რადგან ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონი „ოი, ამას ვენაცვალე“-თი მთავრდება. ნაკლებად არის ცნობილი კრებულში შესული კიდევ რამდენიმე ლექსი: „ჩემი ჭმუნვა“, „პეტერბურგი“, „შამილის სიზმარი“, „ყადის ჯორები“, „გამოცანა“, „ქრისტე აღსდგა“ და ა.შ. ზოგიერთი მათგანი არც 1940 წელს გამოცემულ აკაკის თხზულებათა შედგენილ ორტომეულში დაბეჭდილა, მაგალითად, „უფილიკო“. რამდენიმე ლექსი - „უჩინო ჩინიანებს“, „აკაკისაგან თავად ილია ჭავჭავაძეს“, „უსათაურო ლექსი „ყოლიფერი ტყუილია“, „საერთოდ არ შეუტანიათ

ტოგრაფები. როგორც აღვნიშნეთ, პირველ წიგნში მკითხველი აკაკის ლექსებს, პოემებს, თარგმანებსა და დრამატულ ნაწარმოებებს გაეცნობა. კრებულს თან ახლავს კომენტარები, სადაც მითითებულია წარმოდგენილი მასალების სამუზეუმო ინდექსები და ნაბეჭდადი - სად დაიბეჭდა პირველად და კიდევ რამდენჯერ არის გამოქვეყნებული. მეორე ტომში შევიდა მოთხრობა „პატარა ტარიელი“, პუბლიცისტური წერილები და აკაკის ხელნაწერები (მოგვსენებთ, მწერალს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ხშირად იღებდა სესხს). მუზეუმში ინახება რამდენიმე ხელნაწერი, სადაც იგი იოსებ მერკვილიძეს თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნების უფლებას აძლევს. გარდა ამისა, მკითხველი გაეცნობა აკაკის მიერ თარგმნილ დრამატურგიას. ესენია: სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“ და სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ

წერილები ტასო მაჩაბელს სიკვდილის წინათი აღსარება

## წერილები ტასო მაჩაბელს

სიკვდილის წინათი აღსარება

*მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო. არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნობს. აგრამ მაინც ვიციხობი, რადგან საოცრებო იდეალი, მომავლის იმედით მასულდგმულედა. ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს ხანგრძლივ, სანამ ის ოცნებით წარმოდგენილი იდიალი არ განხორციელდა შენში! მაშინ კი უფრო გამიადვილდა ტანჯვის ატანა.*

ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი არა ამქვეყნიური მიმდევრობით! ასეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორც შესაძლოა მხოლოდ რჩეულ-თათვის! გეტრფოდი სრულის ჩემს არსებით!.. შენ იყავ ჩემი ზეჩამოგონებელი, ჩემი აღმზუნველი პოეზიაცა და სიცოცხლეს! უშენოდ ქვეყანა ვეღარ წარმოვხედინა!! დიდხანს ვიმარხავდი საიდუმლოდ, როგორც წმინდა ლოცვას, იმ გრძობას ჩემს გულში, მაგრამ „არა რაი არს საიდუმლო, რომელი არა გაცხადდესო“, ბოლოს მაინც ძალაუბნებურად იჩინა თავი. ან კი რად უნდა დაფარულიყო მისთანა „წმინდა-წმინდათა“? ქვეყნის უმეტესობა, ანუ ბრბო საქვეყნო გრძობებს ვერ ასცილდება და ჩემს აღმამფრენ ტრფიალებას ის როგორღა შეიგნებდა? ვერ შეიგნო და ბევრი უსამართლობა გამოვსცადე, თვით შენ მახლობელთაგანაც კი!.. მაგრამ ავიტანე, რადგანაც ერთი შენი თანაგრძნობითი შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მეკურნავდა!.. მაგრამ „ეს სოფელი განა დიდ ხანს ვინმეს ახარებს?“ მრისხანე ბედმა, ჩემ კვალში მდგომმა, გადამიყენა იდიალი და მხოლოდ მითი მძლია და მომიშხამა არა თუ ანმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი! - და „რა ვარ ან სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო“?

### ღამის ოთხი საათი

*სწორედ ღამის ოთხი საათი იყო, რომ დაიღუპა უკეთესი ჩემი მეგობართაგანაც! გულთა-მხილავო, შენ ხარ მონამე, რომ მე არც არა მცოდნია რა და არც რა ბრალი მდებია?! და მაშ, რისთვის და რად გადამხდა სამაგიერო სრულიად უცოდველს? „იყავ ნება შენი, უფალო!“ ამო ყოფილა ბედის შებრძოლება და აჰა, მეც ვანებებ თავს. ქუთაისში ჩემი უკანასკნელი გამოხარულება, თურმე, ლამპარის ჩაქრობის წინეთი ამოშუქება იყო!.. და გელათიდან დაბრუნებულზე გულის გახსნა — მომაკვდავის აღსარება!! აღარ მეგონა, რომ ისინი ორივე, თუ არ კაცთმოყვარულ თანაგრძნობას, ადამიანურ სიბრალულს მაინც გამიხედდნენ? მაგრამ განა ქართველს შეუძლია ერთის ისე ამაღლება, რომ მეორე არ დაამდაბლოს? და უყვარდეს ერთი, რომ მეორე არ ეზიზღებოდეს? სხვერპლია საჭირო და ის მსხვერპლი მე ვარ! მე ამომიღეს ნიშანში. ძღვევამოსილის მედიდურობით მითხრა: „ძალით გრძნობის გამოწვევა არ შეიძლება“ და თანაც დაამატა: „ოჰ, რა გასუქებულა, გაკეთებულა, გალამაზებულა და განმენდილაო!“ — თქვენ გაქვთ ძალა, რომ ადამიანი არა მარტო ხორციით, სულითაც გასწმინდოთ მეთქი — ვუპასუხე და დავედმედი. დავედმედი, მაგრამ მისი შეუბრალებელი სახე მაინც კიდევ დაცინვით მეუბნებოდა, მომშორდი! შენ, რომელსაც ავერ თხუთმეტი წელიწადია გაგირბი, რომ მეტი ნამი არ გაცქერიო ჩემთვის!...*

აკაკი

არცერთ გამოცემაში, მხოლოდ 2001 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შედგენილ კრებულში დაიბეჭდა. ნიგნი სახელწოდებით „უცნობი აკაკი“ იმდენად მცირე ტირაჟით გამოიცა, რომ ფართო საზოგადოებამ მისი გაცნობა ვერ შეძლო. რაც შეეხება აკაკის გამოუქვეყნებელ და უცნობ ლექსებს, ლიტერატურის ინსტიტუტის არქივებში ასეთი არ მოიპოვება.

აკაკის საარქივო გამოცემის პირველ ტომში ავტორის თარგმანებიც შევიდა, ოღონდ მცირე რაოდენობით. ლიტერატურის მუზეუმში სულ რამდენიმე ლექსია დაცული: ჰაინეს უსათაურო ლექსი — „კეთილი რჩევა ბევრი მსმენია“, მიხეილ ლერმონტოვის — „სიზმარი“, პლეშჩევის — „ავადმყოფი“, ინგლისურიდან თარგმნილი „დედოფლის აღსარება“ და „ინტერნაციონალი“. ნიგნს დარბიული აქვს ავ-

უფალო.“ საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელში სხვა ვარიანტებისგან განსხვავებული ტრანსკრიფციაა, რაც შემდეგნაირად უცვლელად გადმოაქვს.

ცალკე თემაა მწერლის პუბლიცისტიკა და ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც მეორე ტომში უკვდავია წარმოდგენილი. აკაკის მიერ დაწერილი წერილების გარდა მკითხველი მისადმი გაგზავნილ ბარათებსაც გაეცნობა. მათ შორისაა ივანე მაჩაბლის, ტასო მაჩაბლის, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის, გიორგი ყაზბეგის, სილოვან ხუნდაძის, გრიგოლ დივასამიძის წერილები, რომლებიც მწერლის არქივშია დაცული.

ლიტერატურის მუზეუმის ახალ გამოცემაში შევიდა აკაკის პუბლიცისტური წერილი „აღსარება“, სადაც ავტორი სომეხებთან დამოკიდებულებების შესახებ ლაპარაკობს. ის ერთადერთხელ,

1911 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „თემში“ და მას შემდეგ დღის სინათლე აღარ უხილავს. ასეთივეა „ჯეჯილის“ 20 წლისთავთან დაკავშირებული წერილიც, რომელიც მანამდე არსად დაბეჭდილა და პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულში — „უცნობი აკაკი“ შევიდა.

ლიტერატურის მუზეუმის არქივში აკაკის არაერთი მნიშვნელოვანი წერილი ინახება. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა წერილები ივანე მაჩაბლის მეუღლის, ტასო მაჩაბლისადმი. ამ ისტორიაზე წლების წინ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. აკაკის ოცი წლის განმავლობაში მართლაც უყვარდა ტასო მაჩაბელი, მაგრამ მისი ქმრისადმი პატივისცემა გრძნობის გულში ჩაკვლას აიძულებდა. ივანე მაჩაბელი და აკაკი წერეთელი კარგი მეგობრები იყვნენ. აკაკი ხშირად სტუმრობდა ცოლ-ქმარს. მაჩაბლების ოჯახში ოთახიც კი ჰქონდა გამოყოფილი. მათთან იმყოფებოდა იმ საბედისწერო ღამესაც, როდესაც ვანო სახლიდან გაუჩინარდა. ამის გამო მაშინ ათასგვარი ჭორი დადიოდა. მაგანნი ამ ფაქტს სწორედ აკაკის ტასოსადმი სიყვარულს უკავშირებდნენ, თუმცა მოგვიანებით ირკვევა, რომ მეგობრის სიცოცხლეში მწერალს გრძნობა არ გაუზღვია. მთელი ეს პერიოდი თავისთვის წერდა წერილებს, რომლებიც ტასოსთვის იყო გამიზნული და ადრესატს მხოლოდ ივანე მაჩაბლის გაუჩინარებიდან გარკვეული ხნის შემდეგ გაუგზავნა. ტასო მაჩაბელი მწერალს ისე გაუზანყებდა, კარგა ხანს ხმასაც არ სცემდა. ამ წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი სათუთ და ამაღლებულ გრძნობას განიცდიდა მათი ავტორი. „ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი არა ამქვეყნიური მიმდევრობით! ასეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის! გეტრფოდი სრულის ჩემს არსებით!.. შენ იყავ ჩემი ზეჩამოგონებელი, ჩემი აღმზუნველი პოეზიაცა და სიცოცხლეს!“ — წერს აკაკი ერთ-ერთ წერილში. მშვენიერი ტასო ცხოვრების ბოლომდე მისი შთაგონების წყაროდ დარჩა.

ლიტერატურის მუზეუმში ტასო მაჩაბლისადმი მიწერილი რამდენიმე წერილი ინახება. მათი ნაწილი აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულში გამოქვეყნდა, მაგრამ ზოგიერთის სააშკარაოზე გამოცნა იმ პერიოდში კონსერვატორის გამო საჭიროდ არ მიიჩნია. ძირითადად ის წერილებია, სადაც მწერალი თავის გრძნობაზე საუბრობს. ეს არის ულამაზესი ბარათები, რომლებითაც მტკიცდება, რომ აკაკი წერეთელს, როგორც არაერთ შემოქმედს, სჭირდებოდა თავისი მუზა და ეს მუზა ტასო მაჩაბელი გახლდათ. წერილები პირველად 1996 წელს შურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, ამჯერად კი მათ ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემული ორტომეული გვთავაზობს.

მეორე ტომში შევიდა ასევე აკაკის მთელი რიგი უცნობი წერილები, რომლებიც მანამდე არ გამოქვეყნებულა. პირველად ქვეყნდება ანასტასია წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ნიცა წერეთლისა და ელისაბედ მარჯანიშვილისადმი მიწერილი წერილები. გარდა ამისა, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს სხვა-



ბაბო და ანასტასია(ტასო) ზაგრატიონ-დავითაშვილები და ელისაბედ ჩერქეზიშვილი

დასხვა პირთა მიერ აკაკისადმი მიწერილ წერილებსაც. აქ არის გიორგი ყაზბეგის წერილი, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ, ასევე სილოვან ყაზბეგისა და გრიგოლ დიასამიძის წერილები. ყველა მათგანი სრულად იბეჭდება, ყველანაირი შემოკლებისა და რედაქტირების გარეშე.


ცნობილი ფაქტია, რომ აკაკი სკაბრეზულ ლექსებს წერდა, თუმცა ფართო საზოგადოებისთვის ისინი ნაკლებად ცნობილი. აღსანიშნავია, რომ თამამი გამონათქვამების მიუხედავად, აკაკი აქაც აკაკიდ რჩება. მისი სკაბრეზიც კი პოეტურია და თანამედროვე ვაიბოეთთან განსხვავებით, უხერხულობასაც ნაკლებად გიქმნის. მეტიც, ზოგიერთი ისეთია, თუ მისი ისტორია არ იცი ან ვიღაცამ არ მიგითითა, ვერასოდეს დაუშვებ, რომ ავტორი ბილწისტიყვაობს. ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცულია აკაკის ერთი სკაბრეზული ლექსი, რომელიც ასე ჟღერს:

**შისხმა ზოგიერთ ქალს**

შვენიერება ციური ქვეყნად ვის მოუტანია? ბროლ-მკერდა, სახე-ნათელი, ალვის ხე მისი ტანია!

გრძნობა იალბუზ-მალალი, გონება უფსკრო, უძირო, ზნეობა თვალთმაქც-მხიბლავი, ორპიროვანი უპირო!

ვითა ფუტკარი ბზუილით სავსე სკას ტკბილ-თაფლიანსა, ჭაბუკნი ენაწყლიანნი ეტრფიან ენაწყლიანსა.



თავისთავად, „ენაწყლიანი“ მშვენიერი სიტყვაა და რომ არა აკაკის მიერ ავტორგრაფში აღნიშნული საზვასმა, ვერასოდეს მიხვდებით, რას გულისხმობდა ავტორი.

აი, ის ყველაფერი, რისი თქმაც ლიტერატურის მუზეუმის გამოცემის შესახებ გვინდოდა. ზოგადად, ამ ტიპის წიგნებზე მუშაობა დიდხანს გრძელდება ხოლმე, აკაკის საარქივო გამოცემა კი შედარებით მოკლე დროში, ნელინადახევაძის მომზადდა. ყველაზე რთული ხელნაწერებთან ურთიერთობა იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკის ძალიან ცუდი კალიგრაფია ჰქონდა. მის ავტოგრაფებზე მუშაობისას გამოცემის რედაქტორი, მარინე ყიფიანი არაერთხელ მისულა სასონარკვეთამდე, რადგან ნაწერი არა და არ აკითხებდა თავს, თუმცა საკმარისი იყო „დასახმარებლად“ პოეტისთვის მიემართა, რომ ხდებოდა სასწაული და ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდებოდა. როგორც ჩანს, ხელნაწერებს აკაკის სული დასტრიალებსო – მიიჩნევს ქალბატონი მარინე. აკაკის სული მხოლოდ მის ხელნაწერებს კი არა, ალბათ, მთელს საქართველოს დასტრიალებს და დაბადებიდან 170 წლის შემდეგაც მკითხველისაგან კვლავაც სიყვარულსა და მადლიერებას ელის.

**ლევან ბრეგაძე**

**ორი „დათუნა გოცირიძე“**

ვის და რის უფლებას ალარ იცავენ ამ ჩვენს განათლებულ საუკუნეში!

მე ტექსტის უფლება უნდა დავიცვა, ერთი უმართებულოდ დაჩაგრული ტექსტისა — ტექსტი უნდა დავიცვა... მისივე ავტორისა და გამომცემლებისგან.

აკაკი წერეთლის ცნობილი ნოველა „დათუნა გოცირიძე“, პირველად 1902 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული, აკადემიური თხუთმეტომეულის 1958 წელს გამოსულ მე-8 ტომშია შესული და სკოლის სახელმძღვანელოებშიც შეგიძლიათ იხილოთ. მის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ იმდენ ინტერნეტგვერდზეა განთავსებული, ვერც კი დავთვალე. მასში ბიძა-დისწულის, დათუნა გოცირიძისა და ივანე კვიციანიშვილის, მტერ-მოყვრობის ამბავია მოთხრობილი. ფაბულა ასეთია:

იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, დადიანმა საუცხოო ნებიერი (უმობელი, მოზვერი) მიართვა. მეფემ იკითხა, ნეტავ, თუ ვინმე მოახერხებს ხმლის ერთი დაკვრით გაადგებინოს ამას თავიო. დათუნას მეტი ვერავინ შეძლებსო, თქვა სარდალმა წერეთელმა („რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძე მის დროში განთქმული ვაჟკაცი იყო მთელ იმერეთში. ხმალს უქებდნენ და პირველობაც ავტორგვინებდნენ“, ასე იწყება ნოველა). ვერც იმისი დისწული? — იკითხეს კარისკაცებმა დათუნას მიერ აღზრდილ ივანე კვიციანიშვილზე, აგრეთვე დიდებულ ვაჟკაცზე. ვერც ისაო, დაასკვნეს და დაიბარეს დათუნა. ამან გაანაწყენა კვიციანიშვილი და ბოლმა ჩაიდო გულში. ღამით მიეპარა ბიძას, ხმალი ამოაცალა ქარქაშიდან და პირი დაუბლაგავა.

მეორე დღით თავისებური კორიდა გაიმართა, დათუნა წრეში შევიდა, ხარი მისკენ გამოექანა. მოუქნია ხმალი ნებიერს გოცირიძემ და, თუმცა კისრის ძვლები ერთიანად დაუღუნა, თავი ვერ წააგდებინა. დახედა ხმალს — დაბლაგვეულია. „ეს უღვაში ნულა მსხმია, თუ ეს შევარჩინო ამის მქმნელსო“, — დაიფიცა.

გამჟღავნდა ივანეს დანაშაული. ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ბიძა-დისწული საერთო მტერმა, იმერეთში საყაჩაღოდ გადმოსულმა ლეკებმა, შეარიგა, ქურდულად რომ უპირებდნენ ტყეში ჩაძინებულ ივანეს მოკვლას და გაძარცვას. ამ უბედურებას თავისი შემარცხვენიელი დისწული ამ ამბის შემთხვევით შემსწრე დათუნამ გადაარჩინა, რის შემდეგაც ორივენი მხარდამხარ დაედევნენ მომხდურთ.

„შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია, შინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვიინდოსო!“ — დათუნას ამ სიტყვებიდან მკაფიოდ იკვეთება ნაწარმოების იდეა: ნოველა განთქმული ქართული შურიანობის, ურთიერთგაუტანლობის წინააღმდეგ არის დაწერილი, საერთო მტერების პირისპირ მდგარ ქართველობას პირადული განაწყენების დავიწყებისკენ, ურთიერთმიტყეებისკენ მოუწოდებს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეოცე საუკუნის დამდეგი, როცა ეს ნოველა დაინერა და გამოქვეყნდა, შიდა დაპირისპირებით, ჯგუფობრიობით, ძმათა შორის შუღლით განსაკუთრებით გამოჩენილი ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამრიგად, ამ ჩინებულ ნოველის შექმნით აკაკი წერეთელი მეტად საჭირო სოციალურ „დაკვეთას“ ასრულებს — ცდილობს გონს მოიყვანოს ურთიერთ-მტრობით გონებადაბინდული ქართველობა.

მაგრამ სხვა „დათუნა გოცირიძე“ არსებობს, უფრო მცირე მოცულობისა, ისიც აკაკი წერეთლისა, ისიც თითქმის ამავე ფაბულის მქონე, ოღონდ სულ სხვა მხატვრული იდეის მატარებელი. ის „დათუნა გოცირიძე“ 1875 წელს დაიბეჭდა

„დროებაში“, მერე, ავტორის სიცოცხლეში, კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა 1885 წელს კრებულში „საყმანვილო ამბები“.

აკადემიური თხუთმეტომეულის კომენტარებში ვკითხულობთ:

„რამდენადაც „დათუნა გოცირიძის“ ახალი, ვრცელი რედაქცია თვით ავტორმა გამოაქვეყნა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი მას აძლევდა უპირატესობას; ჩვენც ეს რედაქცია მივიჩნიეთ ძირითად ტექსტად და იგი უნდა დაედვას საფუძვლად ამ მოთხრობის შემდგომ გამოცემებსაც. მაგრამ, რადგან პირველი მოკლე რედაქცია... არსებით სხვაობას შეიცავს, საჭიროდ ვცანით მისი უცვლელად დაბეჭდვა ვარიანტებში“ (ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.).

რთული ვითარებაა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით! ეს შეიძლება უნიკალური შემთხვევაც იყოს ლიტერატურის ისტორიაში.

ავტორი იგივე, სათაური იგივე, ფაბულაც თითქმის იგივე, მაგრამ ნოველები კი — სხვადასხვა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იდეის მქონე, რაშიც ახლავს დავრწმუნდებით.

თავიდან აქაც, ამ პირველ ვერსიაშიც, ყველაფერი ისევეა, როგორც გვიანდელ ვარიანტში: დადიანის მიერ მეფისთვის ნაჩუქარ ნებიერს დათუნა გოცირიძემ, იმდროინდელ იმერეთში პირველმა მეხმლემ, უნდა წააგდებინოს სახალხო თავი, ოღონდ აქ ხმალი დისწულმა კი არ დაუბლაგვა დათუნას (დისწული საერთოდ არ იხსენიება თავდაპირველ ვერსიაში), არამედ მეფის ბრძანებით მოიშოქმედეს ეს — მეფემ მოინადინა ასე გახუმრებოდნენ სახელოვან მეხმლეს.

სიტყვები, რომელიც განხილულმა დათუნამ წარმოთქვა მას შემდეგ, რაც მიხვდა, რა ოინიც უყვეს, სრულ წარმოდგენას გვაძლევს თავმოყვარეობაშელახული ვაჟკაცის აღფრთობის ხარისხზე:

„ამ ნებიერის თავ-ფეხი მის ცოლდედას, ვინც მე ეს მიხუმრაო!“.

მეფის გინება გამოუვიდა!

შეიპყრეს დათუნა და ვინ მისთვის თვალის დათხარა ურჩევად ხელმწიფეს, ვინ — დაკირვას, ვინ კიდევ — ხელ-ფეხის დაყრევინებას თუ ენის მოკვეთას.

სოლომონმა ყველას მოუსმინა და ასეთი განჩინება გამოიტანა:

„კაცს ჯერ ღმერთი უნდა უყვარდეს და მერე თავისი საკუთარი ხელობა. ვინც თავის გზას მტკიცედ არ ადგია და თავის ხელობაზე თავს არ სდებს, ის საქმით ვერც მეფეს ასამოვნებს და ვერც ქვეყანას არგებს რასმე (...). და რადგანაც დათუნა გოცირიძის საკუთარი ხელობა ხრმალი არის, მისთვის რომ თავი გამოიღვას და მისის შურაცხყოფის დროს ჩვენი უკადრისი რამ გაბედოს, არ უნდა ეთვლებოდეს დანაშაულად (...). ჩემი ხალათი მაგასო! — ბრძანა მეფემ და დაასაჩუქრა გოცირიძე“.

ვარიანტებში გატანით, ანუ არაძირითადი ტექსტის სტატუსის მინიჭებით, არსებითად დავკარგეთ ოსტატობის, ხელობის მაღალ დონეზე ფლობის ეს არაჩვეულებრივი სადიდებელი.

არადა რაოდენ აქტუალურია ეს თემა დღეს — დილეთანტიზმის, ნახევარცოდნის, არაკომპეტენტურობის, დაბალკვალიფიციურობის მოძალბების ვითარებაში!

ხელობის ეს აპოლოგია იმ არაჩვეულებრივ ზღაპარს მაგონებს, მეფეს რომ გლეხის ქალი შეუყვარდა და შეუპოვებელი მიუგზავნა, ცოლად გამოიყვით. რა ხელობა იცისო, იკითხა ქალმა. ხელობა რად უნდა, მეფეაო, განუმარტეს. არ მოეწონა გლეხის ქალს ეს პასუხი: რამე ხელობა თუ არ იცის, ვერ გაყვებიო. მეფე იძულებული გახდა ხალიჩების ქსოვა ესწავლა და როგორ გამოადგა მერე ეს, როცა ყაჩაღებმა შეიპყრეს და ამ ხელობამ გადაარჩინა!

რაოდენ მნიშვნელოვან, სერიოზულ



საკითხს ეხება ეს ნოველა, მთლად ცხადი გახდება, თუ ერთ ფრაგმენტს წავიკითხავთ გამოჩენილი კანადელი ენდოკრინოლოგის, სტრესების თეორიის შემქმნელის, ჰანს სელიეს (1907-1982) წიგნიდან „სტრესი დისტრესის გარეშე“:

„მე ყოველთვის ვურჩევდი ჩემს შვილებსა და სტუდენტებს ძალიან ნუ შეიწუხებენ თავს ფულის დაგროვებითა და კარიერის საფეხურებზე აღმასვლით... ბევრად უკეთესია სრულყოფილ საკუთარი თავი, რათა ბედის ნებისმიერი სიმუხტლის პირობებში შეგეძლოთ სარგებლობის მოტანა [სხვათათვის]. დიდი ეკონომისტი, ხელოვანი, სწავლული, მაღალი კლასის მემანქანე თუ ზეინკალ-სანტექნიკოსი ადვილად პოულობენ თავშესაფარს, როცა პოლიტიკური თუ რელიგიური დევნის შედეგად იძულებულნი არიან უგროშკაპიკოდ გადაიხვეწონ თავისი ქვეყნიდან. გახსოვდეთ, რომ ოფიციალური ტიტულებისა და ხარისხების გარდა არსებობს უმაღლესი ნოდება — თქვენი რეპუტაცია. თქვენი მნიშვნელობა და თქვენი მდგომარეობის მდგრადობა წარსული მიღწევებითა და ამჟამინდელი თქვენი კვალიფიკაციით განისაზღვრება. სხვა სიტყვებით, თქვენი ღირებულება იმით განიზომება, თუ რამდენად შეგნვეთ მოყვასის სიყვარულის დამსახურების უნარი“.

ეს ხომ თითქოს „დათუნა გოცირიძის“ პირველი ვერსიის კომენტარია!

განა სხვა რა თქვა აკაკი წერეთლის პერსონაჟმა ხელმწიფემ! („ვინც... თავის ხელობაზე თავს არ სდებს, ის საქმით ვერც მეფეს ასამოვნებს და ვერც ქვეყანას არგებს რასმე“).

აკაკი წერეთლის პერსონაჟი მეფე ისევე აზროვნებს, როგორც ჩვენი დროის სახელოვანი მეცნიერი, კაცობრიობის წინაშე უზარმაზარი დამსახურების მქონე პიროვნება!

ახლა აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეული მზადდება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (პირველი ტომი უკვე გამოვიდა) და იქნებ როგორმე მოხერხდეს მასში ორივე „დათუნა გოცირიძის“ ძირითად ტექსტებად შეტანა, თორემ დაკარგულია მშვენიერი და მეტად საჭირო ნაწარმოები — უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემის კომენტარებში წერილი შრიფტით აწყობილ პირველ „დათუნა გოცირიძეს“, ზუნებრივია, ყურადღებას აღარავინ აქცევს, არ კითხულობენ, განმეორებითაც აღარ იბეჭდება, არადა ის, როგორც ვნახეთ, სულ სხვა ნაწარმოებია და ამჟამად ცნობილი და პოპულარული „დათუნა გოცირიძის“ მხოლოდ ვარიანტად ვერასდიდებით ვერ ჩაითვლება.

არ ვიცი ეს ტექსტოლოგიური კაზუსი რა გზით უნდა გადაიჭრას. როგორც ვთქვით, უპრეცედენტო მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე, მაგრამ რალაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს. იქნებ სათაურის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულმა 1-მა და 2-მა უშველოს საქმეს? ასეთიანად:

**დათუნა გოცირიძე [1]**  
**დათუნა გოცირიძე [2].**

აკა მორჩილაძე

აკაკის სიკვდილი

სანამ გარდაიცვლებოდა, აკაკი მთელ თვეს იწვა სხვიტორში, თავის სახლში. დამბლაც იქვე მოუვიდა შობა ღამეს და ერთი თვის თავზე კი გაუმეორა. იქ უამრავი მნახველი მიდიოდა, თბილისიდანაც კი, იმ შუა ზამთარში.

ეს იყო 1914-15 წლის დეკემბერ-იანვარი, მსოფლიო ომის პირველი ზამთარი, რუსეთ-თურქეთის ფრონტის სიახლოვე და გაჭირვება. დიდი გაჭირვება მხოლოდ დაწყებულიყო, აკაკი კი მთელი შემოდგომის საკმაოდ ბევრს წერდა ომზე, თითქოს რაღაც დიდ ცვლილებებს გამოელოდა ამ ომისგან. თავში ჰქონდა პოემაც და ამ პოემისთვის რამდენიმე ლექსიც დაენერა. ჰოსპიტლებშიც კი დადიოდა, დაჭრილებს ამხნევებდა, მტრის ტყვედ ჩავარდნილ ჯარისკაცებსაც კი გადაყვრებოდა ხოლმე, იმათაც ელაპარაკებოდა. ერთხელ ბედუნიები ნახა, ციებ-ციხელებით მიყრილნი ჰოსპიტლის კუთხეში. ამ საწყლებს რაღა უნდათ ომში, უთქვამს, გამოლაპარაკებია, ნამთები აღმო-სავლეთმცოდნის განათლებისა ეხმარებოდა ამაში.

ადრინაი შემოდგომით აკაკის შვილი, ალექსი ჩამოუვიდა რუსეთიდან. მისი ჩამოსვლა ყოველთვის უხაროდა. დიდი მღვდვარება იწყებოდა, როცა მის მეუღლესა და ვაჟს რაღაც უჭირდათ და ფული აკლდათ ხოლმე.

უცნაური კაცი ვარ, ოჯახი მყავს და არა მყავს, სახლი მაქვს და არა მაქვს, პენსია მაქვს და არა მაქვს, ასე ამბობდა ხოლმე აკაკი და მართლაც ასე იყო, თითქოს ყველაფერი ჰქონდა და ბოლომდე კიდევ არაფერი, მაგრამ ასეთ ცხოვრებას მიჩვეული იყო და სხვანაირი, ალბათ, ვეღარც წარმოედგინა. ეგ სხვა ამბავია, აკაკის პირადი ცხოვრება. მაგ ამბის წამოწყება და თხრობა სად წავიყვანს, ვინ იტყვის.

რახან აკაკის ერთადერთი სამსახური იყო ხოლმე ჟურნალი, რომელსაც თვითონ დაარსებდა, ანდა რაიმე საზოგადოებრივი საქმე, ვთქვათ, თეატრში ან სადმე სხვაგან, მისი შემოსავლები მის წაწერებზე იყო დამოკიდებული. ეს კი არ ჰყოფნიდა.

ერთი, რომ რუსეთში ოჯახის შენახვა უნებდა, და მეორეც, ის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც არაფერს არ ყიდულობენ, სიმდიდრეს და ფუფუნებას არ ეძებენ, მაგრამ რამდენი ფულიც არ უნდა მოგედონ ხელში, მაინც არ ჰყოფნიან. აკაკი-იც ასეთი იყო. უკვე სიბერეში მას ჰქონდა რამდენიმე პენსია დანიშნული ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, მაგრამ, როგორც წესი, ეს პენსიები თვეობით ადრე ჰქონდა გამოჭმული და მერე იწყებდა სესხებას, ანდა რაღაც პროექტების მოგონებას, რათა ავანსი ეშოვნა. ცნობილი იყო, რომ აკაკი თამაშობდა და ეს ფულის მოგნის ერთ-ერთ საშუალებად მი-აჩნდა. ის თამაშობდა უმარტივეს სამორინე თამაშებს, ყოველთვის კლუბებში და, რაღა თქმა უნდა, უმთავრესად აგებდა. თუმცა, კარგადაც მოიგებდა ხოლმე. სანდრო მანშიაშვილი იგონებს, ერთხელ დამით შევბოდიხდი ქართულ კლუბში და დავინახე აკაკი, რომელსაც ფული აღარ ჰქონდა და მაგიდისა და ადგილი კი არ უნდოდა. მქონდა ოცდახუთი მანეთი და მორიდებით შევთავაზე, უსიტყვოდ გამო-მინოდა ხელი და იმნამსვე დადო და წა-აგო. ასეთი მოგონებები ხშირია.

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, ერთხელ მოვიდა საზოგადოებაში და მშვენიერი პროექტი შემომთავაზა, ქვეყანას მოვივლი, ფოლკლორი კვდება და შევკრებ ნიმუშებს და მოგართმევთო, ამისთვის წინასწარ მოითხოვა ფული და, რა თქმა უნდა, მივეცი. მერე აღარც ფოლკლორი შეუკრებია და არც ამაზე ჩამოუგ-დია სიტყვაო.

აკაკის ვალები ცნობილი იყო: საყვარელი ანდრია, ფულის თხოვა ადრეა, ადრე ჭკვიანი იყავ, ახლა რამ გადავრია. ჩვენთან ასეა მიღებული, რომ ამბობენ, აკაკის სტანჯავდა ცოლ-შვილისთვის გასაგზავნი ფულის გროვება და ის დეკე-



აკაკის დაკრძალვა მთაწმინდაზე

შები, პეტერბურგიდან რომ მოსდიდოდა ხოლმე, ამდენი და ამდენი გამოგვიგზავ-ნო. თითქოს ეს რაღაც ისეთი ტვირთი იყო მისთვის, რომელიც არ ერგებოდა. არადა, საქმე სხვანაირად იყო. აკაკის უყვარდა თავისი ოჯახი და მის შენახვას აუცი-ლებელ მოვალეობად თვლიდა. სხვანაირ-ად როგორ გამოვიდოდა,

მის სიცოცხლეშივე, ახალგაზრდობა-შივე დადიოდა ჭორი, რომ აკაკიმ ნატა-ლია ბაზილევსკაია სიმდიდრის გამო შეირთო. ეს პეტერბურგის ქართველი სტუდენტების ამბავი იყო. ერთი ანექ-დოტი მოგვითხრობს, როგორ მიაყენეს კედელთან მეგობრებმა აკაკი და აღიარე-ბინეს, რომ ფულის გამო იქორწინა. დაქორწინების შემდეგ აკაკი მართლაც კარგახანს ცხოვრობდა პეტერბურგში, მერე კი ხშირად დადიოდა იქ. მთელი ბა-ზილევსკების სიმდიდრიდან კი მას ხეირი არ უნახავს, რადგან მისი სიმამრის გარ-დაცვალების შემდეგ ქონების აპეკუნად აკაკის ქვისლი გამოცხადდა, რომელმაც ქონება ბანკში გაანია და ბოლოს ტყვი-აც დაიკრა შუბლში. ქვისლიც ქართველი იყო, ასევე თავადი იყო, სუმბათაშვილი. რამდენიმე საათს იცოცხლა და აკაკის კი შესტირა, შენ კი დაგლუპე, ძმაო. ესეც ცალკე და გრძელი ისტორიაა. აკაკის ცხ-ოვრება გრძელი იყო და მდიდარი. თვი-თონ ასე ამბობდა, მეო საერთოდ ცოლის შერთვას არ ვაპირებდიო და ამ საკითხ-საც ზერელედ ვუყვარებდი, მაგრამ ჩავარ-და ამომეტი და შევირთეო. ეს ნათქვამიც ხელს უწყობდა ჭორებს.

ნატალია კი ჩამოდიოდა ხოლმე საქართველოში, მაგრამ ეს მაინც ცალ-ცალკე ცხოვრება იყო. აკაკის უყვარდა ცოლი, მაგრამ მისი გადამეტებული მზრუნველობა აღიზიანებდაო, ასე იხ-სენებენ. ხოლო როცა შვილი ჩამოდიოდა, აკაკის სახიდან ღიმილი ძნელად თუ გაქრებოდა. როგორც კი დაიბადა, პოემა „ალექსი“ დანერა, ოღონდაც სულ ამბობ-და, ქართული ვერ ვასწავლე ხეირიანა-დო. ალექსიმ ქართული სალაპარაკოდ არ იცოდა, მაგრამ საქართველოში ჩამოსე-ლა და მამასთან ყოფილა უყვარდა. ქართველებს დიდად არ მოსწონდათ ალექ-სი, გარეგნობითაც კი, მაღალიაო, სულ ცაში იყურებო, მხრებში მოხრილიაო და ასეთებს ამბობდნენ. გრიგოლ რობაქიძე იხსენებს, ერთხელ როგორღაც წამომც-და აკაკისთანო, რომ შვილში მამის ჯიმი არ გადასულაო და აკაკიმ არ მიპასუხა, მხოლოდ უსიამოდ შეირხაო, ნავხდი, ამ ნათქვამს რაღა გამომასწორებდაო. ასე იყო თუ ისე, ფულის თემა აკაკის მთელს ცხოვრებას გასდევდა და ხუმრობის სა-განიც იყო და დარდის და წვალებისაც. უშველებელი სტატიებიც კი აქვს, მე და ჩემი პენსია და ასეთები. საერთოდ, აკაკის უყვარდა, რომ უვლიდნენ, ოღონდაც მკვეთრ მზრუნველობას ვერ იტანდა. ბილო წლებში თავის ჯანმრთელობას დიდ ყურადღებასაც აქცევდა და არცთუ ტყუი-ლად, სულ პირველმა სისხლის ჩაქცევამ გარეგნობაზეც იმოქმედა, ცალ ქუთუთოს ვეღარ ამოძრავებდა და ამიტომ, ყოველთვის თავანუელი უყურებდა მო-საუბრეს. მომგელები ყოველთვის ბევრი ჰყავდა. ასე ხუმრობდნენ, აკაკი მეგო-ბრობს ბავშვებთან, ქალებთან და ექიმებ-თანო. მართალიც იყო. ოღონდ ესეც გრ-

ძლად სათხრობი ამბავია.

სხვიტორის გარდა მას სახლი არსად ჰქონდა, თბილისშიც და ქუთაისშიც ან ჩერდებოდა სასტუმროებში ან ახლო მე-გობრებთან. თბილისში მაჩაბლებთან ანდა ექიმ ვახტანგ ლამბაშიძესთან, ხოლო ქუთაისში უფრო უყვარდა ნიკოლაძეების ძველ სახლში დგომა. იქ ასევე ეიმედებო-და ექიმი სამსონ თოფურია, რომელმაც მისი ორგანიზმისა ყველაზე კარგად იცო-და და ერთხელ სიყვდილსაც კი გამოგლი-ჯა. ოღონდ სამსონ თოფურია აკაკიზე ათი წლით ადრე გარდაიცვალა.

მოკლედ, აკაკი ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა.

იმ ზაფხულს კიდევ, სანამ მსოფლიო ომი დაიწყებოდა, აკაკის თითქოს არა უშ-ავდა.

მომჯობინებული, სიხარულით დაუხ-ვდა ალექსის შემოდგომაზე და მშვიდობი-თაც გაისტუმრა რუსეთში. რაღაც თავისი საქმეებით იყო გართული და ზამთრის პირზე მოუვიდა ალექსის დეპეშა, სასწრაფოდ ორი ათასი მანეთი გვჭირდე-ბაო.

აკაკი სრულიად უფულოდ იყო იმ დროს. ეს ის შემთხვევა იყო, რომ დაგეგმება ხოლმე. თბილისში იწრიალა და საჭირო თანხა ვერ იმოვა, ამიტომ გადაწყვიტა ქუთაისში წასვლა, ეგებ იქ გამოვიდეს რამეო. თან ჰქონდა ახალი ლექსები და ცდილობდა, რაიმე გაზეთისთვის მიეყიდა ანდა გამომცემ-ლებსთვის. ვერავინ იპოვნა. ქუთაისშიც ამ თანხის შოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

აკაკი მაინც დარჩა იქ, დადგა სასტუმ-რო „გრანდ ოტელში“.

ეს იყო გრძელი, ოსრათულიანი შე-ნობა, რომლის შესახებაც ათას პირქუმ რამეს ყვებიან ხოლმე. სასტუმრო არ თბე-ბოდა. იდო თოვლი და ყინავდა.

აკაკიმ დაიჭირა გაუთბობელი ოთახი პირველ სართულზე, სადაც დღისით ვერ ჩერდებოდა სიცხის გამო. დღეებს ის ატარებდა ნაცნობ-მეგობრების სახლებ-ში, სადაც სადილობდა კიდევ. მისწერა საჩხერეში მოურავ კოტე აბდუშელიშ-ვილს, იმ თოვლებში ფიქრობდა როგორმე მიეხედა ამ ახალი ლექსებისთვის, ღამლა-მობით იმ გაუთბობელ ნომერში იჯდა და მუშაობდა, ამ ლექსებისგან პოემას აგებ-და და ხარობდა, რომ გამოსდებოდა. ეს იყო პოემა „ომი“, მისი პირველი ნაწილი სამოც-დათოთხმეტე წლის აკაკიმ გაყინულ ოთახ-ში, ორ კვირაში დაასრულა და იმედიან-დაც იყო, რომ პოემამი საჭირო თანხას მიიღებდა.

სწორედ ამ დროს მოვიდა „გრანდ ოტელში“ განმეორებითი დეპეშა, უკი-დურესად გვიჭირს, ფული მოგვსაველო. ამან ძალიან წაახდინა, როგორცა უნდა აჩქარებულიყო არ იცოდა, ფული მანამ-დე სჭირდებოდა, სანამ პოემას დაას-რულებდა და ვინმეს მიყიდდა.

ამ დროს ჩამოვიდა ქუთაისში კოტე აბდუშელიშვილი. სახლში იცოდნენ, რომ აკაკი ქუთაისშია და ხასიათზე ვერ არის. აკაკის და ანა დიდი მეთვლყურე იყო აკაკის ცხოვრების და იოლად მიხვდებო-და, რომ ძმას ძლიერ უჭირდა.

ცხადი იყო, რომ აბდუშელიშვილი აკაკის შინ წასაყვანად იყო ჩამოსული. სხვიტორში მოაკეთებდნენ და ეგებ, იქ გამოეზამოდა კიდევ. მოურავი არწმუ-ნებდა, ფულს აქედანაც ვიპოვიდაო და აკაკიც დაჰყავებოდა. 21 დეკემბერს უკვე სხვიტორში იყო.

სხვიტორი ერთადერთი სახლი იყო მისთვის, სახლი რომელიც მამამისმა როს-ტომმა ააშენა და რომელშიც დაიბადა. იქაურობა უყვარდა, ეს იყო ყველაზე ბუნე-ბრივი გარემო მისთვის.

შობა საღამოს აკაკის დამბლა დაეცა, მარცხენა ხელ-ფეხი წაერთვა. წინდანიწვე ჩანვა ლოგინში, იმიტომ, რომ ცუდად იყო. ოღონდაც, ეს დამბლა მაინც ისეთი ჩან-და, რომ სასიკვდილო არ უნდა ყოფილ-ყო, მეტისც, ორი კვირის თავზე აკაკის მეტყველებაც გამოუსწორდა და ჩვეული ხუმრობებიც დაიწყო. ალექსიც კი ჩამოვ-იდა პეტროგრადიდან, რაც მამისთვის ძალიან სასიხარულო იყო.

თბილისის გაზეთები უკვე მისი ჯანმ-რთელობის ამბებით იყო აჭრელებული. მნახველები მოდიოდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან. თავთან ეჯდა ანეტა

იუტკევიჩი, ახლაგაზრდა მასწავლებელი ქალი და უკითხავდა ხოლმე მის ნაწერებს. აკაკის უამრავი რამ აღარ ახსოვდა, ეს როდის დავენერეო, იკითხავდა ხოლმე, ანდა როგორ დამინერიაო. ერთხელ „გამზრდელის“ სმენისას ცრემლიც კი მოადგა. ალექსიც უკითხავდა, ორ-მოცდახუთი წლის ჭალარაშქრული მელოტი კაცი, იმდენი იძახეს, ქართული არ იცისო, რომ ქართულად უკითხავდა. აკაკი ხუმრობდა. სანახავად კი ვინ აღარ მოდიოდა, ახალ წელს მთელი საჩხერის გლეხობა იქ იყო საახალწლო ძღვენი, ერთი ბეითალიც ეწვია და ამან გაახარა, სულ ვირივით ვმუშაობდი და შენ თუ მო-მარჩენო. გარშემო იმედიანი ხალხი იყო, ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ თანხა, რომელიც ამდენ ნერვებად დაუჯდა, შინ მიუტანეს და თავთან დაუდეს. იაკობ ფანცხავამ ჩაუტანა ქუთაისიდან და ისე-თი მოწადინებული იყო, რომ აკაკი მხნედ ენახა, რომ ხშირხშირად და ხმამაღლა ეკითხებოდა, როგორა ხარ, როგორა ხარ, რას უჩივო. ანამ იხუმრა, ეგ საერთოდ, უფულობას უჩივის, მეტს არაფერსო. იმავე დღეებში ეზიარა კიდევ, ოღონდ უკვე იმ განწყობაზე იყო, რომ თბილისში წავალო, ამბობდა. ითხოვდა, სასტუმრო-ში დამანავინეთ, საავადმყოფოში მნახ-ველებს არ შემოუშვებენ და მოვიწყნო. მნახველი კი ბევრი იყო, ექიმებიც ერთმა-ნეთს ენაცვლებოდნენ. საერთოდ, ყვე-ლაფერს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ზუსტად ერთი თვის თავზე აკაკის დამ-ბლა გაუმეორდა და იმავე ღამეს გარდა-იცვალა, ალექსის ხელში დალია სული. ვინ იცის, ეგებ ასეც უნდოდა, ალექსი გვერ-დით ჰყავდა.

რა თქმა უნდა, არავინ შეასრულა აკაკის ანდერძი, სხვიტორში დამარხებო, თბილისში წამოასვენეს.

მისი მრავალწლიანი ირონია სამგლოვ-იარო გვირგვინების შესახებ კი ასე თუ ისე გაიზიარეს. აკაკი ყოველთვის ბევრს ხუმ-რობდა გვირგვინების შესახებ. ერთხელ, გრიგოლ ორბელიანი რომ გარდაიცვალა, აკაკი ქუთაისში იყო და თბილისში მოდიო-და. ქუთაისელმა გიმნაზიელებმა მიაკ-ითხეს, რახან მიემზავრებო, ფული შევა-გროვებო და გვინდა, სამგლოვიარო გვირ-გვინი გაგატანოთ ორბელიანის პანაშვი-ლისთვისო. ნავილებო, აკაკიმ უთხრა, ოღონდ ერთ რამეს ვთხოვთ, მე რომ მოკვდები, გვირგვინი არ მოიტანოთ, უმ-ჯობესია, ჩემი გვირგვინის ფული სიც-ცხლეშივე მომცეთო.

გვირგვინი მაინც იყო, ოღონდ — ერთი. ზედ ეწერა — აკაკის საქართველო.

სახლიდან საჩხერელმა წერეთლებმა გამოასვენეს, თბილისისკენ მომავალი სამ-გლოვიარო მატარებელი კი ჩერდებოდა ყველგან და ყველგან იყო გლოვა და ზა-რების რეკვა, მთელი საქართველო რკინიგზის რელსების გასწვრივ იყო ჩამ-წკრივებული. ახლა ძნელია ამის წარმოდ-გენა, იმ უტელეკრანო დროში აკაკი იყო ყველაზე მეტად ნაცნობი სახე საქართველოში. იყო დარაჯობა მის დან-ახვაზე, ვაგონის ფანჯარაში, ეტლში, ქუ-ჩაში, ყველგან. საზღვრები მისი პოპუ-ლარობისა დღეს ძალიან ძნელად გან-სასაზღვრია. ძალიან ძნელი იყო მეორე ასეთი სახალხო პერსონის პოვნა, ამოუც-ნობი დადებითი მუხტით რომ აღავსებდა ყველას.

თბილისში დაკრძალვას დაესწრო ასი ათასი კაცი. მთაწმინდაზე კი, როცა ყვე-ლა ნავიდ-წამოვიდა, საფლავთან დარჩ-ნენ ყარაჩოლები, ძველებურად დაუნთეს სანთლები და იჯდნენ იქ შუალამემდეგ ღვირსოვან ერთად, რას ლაპარაკობდნენ კიდევ, ვიღას ახსოვს.

და მაინც, ეგ არ იყო მთავარი. საქარ-თველოში დაკრძალვა არ არის მთავარი, დაკრძალვა აქ ყოველთვის მაგარია. აკაკის სიყვდილი სხვა სურათი უფრო დარჩება: თუ როგორ ზის სამოცდა-თოთხმეტი წლის კაცი, რომელსაც საქარ-თველოს უგვირგვინო მეფეს უწოდებენ, სასტუმროს გაყინულ ოთახში და როგორ ცდილობს, დაასრულოს პოემა, რომელ-საც ჯერ კაცია არ იცის, ვინ იყიდის და რამდენად, და როგორ წაადგება პოემით წამოვნი ფული მის ოჯახს შორეულ ქალაქში.

ლიტერატურული გაზეთი  
გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით  
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული  
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com